ელბერდ ბატიაშვილი

ამონაკრები ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრებიდან“ ...

თუ ყურადღებით გავეცნობით **„ქართლის ცხოვრებას“**, იქ ბევრ საინტერესო ეპიზოდს ვნახავთ როგორც ძველი წელთაღრიცხვის ბიბლიური და ანტიკური, ისე ახალი წელთაღრიცხვის ქრისტიანული ეპოქების ისტორიიდან. მართალია მის რიგ ავტორებთან, განსაკუთრებით ლეონტი მროველთან და ჯუანშერთან მითოლოგიური მასალაც ბევრი ხვდება თვალს, მაგრამ ესეც ხომ გასათვალისწინებელია:

არაერთ ფაქტს დაასახელებს კაცი, როცა წარსულის ასეთი ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ამბები და მითოლოგიები, ბოლოს სინამდვილე აღმოჩენილა. ამის კლასიკურ მაგალითად ჰომეროსის **„ტროას ომი“** გამოდგება: შლიმანი ყველას გიჟი ეგონა, როცა ტროას გათხრები დაიწყო ამ ასი წლის წინ, მაგრამ დღესაც არქეოლოგები იქ არაერთ კულტურულ ფენას პოულობენ ამ 3 ათასი წლის წინანდელი ანტიკური ისტორიიდან. **„ქართლის ცხოვრებასაც“** და მის **„ჟამთაღმწერლებსაც“** ასეთი მიდგომა და გააზრება სჭირდება...

ვფიქრობთ, რომ **„ქართლის ცხოვრების“** ეპიზოდების გაცოცხლებით გარკვეული ლიტერატურული ესსეების ფორმით, გავაცოცხლებთ ჩვენს ისტორიასაც და ამასთან, სამსახურს გავუწევთ საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციასაც. გვინდა გაგახსენოთ ისიც, რომ როდესაც **„ძნელბედობამ“** სხვა დიდ ტრაგედიებთან ერთად, საქართველოს ისტორიის წყვეტილობაც განაპირობა, ვახტანგ VI სპეციალური **„სწავლულ კაცთა კომისია“** შექმნა ამ ნაკლის გამოსასწორებლად ვახუშტი ბატონიშვილის თავკაცობით. ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ უსვავს ხაზს ამას – ვახტანგ სჯულმდებელის მიერ **„ქართლის ცხოვრების“** განახლება–გაცოცხლება–გამთლიანებას.

ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრება“ – ეს ჩვენი დიდი ეროვნული საგანძურია. ბევრი ერი ვერ დაიკვეხნის ამით და ჩვენი ვალია ეს ყველაფერი, – მოდით ვიხმაროთ ასეთი ახალი ტერმინიც, – **„უახლესი ქართლის ცხოვრების“** სამსახურში ჩავაყენოთ.

დღეს განსაკუთრებით გვჭირდება სწორედ ეს – **„უახლესი ქართლის ცხოვრება“** მეგზურად და გზის გასაკვალად.

ძველშიც, ახალშიც და უახლესშიც უამრავი ფაქტები და მოვლენებია დაფიქსირებული და ისინი არ უნდა დავუკარგოთ შთამომავლობას თუნდაც ზემოდნახსენები **„ლიტერატურული ესსეების“** სახით.

ამჯერად გთავაზობთ ხუთ ეპიზოდს XI–XII და XVIII–XIX–XX საუკუნეების მოვლენებიდან თავისუფალი მხატვრული ინტერპრეტაციის სახით, დავარქვათ

ამას, თუნდაც, **„დოკუმენტური პროზა“** – სახელს ხომ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ხუთი ეპოქა და ხუთი მოვლენა თითქოს მოწყვეტილია ერთმანეთს, მაგრამ სინამდვილეში ისინი ერთმანეთს ავსებენ. ისე, კაცმა რომ თქვას, მთელი **„ქართლის ცხოვრება“** ფაქტიურად დოკუმენტური პროზაა ჟამთაღმწერლების მიერ თავ–თავიანთი ეპოქების მხატვრული გადმოცემით. აქ ლიტერატურა და ისტორია ერთმანეთზე ორგანულად არის გადანასკვული...

„დოკუმენტური პროზის“ ბევრ მაგალითს ვხვდებით ახალ საუკუნეებშიც, განსაკუთრებით ერეკლე მეფის ეპოქიდან. აქეთ, XIX ს–ში ხომ, **„აქტების“** ტომები ნამდვილი აუთვისებელი საბადოა, უფრო მეტს XX საუკუნის უმდიდრესი საარქივო და მემუარული მასალა იძლევა ჩვენთვის...

კიდევ ვიმეორებთ, სახელს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ მათში საქართველოს ისტორიის და ქართველი კაცის სულია ასახული...

ეს სულია რომ არ ასვენებს კაცს ამქვეყნად მარად, ვისაც კი მისი წვდომის სურვილი გასჩენია. გადის ათასეული წლები და მისი მომხელთებელი კაცი კი ისტორიას ჯერ არ უნახავს.

არის კი იგი? ან, თუ არის, რანაირი ან როგორი არის? ცნებებსაც სხვადასხვას ვიგონებთ, ვითომცდა მასთან მისაახლოებლად. ეჭვი კი არ შორდება კაცს – ნუთუ ესაა?!...

თუ არ არის, მაშ, საიდან გადადის კაციდან კაცში, ერიდან ერში ის, რაც მას განსაკუთრებულს და განუმეორებელს ხდის თაობიდან თაობაში?. რა არის ის ძალა, რომელიც ამას აკეთებს?

ჰეგელმა **„აბსოლუტური სული“** შეარქვა იმ ძალას, რომელიც ყოველივე ამის შემოქმედია... დღეს გაჩნდა ახალი ცნებაც – **„გენეტიკა“**, ის განაგებს ყველაფერს და სხვა არაფერი... ჩვენ არც ძალა და არც სურვილი გვაქვს ჩვენი რაიმე საზრისი ვთქვათ, მაგრამ იმის ძალა და სურვილი კი გვაქვს ვეძებოთ რამე ღირებული ჩვენი ისტორიიდან. ისტორია ხომ, ყველა დრო–ჟამს **„ჩვენი დიდი მასწავლებელია“**... აქ იმალება ჩემი ფიქრით, ის ფსიქო–გენეტიკური ფესვები და კოდი, რომლებიც იმად გვხდის ყველას, რადაცა ვართ...

ს ა ძ ვ ლ ე

იდგა 1089 წელი. მოჟამული დილა გაუთენდა ქუთაის ქალაქს. საწოლიდან ხასიათიც მოჟამული აჰყვა:

– ან დღეს, ან არასოდეს... მაგრამ როგორ ჯობია – გავიპარო? არა, ეს რა კაცობაა... მაშ, როგორ? გიორგი მირჩევს ჭკვიანურს, იქნებ ათონში ჯობდეს წასვლა – შევეკითხები...

– გიორგი, შენი რჩევა მინდა: ბერძნულად როგორა ჰქვია – ე ვ თ ა ნ ა ზ ი ა, არა?! ჰოდა, მესტუმრა მეც იგი, ქართულად მე „საძვლეს“ დავარქმევ, ეს სახელი უფრო უხდება მას: ხილვები არ მასვენებენ, ყოველღამ რაღაცისკენ მომიწოდებენ... გამაგიჟებენ ალბათ...

– მომბეზრდა ეს ხმაური წუთისოფლისა... გულს აღარ ერჩის ძველებურად მიწის და ცისა, აზრი დავკარგე ნალოლიავ ოცნებებისაც... პირველად ვიგრძენ ამაოება ამა სოფლისა ესე ძალუმად... ეტყობა დრო დადგა ანგარიშის გასწორებისა ნაცოდვილართან ამა სოფლისა... საძვლესკენ იჩქარის სული...

გიორგი უსმენდა და არც ეცადა შეეცხადა – ჯან–ღონით სავსე ხარ ისევ, რა დროს შენი საძვლეზე ფიქრიაო... ისეთი სახე მიიღო – აქეზებდა კიდეც, – მიდი, მიდი – გადამიშალე გულიო...

– საძვლე კარგი სახელია მოგონილი ხევსურთაგან, მაგ შენს ბერძნულ ევთანაზიას ჯობია მაინც – თანდათანობით იფიტები, ჩირად იქცევი კაცი... სულ ამაზე ვფიქრობ, – ღმერთო, არ შეგცოდო და ეს წესი ბარბაროსობა ხომ არაა მეთქი: წავა კაცი, დაწვება საბძელ–საძვლეში და ჯალაბობიდან არავის აქვს უფლება მიაკითხოს, საკვები და წყალი მიაწოდოს სიკვდილისთვის განწირულს და თავდადებულს...

– ჰოდა, ფიქრობ კაცი – ბარბაროსობაა თუ გმირობა?... ყველას თავისი აზრი აქვს და მე კი გმირობა მგონია: თავს რომ ვეღარ უვლი კაცი, სანამ სიარული მაინც შეგიძლია, ჯალაბობას გაეცალე, წადი–წალასლასდი საძვლეში შენი ფეხით – გმირობაა, აბა, რა არის?!... „**ხევის ურია**“ რატომ ჰქვიათ – დიდი ჭკვიანური რამ მოიფიქრეს, ღმერთმა იცოდეს, როდის – რომელ საუკუნეში...

გაჩერდა ერთხანს, ათონელს შეხედა წამით და ათონელმაც გაუგრძელა და დაუდასტურა აზრი:

– მეც მიფიქრია მეფეო ამაზე, იმაზეც ვფიქრობდი, წესად მექცია ეს თუ არა ათონის მონასტრის ბერებში... ზოგიერთმა ბერმა თვითონ აირჩია ხევსურთა „საძვლეს წესი“, დაუძლურებულს ლოცვის თავიც რომ აღარ ჰქონდა, სისხლიც რომ ძლივს–ძლივსღა მოძრაობს ძარღვში... ამას რომ იგრძნობს კაცი, განა არ სჯობს, მართლაცდა, ჩირივით თვითონვე გამოიხმოს – გამოიშროს და გამოიფიტოს თავი – მეც შენსავით ასე მგონია – გმირობაა ეს. გმირობაც და თუ გინდა, დიდი სიბრძნეც...

– გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ც, – სულთ საუფლოში გადანაცვლება ფიქრის სიჩქარით, ალბათ, ლამაზ ფერებში მოდის მაშინ, ერთბაშად კი არა, როგორც ს ი კ ვ დ ი ლ ი , არამედ თანდათანობით შემოდის შენში, როგორც ნისლი კავკასიის მთებსა და ხევსურთა ხეობებში...

წამიერად შეჩერდა, შეხედა გამომცდელად და განაგრძო:

– მე უფრო იმაზე ვფიქრობ, სანამ ასე ნელ–ნელა გამოშრება და გამოიფიტება კაცი, რას ფიქრობს იგი, რა უტრიალებს თავში?! რა გრძნობა ეუფლება მას – როგორ იცხოვრა ამქვეყნად?! სანამ გული სისხლს კიდევ აწვდის მის თავს, რას განიცდის ის თავი თავის თავში მისგან განვლილი ცხოვრებისგან – სიამაყეს თუ სინანულს?!...რისთვის მოვიდა?!... რას ემსახურა – სიკეთეს თუ ბოროტებას, სიყვარულს თუ სიძულვილს... ღირდა ამქვეყნად მოსვლა კი?!...

წამიერად შეჩერდა, მეორე გიორგის უსწორა თვალი. ის კი თითქოს ამქვეყნად არც იყო, რას ფიქრობდა, რას გრძნობდა ვერ გაიგებდა კაცი – სადღაც შორს, მიღმურ სამყაროში წასვლოდა თვალი... მიუხვდა ფიქრს ათონელი და კვლავ იმ გზით წაიყვანა თავისი სათქმელი:

– ვაი იმას, მეფეო, ვისაც საძვლეშიც არა აქვს საფიქრალი... მაგრამ ადამიანისადმი ღმერთის სიყვარული იმდენად დიდია, რომ ამ ავ–კარგის გაურჩევლობაშიც არ მიატოვებს მას მაცხოვარი, აქაც შველის სიკვდილ–სიცოცხლის ზღვარზე მისულს, ნათელ გზას რომ არ ასცდეს საძვლეში მწოლიარე – დიდ, ღვთიურ სიმართლეს და სინათლეს გზააბნეული მგზავრი...

– აქ უკვე თვალთა გუგენი არაფერს შველის, ამიტომ ხუჭავს და ხურავს კაცი თავის გონების სარკმელს დაბინდული გონების ზღვართან მაშინ და იმ წამს, როცა ფიქრის სიჩქარით უახლოვდება ყველაზე დიდ ჭეშმარიტებას – აქ, სტუმრად მოსული კაცი, იქ, **„შინ“,** საკუთარ სახლში გადანაცვლებას ესწრაფვის. დიახაც, რომ ფიქრის სიჩქარით ვინ იცის ცის კაბადონის რომელ ვარსკვლავზე!... თვალუხილავის ფლობასა და გათავისებას ლამობს და ჩქარობს წუთისოფლად სტუმრად მოსული – სტუმარი ხომ იმისაა, რომ ბოლოს უნდა წავიდეს იქ, საიდანაც მოვიდა – თავის საკუთარ სახლში... იქ კი მას ამ შორეულ გზაზე უფალი მიუძღვის. ტყუილა ხომ არაა ჩვენს ენაშიც – სტუმარი ღვთისაა...

კვლავ შეხედა. ახლა მისი თვალები აღარ იყვნენ გაშტერებულნი. რაღაცნაირად დამშვიდებულიც ეჩვენა ათონელს, წყნარად შესცქეროდნენ ქადაგად დაცემულ სეხნიას:

– გიორგი შენ ბრძენი კაცი ხარ, ნაკითხიც ბერძნული ფილოსოფიისა და მითხარი – არის ამქვეყნად და გწამს თუ არა სულის უკვდავება? ეგ შენი შეგონება დამალულ თვალთა გუგებზე მეცნაურა მეც – სულიერების წვდომაში მართლაცდა, ხელს უშლიან მგონის კაცს... რამდენჯერ გამომიცდია ეს ჩემს ცხოვრებაში...

– მეფევ ბატონო, არის საგანი და მოვლენა, რომელსაც კაცს თუ თვალით არ დაანახვებ, ვერ არწმუნებ. მაგრამ ამასთან, ამ თვალუწვდენელ სამყაროში არის ისეთი რამ, რომელსაც თუ არ ირწმუნებ, შენი გონება ვერასოდეს შეიცნობს და დაინახავს. გონების თვალი სულ სხვა რამაა კაცის, თორემ ისე თვალნი ხომ ცხოველთაცაა აქვთ... ამასაც დავაკვირდეთ – როცა რაღაც მნიშვნელოვანი რამის გააზრება გვინდა, თვალებს დავხუჭავთ – როგორც ჩანს ისინი ამაში ხელს

გვიშლიან მართლაც... ჭეშმარიტებისკენ გზა სულსა და მიღმურობაზე, ანუ გონების თვალზე გადის... მთავარია კაცმა ირწმუნოს ეს და მასზე იფიქროს, ამ ფიქრით იცოცხლოს, ამ ფიქრით იცხოვროს, მისით იღვაწოს, მის მოლოდინში გალიოს დღენი და არა მუქთად – პარაზიტულად, როგორც მუხის ხეზე ამოსულმა ფითრმა...

გიორგი შეცბა, ეცნაურა ბერის ნათქვამი – „პარაზიტი, როგორც ფითრი! – ვერაფერს ვიტყვი, მართალი არის, – ფიქრად თქვა, ცხადად კი, მტკიცედ ეს განუცხადა:

– დღესვე წამოვალ შენთან ათონში, იქნებდა, სულს შვება მივცე ლოცვითა და ხორცის გვემით...

დინჯად უსმენდა აღსარებას ათონელი. მერე კი მისებურად პირდაპირ და მიუკიბ–მოუკიბავად უთხრა სათქმელი:

– მეფევ, ღმერთისთვის შენც იგივე ხარ, როგორც შენი მეჯინიბე თოთია, ოღონდაც ერთი სხვაობით – მას ცხენი აბარია, შენ კი ქვეყანა. ქვეყანა კი, შენ თვითონ ხედავ, სულს ღაფავს, ერი გადაშენების გზას ადგას – ცოდო ვართ, გუშინდელი ერი ხომ არ ვართ, ბიბლიური ერი ვართ... ხომ ხედავ თვითონ უფალმაც განიშნა განშორება ამა ქვეყნისგან არნახული მიწისძვრით, მკვდრები რომ საფლავიდან ამოყარა... საქართველოს არ უნახავს ასეთი რამ...

– ქვეყანას სხვანაირი პატრონობა უნდა... ათასი ჭკუისაა ხალხი, ათასი სატკივარი აქვს... ყველას ერთად და ყველას ცალკ–ცალკე უნდა გაგება... შიგნით თუ გარეთ მოძალებულ მტერ–მოყვარეს ოდნავ პასუხს თუ დაუგვიანებ, მერე უსაშველოდ გაგიხდება საქმე... ერისა და ქვეყნის გადაშენებაც ამას ჰქვია...

აღარ აცალა ათონელს გაგრძელება მწარე სათქმელის – მან ხომ მასზე კარგად იცოდა საკუთარი თავისა და ქვეყნის ამბავიც:

– მართლის მთქმელი ხარ ათონელო და ამ მხრივაც შენი მადლობელი ვარ... ვერ ვუპატრონე ხალხს და ქვეყანას, გადავყევი ქეიფსა და დროს ტარებას, ნადირობა – ნადიმობას, ტყე–ღრეში ნავარდს, მტერთა ნაცვლად დევნას ნადირთა... შვილი წამომეზარდა, მადლობა უფალს, სიქველე და ჭკუა–გონება არ აკლია დავითს, თავის დიდ პაპას ჰგავს, ცხონებულ ბაგრატს...

ათონელმაც დასტურის ნიშნად თავი დაუკრა და მოკლედ დაამთავრა:

– დავითი მართლაც, იმედად მოჩანს... შენი ათონში წასვლა სწორი არჩევანია. მაშ, განემზადე – ერთად მოგვიწევს მგზავრობა ათონის მთაზე...

ვერ მოისვენა ვერც ათონის სენაკებში... ორიოდე წლის შემდეგ იტალიასა და საფრანგეთში ნახეს დარახტული არაბული ცხენით და რამდენიმე მხლებლით – მისიონერებს და ჯვაროსნებს ეპატიჟებოდა საქართველოში: პალესტინასა და იერუსალიმზე ნაკლებ დღეში კი არ ვართ, 300 წელზე მეტია თბილისი არაბებს უპყრიათ ხელთ... ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ქრისტეს კვართი

ჩვენთან არს დაფლული, ვალდებულნი ხართ მხარში დაგვიდგეთ უფლის სახელით...

მერე, ეტყობა მოუსვენარ ცხოვრებას მიჩვეულს, კიდევ უფრო დასავლეთით გადაუნაცვლებია პირინეის მთების და ატლანტიკისკენ... იქ, ესპანეთის იბერიაში უნახავთ კაცი, რომელიც ირწმუნებოდა: ოდესღაც კავკასიის იბერიის მეფე იყო და აქ ძირძველ ნათესავთა მოსაძიებლად არის ჩამოსული, მათი ბედ–იღბლისა და გზა–კვალის დასადგენად...

იქაც არ ღალატობდა ცხოვრების თავის წესს – აქაური ღვინო და პურ–მარილი კარგი გაქვთ ათონიდან მოყოლებული ატლანტიკამდე, მაგრამ არ გეწყინოთ და იქ, ჩვენს იბერიაში რომაა, იმასთან მაინც ვერ მოვა. ღვინო ხომ ჩვენი მოგონილია, თანაც ნაირ–ნაირი, წითელი, შავი, თეთრი და თუ გინდათ, მწვანეც... სახელიც ხომ ჩვენი წამოგიღიათ ღვინო, ვინო, ვაინ... სახელი, მაგ მართლაც რომ ღვთით კურთხეულისა, ერთდროულად კაცის ხორციელი და სულიერი აღმაფრენისა...

აქ იგი შეუდარებელი ქადაგი იყო: ღვინო სად არ გამისინჯავს, მთელი შავი და ხმელთაშუაზღვის ნაპირები მოვიარე... ღვინოსთან ერთად, მისი სმის და თამადობის, მისით დროსტარების წესიც ბევრი ვნახე, მაგრამ ჩვენნაირი კი ვერსად... აქ, ბასკეთშიც სულ სხვანაირია... ეტყობა, ატლანტიდა რომ ჩაიძირა აქაური იბერიელებიც და მათი ღვინოც სხვანაირნი გახდნენ, გადაჯიშებულან – ღვინოც და ტრადიციებიც სხვანაირნი გამხდარან, ატლანტიდას წაუღია ორივე თან...

ამნაირად ფილოსოფოსობდა ათონიდან ატლანტიკამდე სადაც გინდა მოხვედრილიყო... მერე კი მისი კვალი ატლანტიდასავით იკარგება, მისი ამბავის მთხრობელიც აღარავინ ჩანს და ამიტომაც სად აირჩია თავისი საძვლე, არავინ იცის...

XXX

– იდგა 1125 წელი, იანვრის თვე, ჩამოწვა ზამთრის გრძელი ღამენი... იხმო დავითმა არსენი ბერი:

– ჩემი სავალი გზის დასასრულს ვუახლოვდები. გულიც და ძვლებიც განსასვენებელს თხოულობენ სამარადჟამოს. მეც სულ მალე სკნელი – ქვესკნელი – ზესკნელის უკიდეგანო სულთსამეუფოს შევუერთდები. მადლობა უფალს, ტყვილა არ მოველ ამ წუთისოფლად – ვგონებ რომ კვალი ჩემი დავატყვე როგორც შევძელი... მოღონიერდა ერიც და ბერიც, ძალი მივეცი ქართულ სიტყვას და ქართულ საქმეს ამერ–იმერით...

– მაინც, რა მოკლეა წუთისოფელი, ძალიან მოკლე. ჩქარობ კაცი, მაგრამ ბევრს ვერაფერს ასწრებ მაინც. რაც მოვასწარი, შენ და დემეტრეს გადმოგაბარებთ. შენც და შიო მღვიმის ბერებმა ილოცეთ ჩემთვის, ჩემთა ცოდვათა მიტევებისთვის. ანდერძით ჩემით მუხრანის ხოდაბუნი გადმომიცია ამისთვის თქვენთვის... დიახ, წუთისოფელი მოკლეა, მაგრამ ცოდვებისთვის დიდია მაინც, და აკი, მეც სინანულისთვის ბევრი ცოდვა მადევს კისერზე... უცოდველი ხომ, ამქვეყნად არავინ არის... კაცი ცოდვათა მონანიების გარეშე არ უნდა ტოვებდეს ამ წუთისოფელს...

– მაგრამ ესეცაა: ცოდვა–მადლი ერთმანეთზე არიან გადაბმულნი – ერთად დადიან დედამიწაზე ერთმანეთზე ჯვარდაწერილნი: ხმალს როცა იღებ ხელთ, ცოდვაც და მადლიც ორივე აქვს დაწერილი ზედ... მაინც ისეთი მიწა–წყალი გვიბოძა ღმერთმა, ყველას რომ იზიდავს ანდამატივით და შენც გინდა არ გინდა, სისხლით უნდა დაიცვა იგი, შენი თუ სხვათა სისხლით. ცოდვა–მადლიც ეს არის ალბათ – შორს გავდგი საზღვრები შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიის ორივე მხარეს – რუსთ სტეპებამდე, სხვათა მიწებიც, სხვა ხალხებიც ბევრი მოჰყვა შიგ ჩემი ქვეყნის განსამტკიცებლად...

– თუ რამ ვიმძლავრე, მხოლოდ ამისთვის, მაგრამ მაინც ღმერთს სინანულით პატიებას ვთხოვ... თუმცა ესეც იცის მანაც და ჩემმა გულმაც და სინდის–ნამუსმაც – პატივდებულნი იყვნენ ჩემგან სხვათა რწმენაც და მათი ენაც...

– გიორგი ჭყონდიდელმა იცის კარგად, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ერთი მოჯანყე და ავადმახსენებელი არა მყოლია და არც ახლა მყავს კავკასიის მთების გადაღმა. სწორედ რომ პირიქით – ჩემსა და ქართველთა მზეს ფიცულობენ ახლაც... ეს მარტო ჩემი არა, წინაპართა დამსახურებაცაა...

– 300 წელი გახდება მალე, რაც ბაგრატიონები ვმართავთ ერს და ქვეყანას, ღვთის მადლით, მეტ–ნაკლებად წინ მიგვყავს ქვეყანაც ამოდენა მტრებთან ჭიდილში... ანდერძშიც ვწერ – მეც რაც შევძელი სიკეთის ხელი არ დავაკელი საქართველოს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდგან არეგაწამდე... ახლა შვილმან ჩემმან და მის შემდგომებმა გამოიღონ ხელი ქართველთათვისაც და ნათესავთა ჩვენთა სხვა ხალხთათვისაც. მთავარია ეს ერთობა – ერთსულობა არ დაიკარგოს დღეის შემდეგაც...

– მოკლეა მეთქი წუთისოფელი, თორემ ამ ხალხებისგან დიდ სამეზობლო – სანათესაო სახლეულობის განაზრახი მქონდა ადამის ძეთა – გამრავლებულნი იაფეტიდან თარგამოსამდე, როგორც ეს სურდათ დავითიან–სოლომონიანთა ჩემს დიდ წინაპრებს... გარნა მათაც არ დასცალდათ... ჟამთაღმწერლებმა კარგად უწყიან ეს განაზრახი მათიც და ჩემიც პალესტინითგან ბაბილონამდე და ბაბილონითგან ვიდრე მცხეთამდე... ეგაა მხოლოდ – ჟამია მოკლე სიტყვისა საქმედ ქცევისთვის. მათუსალას ხანი უნდა მოგეცეს ამისთვის...

– დრო–ჟამი სხვანაირად ჭრის და კერავს, სხვანაირად სჯის კაცთა განაზრახს და ნამოქმედარს... ეს უფრო მეტად ბაბილონითგან აღრევის შემდეგ, როცა კავკასიის შემოგარენს ვინ არ მოაწყდა აქეთ–იქიდან და ორივე ზღვიდან. შენც კარგად იცი ჩემს სიმამრთან – ცოლოურებთან ძმობის ფიცი: ამ მთებთან ახლოს არავინ გავაკაროთ, თორემ უეჭველად არევენ საქმეს. ამას ვცდილობდი, მაგრამ მათუსალას ხანი უნდოდა მართლაც ამის მიღწევას – დიდ განაზრახთა აღსრულებას კავკასიისას...

– არ მომეცა მე ეს ხანი... შენც კარგად გახსოვს ის საბედისწერო დღე შიო მღვიმის შემოგარენში ნადირობისას როს ცხენმა ჩემმან აღვირი გამტაცა ნადირისაგან დამფრთხალმა და ვეებერთელა ხეს შემაჯახა... საოცარია და დღემდე აუხსნელია ის, რაც მაშინ გარდამხდა:

– ბერები ყველა ერთხმად ამბობენ – **„სამი დღისა მკვდარი“** გამომაბრუნეს სააქაოზე, მე კი წამებით ვზომავ ჩემს საამქვეყნო გამობრუნებას... მაშ, რა გამოდის – ჩვენი გონებისთვის დრო–ჟამი სხვადასხვაა, მათთვის 3 დღე, ჩემთვის კი, რაღაც წამები. ახლა კი მწამს, რომ **„ათასი წელი, ვითარცა დღეი ერთი“,** ჭეშმარიტია... დროს სხვადასხვა ჟამი, ძალა და ფასი ჰქონია კაცთა მოდგმისთვის...

– იმ სამმა დღემ მაინც ზიანი მისცა ჩემს ჯანს და ძალას, დიდი ზიანიც. ძველებურად ვეღარ შევძელი ქვეყნის გაძღოლა, ლაშქრად წასვლა, ხმლის ქნევა, მტერ–მოყვარისთვის პასუხის გაცემა. ბევრი წლები წამართვა იმ ფათერაკმა, ძალიან ბევრი წლები ისედაც მოკლე წუთისოფლისა... „წუთისოფელი“ – მართლაც რომ საოცარი სიტყვაა ჩვენი ენის... სამაგიეროდ სულმა ნახა თავისი დიდი საზრდო:

– მაშინ იქ, შიო მღვიმის მონასტერში უკან დავბრუნდი დროში, 3 დღის მკვდარმა კაცმა სად არ ვიხეტიალე, რა და ვინ არ ვნახე, როგორც სიზმრის ხილვისას ხდება ხოლმე ეს... სიზმრის დამახსოვრება – გახსენება არა მჩვევია, იშვიათად თუ რამე აღვიდგინო გაღვიძების ჟამს. აქაც, ამ 3 დღის მანძილზე ბევრი არაფერი შემომინახა ჩემმა გონებამ განფხიზლებისას, მაგრამ ორი რამ კი, დღემდე მკვიდრად ზის ჩემს გონებაში და ორივე ანდერძად მინდა შენ დაგიტოვო:

– რაღაც საოცარ, კაცისგან უნახავ და აუხსნელ ფერებში ვიხილე პალესტინა მაშინ, მიმოვიდოდი ზეთისხილის ბაღში და იქ, – ეხლაც ნათლად მიდგას თვალწინ, დავლანდე მაცხოვარი მოციქულთ შორის, უხმოდ ვიდოდნენ, თითქოს ვერ მამჩნევდნენ, გარნა მეჩვენებოდა – იერუსალიმს მიმავალნი თვისთან მიხმობდნენ... მე ეს ნიშნად მაქვს ჩარჩენილი, რომ იქ ქართული სალოცავი ავაშენო უცილობლად და ამას გიტოვებ ანდერძად შენ და დემეტრეს...

– მეორე ხილვა პირველის გაგრძელებაა – მათკენ მიმავალს, იქვე პეტრე იბერი შემხვდა ხატებად. უცბად აღვიდგინე განაგონი ამბავი მასზე – როგორ მიატოვა ყველაფერი საამქვეყნო – საწუთისოფლო, ეკლესია – მონასტერთა

მშენებლობას და ღვთის მსახურებას შესწირა თავისი დღენი. ეს არ იყო უბრალო თვითშეწირვა – მან იქ პალესტინა – ღაზაში ყველა რელიგიას – უძველეს და ძველ ბერძენთა თუ რომაელთა, მერმე თავის თანადროულთა არაბების, ებრაელების, ბიზანტიელების, სომხების, ქართველების რწმენის ერთად შეკვრა და შენივთება განიზრახა. სომხები ხომ დღესაც მას მონოფიზიტად რაცხავენ, ჩვენ კი ამის გამო რაღაცნაირად მოძულებული გვყავს, თითქოსდა ჩვენი სისხლი და ხორცი არ იყოს იგი. სწორედ ეს ვედრება და ყვედრება გამოსჭვიოდა შიო მღვიმის მონასტერში მისი ხილვისას და ეგების ეს დიდი კაცი, მისი დიდი რწმენა და აზრი არ დავუკარგოთ შთამომავლობას...

– მაშინ არ დაუჯერეს ამ ბრძენკაცს არც ბერძნებმა და რომაელებმა, არც სომხებმა და ქართველებმა, არც ებრაელებმა და არაბებმა და ხომ ვნახეთ რაც მოხდა მის შემდეგ, – დღემდე: განყოფაა კაცთა და ხალხთა, განყოფა სასტიკი და სისხლიანი... ამიტომ დაჯერება და გაგება უნდა ჭკვიან კაცს და იმის ნათქვამს...

– ათონელი ბერებისგან გამიგონია – ბრძენი კაცი, დიდი მცოდნე ისტორიისაც და კაცთბუნებისაც... მიატოვა კონსტანტინეპოლის მეფური ცხოვრება და უდაბნოს მისცა თავი. ის ერთდროულად ბერძნული სჯულისაც იყო და რომაულისაც, მონოფიზიტიც და დიოფიზიტიც... ენების დიდი მცოდნე და ქართულად მთარგმნელი, მაგრამ ამასთან, ამის მტკიცედ მცოდნე და მქადაგებელი: ქართულს ნუ ვჩაგრავთ სხვა ენების წამბაძველობით, მდიდარი ენა გვაქვს, ძალიან მდიდარი... ამ ენასა ზედა დიდი ჭეშმარიტება ითქმება ოდესმე... პატრონობა უნდა ოღონდაც მას, ვითარცა შვილს მშობლისაგან... ანდერძად მოდის მისგან – ესეც ბერთაგან გამიგონია...

– და მართლაც დაიჩაგრა ენა ჩვენი მის შემდეგ, ვერ მოვუარეთ, ბერძნულს გადავყევით, სპარსულს, არაბულს – უცხო უფრო „საუცხოო“ და მიმზიდველი გახდა ჩვენთვის... ამიტომ ვცდილობდი რაც შემეძლო ქართული ენისთვის და ქართული წიგნისთვის ხელის გამართვას... ახლა თქვენ, შენ და დემეტრემ უპატრონეთ მას – ფარნავაზისა და ქუჯის, ვახტანგ გორგასლისა და პეტრე იბერის ენას. ნუ ვანაცვალებთ მას სხვათა და სხვათა ენას... პეტრე იბერის ხილვა–ზმანების ეს სიბრძნე დამრჩა ანდერძად მისგან და ჩემგან კი თქვენზე გადმოსაცემად, მშვიდად რომ წარვიდე მე ჩემს საძვლეში...

– ხილვაც ხილვაა... სხვანაირ ხილვებში ვიყავ ის 3 დღე. მე არა, მაგრამ შენ არ ვიცი გამოგიცდია თუ არა სიზმრად ნახულის ახდენა ცხადში?...

შეხედა დავითმა ბერს, კარგად იცოდა მისი სიტყვაძუნწობის ხასიათი და როცა თანხმობის ნიშნად თავის დაქნევა შენიშნა მისი, დადუმდა თვითონ:

– მეფევ ბატონო, კაცზე ჰკიდია როგორ აღიქვამს სიზმარში ნანახს. შემთხვევა მახსენდება ერთი კახეთში, როცა შენი დემეტრე მყავდა იყალთოს. ამინდები იდგა კარგი, მზის სხივებით იყო სავსე ალაზნის ველი, მასზე გაშლილი ვენახის სანახები და ეტყობა ვაზის ყლორტებზე მზის სხივთა ნავარდი

სიზმარშიც გაგვყვა ორივეს და აღსრულებაც სიზმრისა ის იყო, რომ მეორე დღეს იშვა ეს საოცრება – **„შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული...**

ნორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,

ალვა სურნელი, სამოთხით გარდმოსული...“

დავითმა შეაწყვეტინა:

– შენ სულიერი მამა ხარ დემეტრესი და მითხარი მართლად – განა შენი ხელი არ ურევია ამ მართლაც შედევრ–ლექსში, სიმღერად და გალობად რომ განევრცო ამერ–იმერით?!...

– არა მეფეო. როცა ტექსტს გავეცანი, მოხიბლულმა ერთი სიტყვის შეცვლაც კი შეუძლებლად მივიჩნიე, ვაზის რქებივით ისე იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულნი–გადახლართულნი... სიზმრის ახდენამ გამახსენა ეს ყველაფერი.

მეფე კი ფიქრს მიეცა კვლავ და შეწყვეტილი აზრი ბოლომდე თქვა:

– შიო მღვიმის მონასტერში პეტრე იბერის ხილვისას, ეს გაფრთხილებაც მისი ჩამრჩა მეხსიერებაში: დიდი განსაცდელი გელით ქართველებს... ჟამი შენებისა და დიდებისა შეიცვლება ჟამით დაცემისა და დაკნინებისა, ჭკუით ყოფნა გმართებთ რომ გადარჩეთ და არ გადაშენდეთ...

– მადლობა უფალს, მე ჩემი მარჯვენით და ჭკუა – გონებით საქმე აქამდე არ მივიყვანე. ახლა თქვენზეა ჯერი, ვინძლო აღშენებულის დანგრევამდე არ მიდგეს საქმე...

მერე ბუხარს მიაპყრო თვალი, თითქოს იქ ეძიებდა სათქმელს და გააგრძელა ჩაფიქრებულმა:

– არ ვიცი ვის როგორ ეყოფა ჭკუა–გონება ჩემს შემდეგ, მაგრამ ხილვის ჟამს ნახულ–განცდილი პეტრე იბერის ეს გაფრთხილება მარად უნდა გახსოვდეთ ქართველთ...

– ესეც მინდა გითხრა შენ: სწორედ პეტრე იბერის ცხოვრების გამოცდილებამ მიმიყვანა მეც ამ ჭეშმარიტებამდე: ეს ჩვენი დედამიწა ხომ, შემოქმედმა ყველასთვის შექმნა, ყველა ადამიანისთვის თანაბრად. მაშ, რატომ ვყოფთ მას, ვისაც როგორ მოგვინდება... ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი აერთიანებს – ნუთუ ეშმაკს უფრო ვემონებით, ვიდრე ღმერთს?!...

– ქვეყანას გონიერება უნდა მართავდეს, გონიერება და ზნეობა ერთდროულად. ისინი ერთმანეთის გარეშე არ ვარგანან ერთ თეთრადაც... გონიერებისა და ზნეობის ძალას ვერასოდეს ვერაფერი შეცვლის ამქვეყნად და ამიტომაც ავაღზევე მწიგნობართუხუცესობის სახელო ქვეყნის სამართავად ყველაფერზე მაღლა, თვით ჯარზეც კი... სანამ ეს ასე იქნება საქართველოც მუდამ ძლიერი და ბედნიერი იქნება. სხვანაირად უზნეო და უწიგნური ერი მომავლის გარეშეა დარჩენილი...

– ვიცი, ძალიან ძნელია პეტრე იბერის იდეალის საქმედ ქცევა... დიახ, ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი აერთიანებს, მაგრამ კაცის ტრაგედიაც ისაა, რომ ეშმაკი ხშირად სძლევს... სხვანაირად, საყოველთაო მშვიდობა და სიკეთე უნდა იყოს დღეს. ეგების ჩვენ თუ არა, ჩვენს შემდეგ მაინც საქმედ იქცეს ჩვენი კაცის ის დიდი იდეალი უდაბნოში რომ იქადაგა ამ 600 წლის წინ... ზნეობისა და გონიერების ზეობა უნდა ამას...

– ესეც ჩემი ანდერძია თქვენთვის და თქვენთან ერთად მთელი ერისთვის: ქართველ ერს მადლობა ღმერთს, გონიერნი და ზნეობრივნი არასოდეს ჰკლებია, არც დღეს აკლია და მომავალშიც არ მოაკლდება. მთავარია რომ ასპარეზი მივცეთ ორივეს. მათ ხელის გამართვა უნდათ და არა ხელის შემართვა...

უხმოდ ისმენდა დავითის აღსარება – ანდერძს ბერი არსენი. ფიქრით კი ამას ფიქრობდა:

– კიდევ თუ ეღირსება ქვეყანას მოვლინება მსგავსი ღვთისნიერი კაცის და მეფის...

და სამწუხაროდ, არსენი ბერის ეს ეჭვნარევი ფიქრი გამართლდა საუკუნის შემდეგ: ლაშა გიორგიმ და მისმა **„რინდთა პარტიამ“** ქვა ქვაზე აღარ დატოვეს დავითის აღშენებულიდან. **„მწიგნობართუხუცესობა“** – გონებისა და ზნეობის ძალა **„ათაბაგობის უცხო ბაძით“** და უზნეობის ძალით შეიცვალა. იავარიქმნა ყველაფერი, რასაც ქართული ერქვა... ამიტომაც **„ძნელბედობამ იძალა ყოველის მხრიდან“** – გვამცნობს გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი...

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის,
თუ არ ბრძენი ენამჭევრი“...

გულისტკივილით წერს ქართლიდან ლეკთაგან გატაცებული პოეტიც...

მაგრამ თუ ერი განწირული არ არის საბოლოო მოსპობისა და გადაშენებისთვის, ღმერთი მაინც მოუვლენს ხოლმე კაცს, რომელსაც მისიად ერის სულიერი და ხორციელი გადარჩენა აკისრია. ახალ საუკუნეებში შემობიჯებულ ქვეყანას სწორედ ასეთი კაცი მოევლინა...

„პატარა კახი“

იდგა იანვარი, ოღონდ არა 1125, არამედ 1798 წლისა, თანაც არა თბილისის, არამედ თელავისა, კახთ მეფეთა სასახლის იმ ოთახში, სადაც 1720 წლის 7 ნოემბერს ქვეყნიერებას ერეკლე მოევლინა. და ისევ იმ ოთახში, სადაც დაიბადა, ქვეყნიერებას ემშვიდობებოდა **„პატარა კახი“**, მთელი ცხოვრება აბჯრითა და ხმლით რომ გალია...**„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონი ირაკლისა“** – ასეთი იყო მისი და მისი ხმლის განვლილი გზა...

„პატარა კახის“ ზეწოდებით შეიყვარა ხალხმა, ამ სიყვარულით იცხოვრა ამ ოთახში, ამ გარემოში იქნია ხმალი თავის ხალხთან ერთად, სანამ შეეძლო... თავის თავზე არ უფიქრია, არ უღვაწია, იფიქრა და იღვაწა ჯერ ხალხზე და ქვეყანაზე, ჯერ მათ უნდათ შველა და გადარჩენა, რამეთუ დრო–ჟამი შეხვდათ საშინელი. განსაკუთრებით ეს შიდა კახეთსა და ალაზნის ველზე ითქმის –პირველ დარტყმებს ისინი იღებდნენ მუდამ...

გეოგრაფიულად კახეთი ორი რეგიონისგან შედგება – ალაზნის ველი და ივრისპირეთი. ალაზანი და იორი თავისებურ **„შუამდინარეთს“** ქმნიან ტიგრისა და ევფრატის მსგავსად. მონღოლების შემოსევების შემდეგ მართალია ივრისპირეთი გავერანდა და მოსახლეობისაგან დაიცალა, განსაკუთრებით ივრის ქვედა წელი, მაგრამ სამეურნეო თვალსაზრისით იორი და ივრისპირეთიც ყოველთვის კახეთის მნიშვნელოვანი მხარე იყო. იორს, ისე როგორც პალესტინის იორდანეს (ფუძე–სახელებიც რომ ერთნაირი აქვთ!), ერთი უნიკალური თვისებაც აქვს – როგორიც გინდ გვალვა არ იყოს, იორი ფაქტიურად სულ ერთნაირი დონით მოედინება, სანამ იგი ალაზანს და მტკვარს შეუერთდება...

დემოგრაფიული თვალსაზრისით კი კახეთი 4 დიდი თემისგან შესდგება ისტორიულად: შიდა–კახეთის ორი თემა – ქიზიყი და მთა–თუშეთი. ამასთან, ჰერეთიც, როცა იგი დაჩიავდა, ფაქტიურად კახეთის თემი გახდა. რაც შეეხება გარე–კახეთს, იგი გარეჯისა და ერწო–მთიანეთის თემებად ერთიანდებოდა გომბორის ქედის მთელ გაყოლებაზე არაგვის მარცხენა სანაპიროებამდე და ხევსურეთის ჩათვლით. მიგრაციული პროცესებით ყველა ეს თემი ერთ დიდ რეგიონს ქმნიდა ერთიანი სოციალურ–ეკონომიკური ცხოვრებით. ესეც ხომ ფაქტია – ჭავჭავაძეთა გვარი ხევსურეთიდან ალაზანგაღმა ყვარელში XVII საუკუნეში ჩასახლდა. **„გარსევანიანთ ჭავჭავაძეებთან“** მათ საერთო არაფერი ჰქონდათ... ილიას ამიტომაც ხშირად უყვარდა თქმა – ჩემს ძარღვებში ხევსურული სისხლი ჩქეფსო...

XVII – XVIII საუკუნეებმა განსაკუთრებული როლი ითამაშა კახეთის და მთლიანად, საქართველოს ისტორიაში. **„ყოფნა–არყოფნის“** საკითხი იდგა მაშინ.

„ყველაზე ავბედითი საუკუნე საქართველოს ისტორიაში“ – ასე უწოდებს ივანე ჯავახიშვილი მთელ XVII საუკუნეს და მისი მომდევნოს დასაწყისსაც. შაჰ–აბასის გენოციდურმა ლაშქრობებმა ეჭვის ქვეშ დააყენა თვით ქართველი ერის არსებობაც. ქართლ–კახეთში ყიზილბაშური ტომების ჩამოსახლებას და ქართლ–კახეთიდან ქართველების ირანში გასახლებას ერთი მზაკვრული მიზანი ჰქონდა – ქართლ–კახეთი ქართველობისგან დაცლილიყო და ირანის ჩვეულებრივ მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცეულიყო და ამრიგად ორივე კავკასია – ჩრდილოეთიც და სამხრეთიც ახალი დიდი ირანული იმპერიის ფორპოსტი გამხდარიყო.

ეს იყო ერთი მხრივ, ირანის სამხედრო–პოლიტიკური სტრატეგია. მეორე მხრივ, კავკასია თანდათანობით რუსეთის ახალი, სულ უფრო მზარდი იმპერიის

სამხედრო–პოლიტიკური სტრატეგიის არეალი ხდებოდა. ამას ემატებოდა ოსმალთა იმპერიის კავკასიური და შავიზღვისპირული სამხედრო–პოლიტიკური სტრატეგია და ნათელი ხდება, თუ რა ისტორიულ გარემო–პირობებში უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველობას და მათ პოლიტიკურ ლიდერებს XVIII საუკუნის მანძილზე: სამი დიდი მტაცებელი სამხედრო–პოლიტიკური ძალა სამად გახლეჩას უპირებდა ქვეყანას. საქმე მხოლოდ დასწრებაზე იყო ვინ მეტს წაგლეჯდა და გადასანსლავდა თავისი იმპერიული მადის დასაკმაყოფილებლად სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან, თუ სამხრეთ აღმოსავლეთიდან...

პატარა კახიც ამ სამი მტაცებელის მუდმივი დევნისა და ზეწოლის, თვით ფიზიკური ანგარიშსწორებისა და განადგურების საფრთხის ქვეშ ცხოვრობდა. ძლიერი და ჭკვიანი ვის რაში აწყობს და ყველა ცდილობდა მის თავიდან მოშორებას, მისი ხალხისა და ქვეყნის დამარტოხელობას – ამით უკეთ შეასრულებდნენ თავ–თავიანთ სურვილსა და გულისნადებს. ამ შემთხვევაშიც მოქმედობს ეს უკვდავი პრინციპი – **„ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“...**

მაგრამ ერთია, როცა მარტო შენი თავისთვის ხარ **„კარგი“**, შენს პიროვნულ ინტერესებს და მიზნებს ემსახურები მხოლოდ და მეორეა, როცა მათზე კი არ ფიქრობ, არამედ საერთო –საქვეყნო ინტერესებს და მიზნებს მათზე წინ აყენებ, დღენიადაგ მათზე ფიქრობ. ერს და ქვეყანას, მათ არსებობას და მომავალსაც მხოლოდ ეს გადაარჩენს, სხვანაირად იგი დაღუპვა–გადაშენების გზას დაადგება... ერეკლე მეფე ასეთ **„კარგ“** კაცად და მეფედ მოევლინა ქვეყანას საქართველოს **„ძნელბედობის ჟამს“...**

ხალხის საყოველთაო სიყვარულის მოპოვება ადვილი საქმე არაა, ამას უმაღლესი ზნეობა, სიბრძნისა და კაცობის დიდი ნიჭი უნდა, ის რასაც ილია **„დიდბუნებოვან კაცობას“** უწოდებს. სწორედ ასეთი კაცი და მეფე იყო **„პატარა კახი“**, სახელი, რომელიც ხალხმა შეარქვა არა ტანის ფიზიკური მონაცემების, არამედ გმირობისა და ვაჟკაცობისთვის, როცა ჯერ კიდევ 15 წლის ყმაწვილმა ალაზნის ველზე უმაგალითო და საარაკო გამარჯვება მოიპოვა მტერზე. ეს გმირობაც და ვაჟკაცობაც თავისთავად არ მოდის – ისიც დიდი ზნეობრივი და სულიერი ძალიდან მოდის – ყველა დიდი გმირობა ხომ მარტო სულის ღონეა და სხვა არაფრის... საყვარელი შვილის ცხედარიც კი არ მიიღო დასატირებლად, ძაღლებს მიუგდეთ დასაგლეჯადო, ბრძანა, როცა ჭორად მიუვიდა ამბავი რომ სხვის ცოლის წართმევისთვის იქნა მოკლული... არადა, ლაშა გიორგიმ სწორედ სხვის წართმეული ცოლი დასვა დედოფლად, შვილი კი მერე მონღოლებმა ქართველობას მეფედ დაუსვეს. ბევრწილად ამ უზნეობამ ასაზრდოვა ქვეყნის შემდგომი ძნელბედობებიც არაერთი საუკუნის მანძილზე...

მაგრამ მხოლოდ ზნეობრიობა და **„დიდბუნებოვანი კაცობა“** არ იყო ერეკლეს ძალა. პოლიტიკაში, სახელმწიფო მართვა–გამგეობაში წარმატებას სხვა

ბევრი რამ თვისებაც სჭირდება. ეს პირველ რიგში, რეალიზმია, ის, რასაც **„რიილ–პოლიტიკა“** ჰქვია დღეს. ამ ეპოქას სწორედ ეს თვისება სჭირდებოდა. ილია წერს:

„მეფე ერეკლე „რკინის კარი“ იყო საქართველოსი... ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდბუნებოვანობისა. ეს „რკინის კარობა“ პატარა კახისა ოთხ კედელშუა მოგონილი ეპითეტი კი არ არის კარჩაკეტილი მწიგნობარისა, არამედ სიტყვაა ერის გულით შობილი... ხმა ერისა და ხმა ღვთისა ისე არ მართლდება ხოლმე, როგორც ამისთანებში... ეს ძნელად მოსაპოვებელი განძია“ და ამ **„განძზე“** აქვე მოჰყავს ეს ხალხური სიბრძნეც:

ვერ გაგიგიათ ქართველნო,
შაგვეხსნა რკინის კარია,
აღარ გვყავს მეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია!

ილიას აზრის გასაგრძელებლად აქ ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ ჩვენი ფოლკლორიდან ეს მაგალითიც:

„ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო,
თელავში თუშმა გაგფერა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა!“

ამ ოთხ სტრიქონში მაშინდელი ეპოქის მთელი ისტორიაა ჩაქსოვილი, ის, თუ რა გმირობით და ვაჟკაცობით იდგა ერეკლე და მთელი ჩვენი ერი ხმლით ხელში ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის გადასარჩენად. ამიტომ გახდა ერეკლე მეფე ნამდვილი სახალხო გმირი, ის **„განძი“**, რაზედაც ილია ლაპარაკობს სტატიაში – **„ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“**.

ამ **„განძზე“** – ერეკლე მეფის დიდ სახელზე მარტო ჩვენ არ ვლაპარაკობთ და იგი მარტო კავკასიაში არ იყო ცნობილი. მისი ძალა და ფასი ირგვლივ ყველამ იცოდა და აფასებდა, მცირე აზიაშიც, რუსეთშიც, ევროპაშიც, თვით ირანშიც, შაჰობას რომ სთავაზობდნენ მაჰმადიანობას თუ მიიღებდა... და ერთი შტრიხი, რომელიც აშკარად ამბობს მის დიდ პიროვნულ ძალაზე; **„ერთმორწმუნე“** რუსეთის მაშინდელმა სპეცსამსახურებმა, რომლებიც უკვე აქტიურად მუშაობდნენ საქართველოში, დაასკვნეს – სანამ ერეკლე მეფე ცოცხალია, საქართველოს დაპყრობა და შემოერთება შეუძლებელია. ეკატერინე II და პოტიომკინი დაარწმუნეს – საჭიროა მისი ამა, თუ იმ ფორმით ნეიტრალიზება. ჯერ ტოტლებენით სცადეს ეს, მერე პაატა ბატონიშვილით და ალექსანდრე ამილახვარით, მერე კი გარუსებული გერმანელი ექიმით იაკობ რაინეგსით ...

XVIII საუკუნის ბოლოსთვის რუსეთმა შავი ზღვა–კასპიისპირეთსა და კავკასიაში თავისი სამხედრო–პოლიტიკური სტრატეგიის განხორციელებისთვის 3 დიდი საყრდენი ბაზა შექმნა – ასტრახანში, ვლადიკავკაზსა და ყირიმში. სანამ დარიალის ხეობაში სამხედრო გზას გაიყვანდა, კახეთისთვის ყველაზე მისაღები

მაინც **„ასტრახანის გზა“** იყო: ყაზანისა და ასტრახანის სახანოების აღებისა და შემოერთების შემდეგ ივანე IV ვოლგისპირეთი შიდა–რუსულ ტერიტორიებად აქცია, **„მეთოფეთა პოლკების“** საბატონო არეალად. უკვე XVII საუკუნიდან **„მატუშკა ვოლგა“** ერთდროულად ურალისა და ციმბირის ხალხების დაპყრობა–დამორჩილების პლაცდარმიც გახდა, ისე, როგორც მონღოლური **„ურა“–ს** ძახილი დაშინებისა და ფსიქიკური ზეწოლის იარაღად და საშუალებად...

მოყოლებული ალექსანდრე დიდიდან, კახელებიც ამ გზით სარგებლობდნენ რუსეთთან ურთიერთობაში. ამ გზით გააგზავნა 300 კაციანი დელეგაცია თეიმურაზ I რუსეთთან **„დასამოყვრებლად“**, ამასთან, თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილიც, მომავალი ერეკლე I რუსეთის სამეფო კარზე აღსაზრდელად. ეს სამსახელიანი და სამსახოვანი პიროვნება (ერეკლე I, **„ნაზარალი–ხანი“, „ნიკოლოზ დავიდოვიჩი“**), გამორჩეულად დგას საქართველოს ისტორიაში. ამ თემაზე ცალკე ღირს გაჩერება, აქ კი ვიტყვით, რომ რუსეთის სამეფო კარზე **„ნიკოლოზ დავიდოვიჩად“** მონათლული, 1652 წელს მოსკოვში პირველი ქართული კოლონიის ერთ–ერთი დამფუძნებელთაგანია, **„ბოლშაია ი მალაია გრუზინსკაიას“** სახელდებით რომ არის ცნობილი დღესაც...

თეიმურაზ I რუსეთთან **„დამოყვრების“** მიზანი შედგა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც: როცა უკვე სიბერეში ალექსი მიხეილის–ძემ მეორედ იქორწინა ნატალია ნარიშკინაზე – შვილიშვილად რომ შეჰფეროდა მას, ერეკლე ამ დროს უკვე ჩვენებურად რომ იტყვიან, **„შეღერებული ჯეელი იყო“** და მას და ნატალიას შორის ისეთი დიდი სიყვარული გაიბა, რომელმაც ასეთივე დიდი ნაყოფი – პეტრე დიდი შვა... თვითონ ერეკლე კი ამ ვნებიან სიყვარულს გადაჰყვა – მალე იძულებული გახდა თავი ახლა სპარსეთის შაჰის კარზე ამოეყო, სადაც იგი უკვე **„ნაზარალი ხანი“** გახდა...

საერთოდ, კახელ ბაგრატიონებში სახელი – **„ერეკლე“** ეტყობა, რაღაც თავისებური ბედისწერის მატარებელია. რუსეთში გაგზავნილ კახელ უფლისწულს თავი რომ გავანებოთ, მეორე ერეკლეც ამის მაჩვენებელია...

ერეკლე მეფე და იაკობ რაინეგსი...

იშვიათად ნახავთ ისტორიაშიც და თანამედროვეობაშიც ასეთ ფაქტს – სამტროდ მოსული და მოსაკლავად მოგზავნილი კაცი ბოლოს მსხვერპლის უერთგულესი ძმა და მეგობარი ხდება. ასე მოხდა სწორედ ამ შემთხვევაში: ერეკლეს დიდბუნებოვანობით მოხიბლული იაკობ რაინეგსი მისი თაყვანისმცემელი გახდა და არც უფიქრია ეკატერინეს **„უზენაესი დავალების“** შესრულებაზე. ის მართლაც, რომ უნიკალური თემაა მხატვრული გააზრებისთვისთაც...

საინტერესო ცნობას გვაწვდის ამაზე ზაქარია ჭიჭინაძე, თანაც უშუალოდ იმ პირთა მოგონებებზე დაყრდნობით, რომლებიც ამ მოვლენების მოწმენი იყვნენ. გარდა ამ ცოცხალი და მოქმედი მოწმეებისა, ივ. ჯავახიშვილს ნაშრომში – **„დამოკიდებულობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“,** მოჰყავს უამრავი დოკუმენტური მასალა, რომლებიც ცხადყოფენ იმ ვერაგულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისკენ – რაც შეიძლება დაესუსტებინათ ერეკლე მეფის ხელისუფლება, რომ მას წინააღმდეგობის გაწევის უნარი და ძალა გამოლეოდა. რაინეგსისადმი დავალების მიზანიც ეს იყო – ეს მას პირადად პოტიომკინმა აუხსნა და განუმარტა – წერს ივ.ჯავახიშვილი.

კაცი რომ სიკვდილის სარეცელზე წევს, განვლილი ცხოვრებიდან ათასი რამ ახსენდება – ავიც და კარგიც, ნანვისაც და საკვეხარისაც. ერეკლეს წუთისოფელმაც აქ გაიარა, ამ ქალაქში, ამ ქონგურებს შორის... მოსაგონარიც აქა აქვს ბევრი...

– სანანებელი?, რამდენიც გინდა! მეხსიერებას რომ გადახედავს კაცი, რამდენსაც გინდა, იმდენსა ნახავს... ხალხისა და ქვეყნის პატრონობა ძალიან ძნელია, კარგს შენსას ნაკლებად ხედავენ, არც გიფასებენ, შეცდომებს კი არ შეგარჩენენ, არ გაპატიებენ... მაინც, რა ცუდადა გვაქვს დაცდილი ბაგრატიონებს ეს სახელი – **„ერეკლე“**, ჩემს წინამორბედს სარეცელზე სიკვდილიც კი არ ეღირსა – მოსკოვი, თეირანი – სტამბულის გზაზე ამოხდა სული... მეც სად არ ვიარე, ინდოეთს ვუწიე, მაგრამ უფალს მადლი, ჩემი ბოლო ნავსაყუდარი მაინც თელავი გახდა, აი, ეს ოთახი, სადაც ახლა ველოდები იმქვეყნად წასვლას...

– სანანებელი ბევრი აქვს, ვისაც კი ამქვეყნად რამე საქმე უკეთებია... იქნებ ასე სჯობდა და არა ისე... რამდენს მსაყვედურობენ – ამ რუსებთან არ უნდა დამეჭირა საქმე, ცბიერები არიან, მოგატყუებენ, მოგაღორებენ, გაგაცურებენ... დალოცვილები, ისე გამოდის, თითქოს უკეთესი არჩევანი იყო რაიმე? ასე არა და, მეჩეთებად იქცეოდა ალაზნის ველი, ქართლ–კახეთიც და ბოლოს მთელი ამერ–იმერის მთაცა და ბარიც. ამას ვეღარავინ ამოშანთავდა – განა ასე არ მოხდა მესხეთში და მთლიანად კავკასიაში?... ამ მხრივ მაჰმადიანობის ძალა ათმაგად აღემატება ყველა რელიგიას რაც კი რამ არის დედამიწაზე, ძნელად გამოდევნის კაცი გონებიდან მას. რამდენჯერ დავრწმუნდი ამაში ირანში ყოფნისას...

– რუსები!?... რუსებს მასწავლიან მე, მათ სიტყვის ფასს და ცბიერობას რომ საზღვარი არა აქვს, ჯერ კიდევ ასპინძასთან ვნახე ამ 25 წლის წინ. ისე ვერაგულად მიმატოვეს თურქებთან პირისპირ, არც კი მეჯერებოდა ეს საქციელი – მეგონა რაღაც მანევრს აკეთებდნენ მტრის მოსატყუებლად... მერე ელოდებოდნენ მხოლოდ ჩემი და ჩემი ჯარის განადგურების ცნობას, რომ პოტიომკინისთვის ეცნობებიათ თბილისიც და საქართველოც ჩვენს ფეხთქვეშაა, ერეკლეს და ქართველების გვამები კი მტკვარს მიაქვს იქით, კასპიისაკენ... ჩემმა მკლავმა, თავმა და უფალმა გვიხსნა მაშინ...

სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ნათქვამია და რაც პატარა კახმა გააკეთა იმ გაჭირვების ჟამს, ეს უფრო არის გასაკვირი, თუნდაც ასპინძასთან... თვითონ ტოტლეშენსაც ხომ გაუკვირდა – არ ეჯერებოდა ეს სასწაული გამარჯვება და თავისი მისიის ჩაშლაც – ერეკლეს განადგურება თავის ჯარიანად. ახლა სხვა რამ უნდა ეღონათ ერეკლეს თავიდან მოსაშორებლად...

იაკობ რაინეგსიც ამ მიზნით გამოაგზავნეს. იგი პროფესიით ექიმი იყო, კარგად იცოდა სააფთიაქო საქმეც და შესაბამისად, წამალთან ერთად საწამლავის დამზადება–გამოყენებაც. მაგრამ ეკატერინე II და პოტიომკინის ეს მზაკვრული იდეა და ჩანაფიქრი ჩაშალა იმან, რასაც ილია ერეკლე მეფის **„დიდბუნებოვანობას“** უწოდებს. ეს გერმანელი კაცი მან სიკეთე–სიყვარულის და სტუმარ–მასპინძლობის ისეთ გარემოცვაში მოაქცია, ისეთი სრული თავისუფლებისა და პატივისცემის გარემო–პირობები შეუქმნა, რომ ბოროტებიდან სიკეთისკენ შემოატრიალა... თავისი საყვარელი შვილი ბატონიშვილი ალექსანდრე დაუნიშნა ადიუტანტად, რომელმაც კიდევ უფრო გააოცა ეს უცხოელი კაცი თავისი ქცევა–ქმედებით, მთელი საქართველო, მისი მთა–ბარი შემოატარა, თვითონ ბატონიშვილიც შეყვარებული გახდა ამ კაცზე...

გავიდა თვეები და დავალება კი შეუსრულებელი რჩებოდა. რეზიდენტს არც მაშინ და არც დღეს არავინ აპატიებს ამას და რაინეგსიც ვითომც სხვა რაღაც საქმისთვის ასტრახანში გამოიძახეს სხვა უფრო **„უკეთეს სამსახურში დასაწინაურებლად“**. იქიდან ისევ მოტყუებით ვითომცდა, იმპერატორთან შესახვედრად გააგზავნეს პეტერბურგს და მისი კვალიც ამით საბოლოოდ დაიკარგა ასტრახანი – პეტერბურგის გზაზე...

ერეკლე მეფე და იოსებ ემინი

ყველაფრიდან ჩანს, რომ ერეკლე მეფეს გეორგევსკამდე არაერთი ცდა ჰქონდა პირდაპირი კავშირ–ურთიერთობა დაემყარებინა ევროპასთან. ცნობილია მისი წერილები ავსტრიის იმპერატორთან მეგობრობისა და თანამშრომლობის წინადადებით, **„ზარბაზნების საქმეში დახმარების“** თხოვნით. ივ. ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ეკატერინე II რუსულ–გერმანული დიპლომატია და სპეცსამსახურები აქაც არ აკლებდნენ ცდას ჩაეშალათ ერეკლე მეფის ეს **„ევროპული გადაცდომები“**...

ის ზამთარიც 1798 წლისა ისეთი დიდთოვლიანი გამოდგა გრძელი ღამეებით, ფიქრს რა გამოულევდა ფიქრის და განსჯის მოყვარულ კაცს...

– დალოცვილები, ისე მეუბნებიან – დარიალის კარს ნუ გაუხსნი რუსებსო, თითქოს მაგათზე მქონდეს ჯვარი დაწერილი და არ ვიცოდე, რომ რუსეთს ევროპა სჯობდეს... მაგრამ თვითონ ევროპა? უნდა კი მას იმ ალიაქოთში ჩართვა, რასაც საქართველო და კავკასია ჰქვია? განა ცოტას ვეცადე მეც ამ საქმეს?

დალოცვილებს, ერთი ზარბაზანი და ზარბაზანის მცოდნე კაციც კი ვერ გამოვაგზავნინე...იოსებ ემინიც ტყუილა გაისარჯა...

– ემინი ჭკვიანი კაცია, არც ძალა და არც ფული დაუზოგია, მაგრამ რა – ცარიელი დაპირებები მხოლოდ... ეს დაპირებები კი რას გშველის აბა, როცა ამდენი სვავი და ყვავ–ყორანი დაგტრიალებს თავს? ... არავის უნდა კავკასიის მთებში ცხვირის შემოყოფა, არც ინგლისს, არც ავსტრიას, არც ესპანეთს, თორემ ჩემს წერილებსა და ცდებსაც რომ თავი გავანებოთ, ჯერ კიდევ 300 – 400 წლის წინ რამდენმა ბაგრატიონმა სცადა ყველა მათგანთან ხმის მიწვდენა...

– რამდენი მიფიქრია ადრეც და დღესაც, – დღეს მითუმეტეს, ფიქრის მეტი რა დამრჩენია, – იქნებ ინგლისი დავაინტერესოთ, მაინც ინდოეთს წაეპოტინა, მაგრამ ბედი უნდა კაცსაც, ერსაც და პოლიტიკასაც, – მაინცდამაინც ახლა აღმოჩნდა საზღვაო გზა ინდოეთისკენ... აი, გლობუსზეც კი ნათლად ჩანს, რა მოკლე და სახერხოა ეს გზა მათთვის, მითუმეტეს მაშინ, როცა ჩვენი მხარე ასე სადაო და საჯილდაოა... ჯვაროსნებისა და ბიზანტიის შემდეგ ევროპამ ფეხი ამოიკვეთა აქეთკენ. ცდა კი, უფალმაც იცის, არ დამიკლია...

ყურადღებას იქცევდა წარმოშობით სომეხი სოვდაგრის, ინგლის–ინდოეთის სავაჭრო კამპანიის წარმომადგენლის ხშირი ყოფნა საქართველოში, მისი საშუამავლო როლი საქართველოსა და კავკასიით ინგლისის დაინტერესების მიზნით. ერეკლე დიდ პატივს სცემდა მას. იოსებ ემინი იმდროისათვის პროგრესულად მოაზროვნე კაცი აღმოჩნდა და ერეკლესთან ერთად, როგორც იტყვიან, ამ დიდი პოლიტიკური იდეით დაიმუხტა. ორივეს სურდა აღედგინათ **„დიდი აბრეშუმის გზა“** ჩინეთიდან და ინდოეთიდან ატლანტიკამდე. ეს სახმელეთო საქარავნო გზა ასე თუ ისე მაშინაც მოქმედებდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ათვისებული იყო აფრიკის გარშემოვლით ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა...

თვითონ ემინიც, როგორც პრაქტიკოსი ვაჭარი ინგლისთან ვაჭრობაში სახმელეთო გზით სარგებლობდა ირანზე, სომხეთზე, საქართველოზე, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაზე გავლით. ინგლისის მაშინდელ პარლამენტში მან შესძლო ამ იდეისადმი რამდენიმე ლობისტი დეპუტატის მოძიებაც და ერეკლე მეფის წერილებისთვის სათანადო ადრესატების გამოძებნა. ემინს ის მოტივიც ამოძრავებდა, რომ ინგლისის უმაღლესი პოლიტიკური წრეების დაინტერესების შემთხვევაში, საქართველოსთან ერთად, სომხეთსა და სომეხ ხალხსაც ეშველებოდა. ეს იყო ქართულ–სომხური სახელმწიფოს აღდგენის დიდი იდეა, **„ოქროვან ხანაში“** რომ განხორციელდა დავითის ძალისხმევით...

სომხეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სტრატეგიულად ყოველთვის ჩვენზე უარეს დღეში იყო. ამას უსვავს ხაზს ილიაც **„ქვათა ღაღადის“** შესავალსა და დასკვნაშიც... ამიტომ იყო, რომ ფაქტიურად თავისი სახელმწიფო არც ჰქონია ტიგრან II შემდეგ და მუდამ იძულებული იყო რომელიმე დიდ და

ძლიერ სახელმწიფოს აჰკიდებოდა. უპირატესად ეს ირანი იყო, რომელიც სომხებს ვაჭრობა–ხელოსნობის განვითარებისთვის იყენებდა.

X–XIII საუკუნეებში სომხებმა თვალი და ყური ჩრდილოეთით საქართველოს მიაპყრეს, როცა ბაგრატიონებმა ქვეყნის გაერთიანება დაიწყეს. ბაგრატ III უკვე სომხეთის საზღვრებსაც მიადგა, ხოლო მისი შვილთაშვილის დიდი დავითის რეგალიები თვით სომხურ წყაროებშიც ხომ ასეა დაფიქსირებული: **„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“**. შუა საუკუნეებში კი ნამდვილი გენოციდი განიცადა სომეხმა ხალხმა. ამ პერიოდში თვით მისი არსებობის საკითხის ეჭვის ქვეშ დადგა. ირანელი ხანების და თურქი ფაშების განუყოფელი ბატონობა დამყარდა ირგვლივ ყველგან...

ისე, რომ სომხეთი XVIII საუკუნის ბოლოს ორი მტაცებელი მაჰმადიანური სახელმწიფოს – ირანისა და თურქეთის მძევალს წარმოადგენდა. ჩრდილოეთით ერთადერთი საქართველო იყო **„ხსნის გზა“,** მისი გადარჩენის საშუალება, თავისი ეროვნული და რელიგიური იდენტობა, რომ შეენარჩუნებინა. ერეკლე მეფე ერთგულად ამოუდგათ მათ მხარში, ასობით დევნილი სომეხი ჩაასახლა ქართლ–კახეთში, – თბილისში, სიღნაღში, ველისციხესა და თელავში, რითაც ბიძგი მიეცა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებასაც. ემინი უაღრესად მადლიერი იყო ერეკლეს ასეთი კაცთომყვარული პოლიტიკისა, მას პირადადაც ბევრი შევიწროებული და დევნილი ნათესავი ჰყავდა როგორც ირანის, ისე თურქეთის ტერიტორიაზე, რომელთაც შველოდათ თავშესაფარი ეპოვათ ერეკლესთან. ქართული–სომხური ფედერაცია მისთვის ამ ორი ხალხის ეროვნული და რელიგიური იდენტურობის შენარჩუნების ერთადერთ გზად მოჩანდა...

ერთი სიტყვით, იდეის დონეზე თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. ერეკლეც მზად იყო შექმნილიყო ერთიანი ქართულ–სომხური სახელმწიფო და თუ შესაძლებელი გახდებოდა მთელი კავკასიური ფედერაციაც ოღონდ, დიდი ევროპული სახელმწიფოების პროტექტორატით. მას როგორც რეალისტ პოლიტიკოსს ესმოდა, რომ სხვანაირად ამას არაფრით დაუშვებდნენ არც თურქეთი და ირანი, არც რუსეთი. მაგრამ სანამ ემინი ამ იდეით ინგლისელ პოლიტიკოსებს ხიბლავდა, რუსეთი საქმით აკეთებდა თავის საქმეს კავკასიაშიც და საქართველოშიც. ერეკლე მეფეც გრძნობდა ინგლისისა და ევროპის სრულ ინდეფერეტიზმს კავკასიური პრობლემებისადმი. ამიტომაც ბურთი და მოედანი არა მარტო აქ, არამედ ბალკანეთშიც და მთელ შუა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში რუსეთს რჩებოდა. ეს მზარდი იმპერია მთელი თავით მაღლა დადგა სრული დეგრადაციის გზაზე მდგარ თურქეთისა და ირანის იმპერიებზე.

მერკანტელისტური ევროპა კი თავისი სავაჭრო–ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მისგან შორეული რეგიონების საქმეებში აქტიურ ჩარევას შორიდან მაყურებლის როლს არჩევდა და შეიძლება მართალიც იყო – ზედმეტად თავის ატკივება სხვათა პრობლემებით და გასაჭირით არავის უნდა... ისე, რომ ემინის მიმოსვლა თბილისს და ლონდონს შორის პოლიტიკური

თვალსაზრისით ამაო გამოდგა და ინგლისის **„სამრეწველო რევოლუციაც“** ჩვენთვის ზედმეტი და მიუწვდომელი აღმოჩნდა... სამაგიეროდ ძალიან ახლო აღმოჩნდა და **„მისაწვდენიც“** რუსეთი, რომელიც ტრადიციულად ეკონომიკურად და ტექნიკა–ტექნოლოგიებით მუდამ ჩამორჩებოდა ევროპას, მაგრამ სამაგიეროდ, სამხედრო–პოლიტიკური თვალსაზრისით ტოლს არ უდებდა მას. პრაქტიკაში კი ამ უკანასკნელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაშინაც და ახლაც....

კრწანისამდე და კრწანისის შემდეგ...

ამასობაში მოახლოვდა კიდეც XIX საუკუნე. რუსეთის იმპერია მხრების გაშლას ცდილობდა ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი სამხრეთ–აღმოსავლეთით, სადაც მას წინააღმდეგობის გამწევი ძალა ფაქტიურად არავინ ჰყავდა. 1768–74 და 1787–91 წლების რუსეთ–თურქეთის ომებმა ნათლად აჩვენა ეს...

– ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, ნათქვამია და რუსეთის მიერ ყირიმის დაპყრობის და ბალკანეთში წარმატებული ოპერაციების შემდეგ, ერეკლემ მტკიცედ გადაწყვიტა პოლიტიკური კურსის აღება რუსეთზე. ესეც სიმბოლურია, რომ 1783 წელი ყირიმის აღების და გეორგევსკის ტრაქტატის საერთო თარიღია. **„ძლევამოსილი იმპერატრიცა“** რუსეთის იმპერიის ძლიერების ახალი სიმბოლიკა გახდა პეტრე I შემდეგ. ეს გერმანელი ქალი, 15 წლის ასაკში რუსეთში გამოთხოვილი, დონდლო და უმაქნისი პეტრე III ხელში უცბად რუსეთის **„უძღები შვილი“** გახდა ყველა გაგებით...

ამბობენ, რომ მას, ისე როგორც მის მრავალრიცხოვან ფავორიტებს, საქართველო განსაკუთრებით იზიდავდა სხვადასხვა თვალსაზრისით და მათ შორის, **„გაუყინავი ზღვებისაკენ“** თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო. მაშინ სუეცის არხი არ არსებობდა, ისე როგორც ორთქმავლები და სარკინიგზო მიმოსვლა და ახლო აღმოსავლეთი, სპარსეთის ყურე და არაბეთის ზღვა მსოფლიოს სამხედრო–პოლიტიკური და სავაჭრო–ეკონომიკური ბატონობისთვის უმნიშვნელოვანესი არეალი იყო. ეკატერინეც და მის შემდგომი ყველა იმპერატორი იმ ოცნებით იძინებდნენ და იღვიძებდნენ, როდის დაიბანდნენ რუსი ჯარისკაცები თავიანთ ტალახიან ჩექმებს არაბეთის ზღვასა და ინდოეთის ოკეანეში...

ერეკლე მეფეს კი ერთი ოცნება ჰქონდა – როგორ გადაერჩინა საქართველო და ქართველი ერი კარსმომდგარი ათასნაირი უბედურებისა და სრული ფიზიკური განადგურების საფრთხისაგან. საფრთხე კი სულ უფრო რეალური ხდებოდა; სანამ რუსის ჯარი მუდმივ ბინას დაიდებდა აქ, თურქეთს და ირანს ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი არ დაეშვათ ეს. ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ ერეკლეს, **„სამუდამო მშვიდობას და უსაფრთხოებას“**, ოღონდ დარიალის კარი არ

გაეღო რუსეთის არმიებისთვის. კარგად იცოდნენ ამ არმიების ძალა – არაფრის წინაშე არ დაიხევდნენ, არანაირ მსხვერპლს არ მოერიდებოდნენ, სანამ უზენაეს ბრძანებას არ შეასრულებდნენ...

რუსეთის ძალა და უძლეველობა ყოველთვის არაფერში ისე არ ვლინდებოდა, როგორც მონღოლურ–თათრულ **„სივრცეთმოყვარეობაში“** – გარემომცველი ტერიტორიების გაფართოებაში. ეს ჯერ კიდევ ივანე IV და ბორის გოდუნოვიდან იწყება **„ოქროს ურდოს“** დაშლისთანავე. ჯარიც ასეთი შეიქმნა თავიდანვე – ევროპული მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული და ერთდროულად ყაზანური **„ურას“** ტრადიციებით. „**ოპრიჩნიკელები“** და **„მეთოფეთა პოლკები“** შიშის ზარს სცემდნენ სწორედ ამით...

– **„რუსი ჯარისკაცის მოკვლა უფრო ადვილია, ვიდრე მისი უკანდახევა“**, სად იყო ფრიდრიხ II, ბისმარკი, ან თუნდაც სტალინი, როცა ეს კავკასიის მთებმა გამოსცადეს თავისთავზე ივანე IV დროს და თავიანთი ხიშტებით **„ვლადიკავკაზსაც“** მისცეს დასაბამი... ამიტომ თურქეთისა და ირანის ფაფხური ამაო იყო – კავკასიაში მათი ფეხი უნდა ამოკვეთილიყო...

ყველაზე კარგად ამას ერეკლე მეფე გრძნობდა. პოეტისა არ იყოს – **„დღეს თუ ხვალ ქართლს დაიცავდა რუსთ ხელმწიფობა“** – ერეკლე მეფეს უკვე მტკიცედ გადაეწყვიტა **„ქართლის ბედი“**: სხვა არჩევანი არც არსებობდა ერის მომავალი არსებობისთვის პერსპექტივის შესანარჩუნებლად. სხვანაირად ქართლ–კახეთს მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევა ელოდებოდა უეჭველად. სტალინის **„ნაკლები ბოროტების“** თეორიაც ერეკლეს ამ გადაწყვეტილებიდან იღებს სათავეს – ბოროტებასაც თავისი საზღვარი და საზომ–საწონი ჰქონია მუდამ და აქვს დღესაც... ამ მხრივ სტალინი მართალი იყო...

დადგა 1795 წელი და ერეკლე მეფეს ზედიზედ უტყუარი ცნობები მოუვიდა – აღა მაჰმად ხანი დიდ ლაშქრობას აპირებს აზერბაიჯანულ სახანოებსა და საქართველოზე. სიბერეში შესული ერეკლე ჭაბუკური ენერგიით შეუდგა სამზადისს – თბილისის ციხე–ბურჯები გაამაგრა, კოჯორთან და ტაბახმელასთან **„მოწინავე რაზმები“** ჩაასაფრა, რაც ხელთ ჰქონდა ზარბაზნები საბრძოლველად განამზადა და ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფ რუსეთის სამხედრო ნაწილებს ჯერ კიდევ მაისში სპარსეთის ლაშქრობის ამბავი შეატყობინა... **„ჩვენც ეგ გვინდაო“** – გაიფიქრეს პეტერბურგში და მკაცრი გაფრთხილება მისცეს სარდლობას – ერთი ჯარისკაცი და ერთი ზარბაზანიც კი არ გაეგზავნათ ერეკლესთვის...

11 და 12 სექტემბერი **„შავი დღეები“** აღმოჩნდა თბილისისთვის. პირველ დღეს ქართულმა საბრძოლო ჟინმა მაინც თავისი თქვა – აღამაჰმად ხანი ლამის უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ **„იუდა ჟამს ეძიებდა“**, – კოჯორთან დაეწივნენ **„თბილისელი მოქალაქენი“** და ყველასაგან მიტოვებული ერეკლეს უიმედო მდგომარეობა შეატყობინეს. 12 სექტემბრის საღამოს უკვე არაგვის ხეობიდან უყურებდა ერეკლე მეფე როგორ ასდიოდა შავი კვამლი თბილის–ქალაქს.

მაშინ ერეკლე 75 წლის კაცი იყო. კრწანისმა გაანადგურა იგი სულიერადაც და ფიზიკურადაც... მაშინდელმა ტრაგედიამ, ერეკლე მეფისადმი ღალატმა და მისგან განდგომამ, ასეთი პოეტური აღქმა ასაზრდოვა ჩემში:

ამას ამბობდნენ მაშინაც, დღესაც, –
სასწაული მოახდინა მთელმა კახეთმა:
მიაცილებდნენ ერეკლეს ცხედარს
თელავიდან თბილისს და მცხეთას...
და არ უჩანდა
თავი და ბოლო
ნაკადსა ხალხის, –
მგლოვიარეთა
პატარა კახის...
ამბობდნენ მაშინ, ამბობენ დღესაც:
რა იქნებოდა ეს ნაკადი
ამდენი ხალხის
ენახა კრწანისს?!...

ესეც „**ძნელბედობის**“ ლოგიკური სვლა იყო მაშინ, გიორგი ათონელი – მთაწმინდელის და დავით აღმაშენებლის „**ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვის**“ საბოლოო დასამარება, ხალხურ ეპოსშიც რომ აისახა ერეკლეს შემდგომ – „**აიშალნენ მეფეთ ძენი**“...

ზემოდმოხსენიებულ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი აჯამებს რა ერეკლე მეფის ბოლო წლებს, წერს:

„<u>მისი სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პოლიტიკურს გულუბრტყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა“.</u>

გავბედავთ და ბატონ ივანეს შევეკამათებით: შეიძლება მართლაც „**მოწამლული სიბერის დღენი**“ შეხვდა პატარა კახს, მაგრამ ესეც ხომ, უნდა ვთქვათ – განა კი ჰქონდა მას რაიმე უკეთესი გზა და გამოსავალი? მან ხომ, ყველაზე კარგად იცოდა ვის და რას შეახვედრა განგებამ, მაგრამ ეს ძველი სიბრძნეც იცოდა – „**ღვთის განრიგებას ვერავინ შეცვლის!**“... და მიანდო ქვეყნის ბედი მას...

ერეკლეც ფიქრობდა და ბჭობდა, იმ ზამთრის ღამეს, დარბაზთან კამათიც გაიხსენა:

– თქვენ რა, მართლა გჯერათ, რომ რუსი აქ მარტო ჩვენი სიყვარულით მოდის, გაჭირვებული ქრისტიანი ხალხის გადასარჩენად? არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ ვერ გავარჩიო შავი და თეთრი – ყველას თავისი ინტერესი აქვს – რაინეგსმა – ამ ღვთისნიერმა კაცმა არაერთხელ მიმახვედრა ეს: ვინც გინდა არ იყოს რუსეთის იმპერატორი – რუსი, გერმანელი და თუნდაც

ქართველი, იმპერიულ პოლიტიკას უნდა ემსახუროს აუცილებლად მეტ–ნაკლები წარმატებებით. სხვანაირად იმპერატორიც ვერ იქნება – მას უეჭველი სიკვდილი ელის...

– ვინ დაკეტავს დარიალის კარს?

სტატიაში – **„ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“,** ილია წერს: **„თვითეული ადამიანის საფლავის ქვეშ დამარხულია მთელი ქვეყნიერების ისტორია“...** თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე, მაშ უფრო ბევრ–რიგად მართალია გრიგოლ ორბელიანი, როცა ერეკლე მეფეზე სთქვა – **„დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!“.** მეორე სტატიაში – **„ასის წლის წინათ“,** ილია აგრძელებს და აკონკრეტებს თავის აზრს:

„11 იანვარს, 1798 წელს თელავში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული სახელოვანი მეფე ერეკლე... დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით **„რკინის კარი შეეხსნა“**, უფრო კარღია შეიქმნა და ადვილი საცილობელი გაუხდათ გარსშემორტყმულ მტრებსა...

გულკეთილი, მაგრამ სუსტი მეფე გიორგი როგორ გაუძლებდა ამისთანა გარემოებასა, ქვეყანა ჯერ კიდევ არ გამობრუნებულიყო აღა–მაჰმად–ხანის აოხრებისაგან... გარდა ამისა, შინ, მეფის სახლობაშიაც, ყველაფერი აწეწილი და აშლილი იყო...

მეფე გიორგიმ აღარ დააგვიანა საქმე... და იმპერატორ პავლესთან **„სათხოვარი პუნქტები გაატანა გარსევან ჭავჭავაძეს...“**

შემდეგ ილია აღწერს **„პირველად რუსის ჯარის შემოსვლას და დაბინავებას თბილისში 1799 წლის 26 ნოემბერსა“**... ამ სამი ათას კაცს სხვა ათასებიც მოჰყვა და თავის მხრივ, მალე არც ახალმა იმპერატორმა პავლემ **„დააგვიანა“**: დარიალის გზა მზიურ საქართველოში სასიამოვნო სამგზავრო მაგისტრალი გახდა ჩრდილოეთიდან.

როდესაც გიორგი მეფემ დარიალის გზის გახსნა დარბაზის განსჯის საგანი გახადა, მისმა ერთ–ერთმა წევრმა, თავადმა ჩოლოყაშვილმა ჰკითხა – კი, მაგრამ დარიალის კარს რომ ხსნი, მერე ვიღა დაკეტავს მას?...

მეფეს არაფერი უპასუხია, მხოლოდ ხელები აღუპყრია ცისკენ ღმერთის იმედად...

და კაცმა რომ თქვას, ამჯერად **„ზაქიჭამია გიორგი“** მართალი აღმოჩნდა: დღეს, ღვთის მადლით, დარიალს დაკეტვა აღარ უნდა, დაკეტვის გარეშეც შეუძლია გადაიქცეს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის მშვიდობისა და კეთილდღეობის გზად...

„შეთქმა“

მაგრამ რუსეთი? – იტყვის მკითხველი, რუსეთი კი აქცევს მას ამად?... რა თქმა უნდა, ამ კითხვას პასუხი უნდა და ილიაც ერეკლესავით ეძებს პასუხს ჭაბუკობიდან, სანამ საძვლემდე მივა მისი სულიც. ამ ძიებამ მიიყვანა იგი სიცოცხლის ბოლოს **„რუსეთის დუმამდე“**, **„კადეტებამდე“**, სტოლიპინამდე... მთელი 1906–1907 წლები სანამ მოკლავდნენ, ამ ფიქრსა და ძიებაში გაატარა – რუსეთის ევროპული მოდერნიზაციის მის ბოლო მიზნებსა და ოცნებებში...

<u>ილია და კავკასია</u> – ეს ცალკე დიდი თემაა, მაგრამ აქ მოკლედ გვინდა ვთქვათ: ყველა თვალსაზრისით საქართველოს და კავკასიის მომავალი ერთიანობაშია გასააზრებელი. ამიტომაც **„საერთო ნიადაგის“** თეორია თანაბრად ეხება კავკასიასაც – მას ხომ ილიამ თავისი ერთ–ერთი საუკეთესო პოემაც მიუძღვნა – **„ქართვლის დედა“**. სიმბოლურად ჟღერს თუნდაც მისი ეს სტროფი:

„ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს, ხალხი ბობოქრობს,
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელი კავკასის თავისუფლება!
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!“

ილიამ ეს პოემა დაწერა ალექსანდრე ბატონიშვილისა და შამილის აჯანყების ფონზე, სრულიად ახალგაზრდამ, როცა, როგორც თვითონ წერდა, ჯერ კიდევ **„დაღვინებული“** არ იყო... მერე და მერე მიხვდა, რომ ახლა სხვანაირი **„შეთქმა“** იყო საჭირო – რუსეთის **„ზაპადნიკურ“** ძალებთან ერთად, განსაკუთრებით იაპონიასთან სასტიკი მარცხისა და დაწყებული რევოლუციის პირობებში: ყველა გრძნობდა ამ უკიდეგანო იმპერიაში, რომ რეფორმირება მისი ისტორიული გარდუვალობა გახდა. ამიტომ მოუხშირა ბოლო ხანს პეტერბურგში ჩასვლას...

ესეც თავისებური შეთქმულება – **„შეთქმა“** იყო ქართველი ერის და საქართველოს გადასარჩენად. ილიასთვის ბოლო **„შეთქმა“**, თორემ ილიამდეც და ილიას შემდეგაც ამ **„შეთქმებს“** რა დაითვლის... მთავარი ხომ მაინც ისაა, როგორია ეს **„შეთქმა“**?... შეთქმულება იყო მესამედასელებისაც მის წინააღმდეგ, ასე ბრწყინვალედ რომ აღასრულეს სულ რაღაც ორიოდე წელიწადში... **„შეთქმაა“** ჩვენი დღევანდელი მიზანი და განზრახვა ბოლომდე მოვიყვანოთ ჯერ კიდევ **„ნაადრევი ქართული რენესანსის“** დროს დაწყებული ჩვენი ევროპული გზა – ღმერთმა კეთილად დაამთავროს ეს ჩვენი დღევანდელი **„შეთქმა“**...

ცოტაოდენი ცნება – **„შეთქმის“** სემანტიკაზე:

XIX საუკუნის 30–40–იან წლებში და მის მთელ II ნახევარში სიტყვა „შეთქმა“ ქართველებს შორის თავისებური საიდუმლო პაროლი იყო 1828–1832 წლის შეთქმულების გასახსენებლად. მშვენივრად აქვს აღწერილი ეს ამ ეპოქის

ჩვენს მემატიანეს ზაქარია ჭიჭინაძეს: მაშინ ხომ მასში მონაწილეთგან ბევრმა ღრმა სიბერემდეც მიაღწია და მათი ცოცხალი მოგონებები ჭიჭინაძესთან ერთად, ბევრმა სხვამაც შემოგვინახა. ეს არის კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო იდეისა და პროგრამის პირველი დაფიქსირება კავკასიაში.

„შეთქმის“ მეტი რა ახსოვს **„ძნელბედობას“** დაწყებული **„კოხტა გორის შეთქმულებიდან“**... პატრიოტ ქართველობას უნდოდათ – არ უნდოდათ, საიდუმლოდ, ფარულად და მალულად უნდათ ემოქმედათ. სხვანაირად მტრის რისხვას რა გადაურჩებოდა... მთელი XIX და მასზე მიყოლებული XX საუკუნეც შეთქმულებათა ერთი გრძელი ჯაჭვია...

მაგრამ იყვნენ შეურიგებელი შეთქმულნიც, რომლებიც არ დაგიდევდნენ შიშს და მორიდებას. გამორჩეულად დგანან ამ მხრივ ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი და დიმიტრი ყიფიანი XIX–ში და გრიგოლ რობაქიძე, კოხდა აფხაზი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ათობით და ასობით კომუნისტური ტოტალიზმის მსხვერპლნი მთელი XX საუკუნის მანძილზე. ყველა მათგანს ეძღვნება ეს ლექსი, რომელიც სოლომონ დოდაშვილის აღსრულების ადგილას – ვიატკაში დაიწერა:

შენ გაშინებდნენ – „გაგაციმბირებენ“!
შენ პასუხობდი – არა უშავს–რა,
მზე და მთვარე იქაც ამოვა,
– მთავარია საქართველოს
მოვუპოვოთ თავისუფლება!
შენ მართლაც მალე „გაგაციმბირეს“,
მზე და მთვარე მართლაც იქაც ამოდიოდა,
მართალია არა ისეთი სხივმფენი,
როგორც აქ, ჩვენთან,
ალაზნის ველზე,
მაგრამ მაინც ამოდიოდა
მზეცა და მთვარეც
ყინულის ველზეც...
და შენ კვლავაც
ქიზიყური სიჯიუტით
იმეორებდი:
არა უშავს–რა,
მთავარია საქართველოს
მოვუპოვოთ თავისუფლება!

ამ დიდი რწმენით და ოცნებით მოდის დღემდე ეს თითქმის 800–წლიანი **„ძნელბედობა“** და ღმერთმა ქნას, რომ ამ საუკუნეში მაინც, მიეცეს მას დასასრული. **„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი!“** – ილიას ეს სიტყვებიც სწორედ ამ რწმენით არის დამუხტული...

დიახ, თავისუფლება ისეთი რამ გახლავთ, პიროვნული გნებავთ თუ ეროვნული, რომ ღირს მისთვის ყველაფრის გაწირვა, თვით სიცოცხლის. მთელი ისტორია თავისუფლებისა ამას გვასწავლის. სხვანაირად **„თავის“ „უფალი“** ვერ გახდები. 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი ამ იდეით იყვნენ ანთებულნი.

„შეთქმის“ თემას ილიაც არაერთხელ შეეხო...

რაკი ყველაფერ ამაზე აშკარად და ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლებოდა, მითუმეტეს კი, წერა, ილია ცენზურის თვალის ასახვევად ათასნაირ ხერხსა და ქარაგმებს იყენებდა. არ დარჩენილა „შეთქმის“ არცერთი ცნობილი პიროვნება ყველაზე ახალგაზრდა ასაკიდან დაწყებული (ვთქვათ, 15 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი და ოდნავ უფროსი დიმიტრი ყიფიანი), დამთავრებული „მოთავეებით“ (დოდაშვილი, ალ.ჭავჭავაძე, გ.ერისთავი, ალ., ვ., გრ. ორბელიანები, გიორგი ერისთავი და ა.შ.), რომლებიც ილიას რაიმე გულთბილი სიტყვებით არ მოეხსენებია – თითქმის ყველა მათგანს ცრემლი და მოსაგონარი ნევროლოგიც დაადევნა თან. ამ მხრივ აღსანიშნავი „ივერიის“ ციკლი „ახლობლები და შორეულნი“, სადაც ყველას თავისი მიუზღა...

მერე და მერე რუსეთმაც „ტაბუ ახსნა“ შეთქმულების მონაწილეთა ხსენების აკრძალვას, ზოგიერთი მათგანიც ხომ შემოირიგა – გრიგოლ ორბელიანი მთავარმართებულიც კი გახადა... გამოძიების დროსაც ბევრი რამ მიაფუჩეჩა – „ახალგაზრდულ გატაცებად და გადაცდენად“ ჩათვალა, რამეთუ მასში ინგლისისა და საფრანგეთის პეტერბურგის ელჩების, აქ, თბილისში კი საფრანგეთის კონსულის გრაფი ლეტელიეს კვალიც გამოჩნდა. ამდენად, საერთაშორისო ხასიათის მიცემასაც მოერიდნენ და უკვე შემდგომი იმპერატორები, განსაკუთრებით, ალექსანდრე III „შეთქმის“ მონაწილეებს იმპერიის უმაღლესი ორდენებითაც კი აჯილდოებდა გულუხვად აქაც და იქ პეტერბურგშიც – გადასახლებულ ბაგრატიონებს და მათ შთამომავლებს... ამ შემთხვევაშიც, **„დრო ყველაფრის წამალი აღმოჩნდა“...**

ამ „ჟამთა ცვლამ“ ილიასაც მისცა საშუალება ახლებურად გაეაზრებინა მთელი განვლილი XIX საუკუნე. ეს აშკარად ჩანს 1892 წლის „ივერიის“ სამ ნომერში დაბეჭდილ ვრცელ ნეკროლოგში – „დიმიტრი ყიფიანი“:

„ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა... რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ... კაცი მოჰკლეს – რა დიდი ამბავი ეს არის დღეს, რომ ქვეყანა შეიძრაო?! ადვილად მისახვედრია, ადვილად გამოსაცნობია მიზეზი ამისა...“.

და ამ თემაზე ილიას ყველაზე ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი – **„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“,** რომელიც „ივერიის“ იმავე წლის მაის–ივნისის ნომრებში დაიბეჭდა და სადაც იგი დღევანდელობის ერთ–ერთ მწვავე – თაობათა ურთიერთობის პრობლემას ეხება. ჩვენც დღეს ეს პრობლემა გვაინტერესებს. ილია წერს:

„ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელიც შეეხება ეგრეთწოდებულს „ახალს და ძველს თაობას“... არაერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხმოკლე ლიტერატურაში ეს საუბარი...

ჩვენში ეს სიტყვები ცარიელი და ფუყე სახელებია, რადგანაც ოდითგან ყველა ერთ უღელში ბმულა, ეს უღელი ყველას ერთად უწევია ერთს გზაზე იმიტომ, რომ ეს ყოველი გზაც იყო რომში მიმავალი...

... „მეთვრამეტე საუკუნის ვაი–ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვა–გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, იმედი დააკარგვინა... და მერე ყველა დიდ–პატარაობის გაურჩევლად ისევ ამ უღელს შეება, მისი ერთად გაწევა მოიწადინა... აქ „ძველი და ახალი თაობა“ არაფერ შუაშია, ვიმეორებთ, მხოლოდ ფუყე სახელებია... მთავარია, ძველიც და ახალიც უღალატოდ ეწეოდეს იმ დიდ უღელსა, რომელსაც საქართველოს წინ – მსვლელობა და ბედნიერება ჰქვია“...

– **„ამ უღლის ჩამოგდება არავის არაფრით ეგების“** ეს ძალიან, ძალიან უკან დასწევს ქვეყანას!, – ასეთია ილიას გზავნილი ჩვენთვის – ამის მაგალითი ხომ, მას თვითონვე ჰქონდა თვალწინ „შეთქმის“ სახით...

ასე ნაბიჯ–ნაბიჯ მიდიოდა ილია ახალი საქართველოს ახალი გზისაკენ და **„საერთო ნიადაგის“** თეორიისაკენ, ყველაფერი იმისკენ, რასაც დღეს ჩვენ **„ილიას გზას“** ვუწოდებთ. ეს პროცესი 90–იან წლებში უკვე დამთავრდა. **„მესამე დასის“** გამოჩენამ კიდევ უფრო დააჩქარა იგი. ილია მიხვდა, რომ **„კლასობრივი ბრძოლის“** ამ თეორიას თუ დროზე **„ორკაპი არ ამოვდეთ, სიკეთეს არაფერს მისცემს ხალხს და ქვეყანას...“**

თვითონ ბუნებაც გვკარნახობს სწორი გზისა და სწორი თეორიის მოძიებას, თუ რა თქმა უნდა, ამ **„კარნახს“** გავიგებთ: ქვანახშირიც და ალმასიც 300–300 ელემენტისაგან შედგება, მაგრამ მათი ატომებისა და ელექტრონების სხვადასხვა სტრუქტურული განლაგება ათასეული წლების მანძილზე ისე ჩამოყალიბდა, რომ ბუნებამ ერთისგან ქვანახშირი შექმნა, მეორისაგან კი, ალმასი... თეორიების და პარტიების მეტი რა ახსოვს საქართველოს ახალ ისტორიას, მაგრამ მათგან მხოლოდ ილიას და მისი თანამოაზრეების **„საერთო ნიადაგის“** თეორიას და მის პრინციპებს შეუძლიათ დუღაბად და ბალავრის ქვად გამოადგეს ჩვენს ქვეყანას. მთავარია რომ დავეუფლოთ ამ თეორიას და მის პრინციპებს.

„საქართველო – რუსეთის იმპერიის ბედისწერა“

თუ **„შეთქმასა“** და შეურიგებლობაზე მიდგა საქმე, აქ ქართველთაგან ალექსანდრე ბატონიშვილს ბადალი არავინ ჰყავს. რას არ შეპირდნენ, რა თანხას და ჩინ–მედლებს, მაგრამ არა და არა. არც სპარსელები ეხატა გულზე, მაგრამ მაინც მათთან დარჩა და ბოლოს იქ მიაბარა თავისი მეამბოხე სული საძვლეს...

ეს ჰქონდა აკვიატებული მთელი სიცოცხლე – **„საქართველო რუსეთის ბედისწერაა!“**. მთელმა განუწყვეტელმა სისხლისმღვრელი აჯანყებებმა 1801 წლიდანვე მოყოლებული 1812–13 წლების კახეთის აჯანყების ჩათვლით მის ზურგზე გადაიარა... მერე დაღესტანსა და ჩეჩნეთშიც არანაკლებ სისხლისმღვრელნი 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამდე და მერე ყველაზე სისხლისმღვრელი **„დიდი კავკასიური ომი და შამილის იმამატი“...** შამილმა გააგრძელა მისი საქმე და როგორც ამბობენ ფიზიკურადაც მისი ნაშიერია, მაგრამ არა მასავით შეურიგებელი – გრიგოლ ორბელიანმა შეარიგა – შეათანხმა რუსებთან **„ღუნიბის სასაკლაოს“** შემდეგ...

ისტორიასაც უყვარს იუმორი და გრიგოლ ორბელიანი, ყოფილი შეთქმული, ახლა უკვე რუსეთის არმიის გენერალი და კავკასიის **„მთავარმართებელი“** შუამავლობს და შუაკაცობს ახალ–ახალი **„შეთქმის“** ხალხთან საქართველოშიც და კავკასიაშიც. არგუმენტი ერთი და ერთადერთია, მაგრამ ურყევი და შეუვალი: ჯერ ზარბაზნით მოთხრა და მოშლა ყველა სოფლის და აულის, ხოლო სადაც ზარბაზანი არ მისწვდება და არ მიუდგება – იქ ცეცხლი და მახვილი... ისე, რომ არცერთი აული კი არა, ძე–ხორციელი არ გადარჩებით და არც გადაშენებას გადაურჩებით ამ რჩევას თუ არ დაუჯერებთ და არ დაემორჩილებით...

თავისი გამოცდილებით იცოდა **„იმპერატორის უზენაესი ცირკულიარის“** ძალა, როცა ნიკოლოზ I ბრძანებით ოთხი უძველესი არისტოკრატიული გვარი – ბაგრატიონები, ერისთავები, ორბელიანები და ანდრონიკაშვილები გასახლებულნი იქნენ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში. პირველი **„მუხაჯირებიც“** სწორედ ისინი იყვნენ... მერე და მერე შესძლეს მათმა ნაწილმა ასეთი **„ორბელიანისეული შემორიგებით“** დაბრუნება საქართველოში...

„ქართველების გასახლებების“ გეგმებიც მაშინ შემუშავდა და თანაც არაერთი: XIX საუკუნეში 3–ჯერ მაინც დადგა მათი აღსრულების საკითხი რუსეთ–თურქეთის ომების დროს, მერე თითქოს მიწყნარდა, მაგრამ XX საუკუნეში **„გასახლების“** ამ იდეამ თავი მაინც კიდევ შეგვახსენა და ბოლოს ხრუშჩოვის დროს დადგა რეალურად, როცა ეშელონები უკვე გამოყოფილი იყო ტრადიციული მარშრუტით – **„საქართველო – შუა აზია“**... ეს ზოგს ლეგენდა ჰგონია, მაგრამ საამისო ფაქტები ბევრია მოძიებული და მოსაძიებელიც, მოწმეებიც ცოცხლები ჯერ კიდევ ბევრნი არიან... ესეც უნდა დაფიქსირდეს ამ **„უახლეს ქართლის ცხოვრებაში“**...

ისე, ალექსანდრე ბატონიშვილის წინასწარმეტყველება იმით ახდა 1964 წელს, რომ ხრუშჩოვის გადაგდების ერთ–ერთი მთავარი მოქმედი პირები სწორედ ქართველები – მჟავანაძე და ინაური გახდნენ... ეს ცალკე მონოგრაფიის თემაა, მაგრამ აქ მახსენდება ჯერ კიდევ 1801 წლის ერთი ფაქტი, რომელიც მერე თავისებურ საანეგდოტო მასალად იქცა მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში...

– ამას რუსიც სხვა ჰგონია!

ახალ იმპერიულ ძალას შეგუება უნდოდა და ეს ქართველს ისტორიული გამოცდილებით არც უჭირს – სულ მინიმუმი 9 იმპერიული ძალა მაინც გამოვიცვალეთ მიდიიდან მოყოლებული და ყველას მშვენივრად ეგუებოდა ქართველი...

XIX საუკუნის I ნახევრის თაობები მეორე ნახევრის თაობებმა შეცვალეს. თაობათა ცვლაც მტკივნეული პროცესია ერის ცხოვრებაში. ილიას **„პირველ დასს“** მრავლად გამოუჩნდნენ ოპონენტებიც და უბრალოდ, მაგინებელნიც – არავის მოსწონდა მათი ლიბერალური და დემოკრატიული იდეები. **„ცრუ ლიბერალი – ბურთივით მრგვალი“** – გრიგოლ ორბელიანის ეს ეპითეტი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ილიას, თუმცა ბევრისგან განსხვავებით, არც სწყინდა და თვითონაც იუმორში ატარებდა ამასაც და სხვა მსგავს არცთუ სასიამოვნო ეპითეტებსაც. ილია ხომ იუმორის დიდოსტატად ითვლებოდა მაშინ – გავიხსენოთ თუნდაც ლუარსაბის, გლახა ჭრიაშვილის, რუსი ოფიცრის, ანდა, მესამედასელთა მისეული ტიპაჟები...

შეგუება – ადაპტირება ახალ იმპერიულ ძალასთან მტკივნეულად წარიმართა XIX საუკუნის II ნახევარშიც. ძველი ბარათაშვილისეული ფორმულა – **„ვით შეისმინოს რუსთ მეფობამა, რაც მოისურვოს ქართველობამა“**, ძალაში რჩებოდა კვლავ... მკლავზე ყურება აქ არაფერს გვარგებდა, მითუმეტეს რუსეთშიც შემობიჯებული **„სამრეწველო რევოლუცია“**, რკინიგზა და კაპიტალიზმი არჩევანს სხვას არ გვიტოვებდა, თუ არა **„ერის ეკონომიურის მოღონიერებისა“**. რუსეთიც ამ მიზნით უნდა გამოგვეყენებინა. ამას გლეხობა უფრო ხვდებოდა და აკეთებდა კიდეც, ვიდრე თავადაზნაურობა...

ამის ერთ–ერთი ნიშანდობლივი მაგალითიც: როდესაც პირველი სამხედრო ყაზარმები გაჩნდნენ საქართველოში, საგარეჯოსა და მანავს შორისაც გაჩნდა ასეთი ყაზარმა, იქვე ჩოლოყაშვილის სახლი მდგარა (დღესაცაა ის სახლი შემორჩენილი) და სახალხოდ დაუფიცია ამ კახელ თავადს – სანამ რუსები აქედან არ წავლენ, სახლიდან ფეხს არ გამოვდგამო... ყოველ დილით უძახის თურმე ერთ მანაველ გლეხს – მასთან მოურავის ფუნქციას რომ ასრულებდა: მოურავო, რუსები აქ არიან თუ წავიდნენო – ეგონა, როგორც სპარსელები ერთი–ორი კვირით თუ დაიბინავებდნენ, რუსებიც მალევე **„აიბარგებოდნენ“**... ერთი კვირა, ორი კვირა, ერთი თვე, ორი თვე და ამ გლეხსაც რომ მობეზრებია ეს კითხვები, ბოლოს ერთი კახური **„ლოცვა–კურთხევით“** ჩაულაპარაკია – გიჟია ეს ჩემალალა, ამას რუსიც სხვა ჰგონია!...

ჩვენებურმა გონებაგახსნილმა გლეხკაცმა ყველაზე ადრე გაიგო ახალი დამპყრობლის ბუნება და ფსიქიკა–ხასიათი, ის რომ იგი დროებით კი არ იყო მოსული, არამედ მკვიდრად და მუდმივად... დღესაც ხომ, ეს ფსიქიკაა...

ფსიქიკა კი, ისეთი მეცნიერული და ფილოსოფიური კატეგორია გახლავთ, მუდმივად თან სდევს კაცსაც და ხალხსაც, ილიას რუსი ოფიცრისა არ იყოს, **„მდაბიურად რომ ვთქვათ“**, არ არსებობს ქვეყნად არანაირი ძალა, რომელიც დაამხობს მას, თუნდაც ყველა გენერალმა პირი შეკრას... იმ მანაველი გლეხჟის შემდეგ, ბევრი ჩაწვდა ამ რუსულ ხასიათს და რუსულ სულს. თუნდაც მარკიზ დე კიუსტინის და მისი საოცარი წიგნის – **„ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთის“** გახსენება რად ღირს – ნიკოლოზ პირველმა ეს რევოლუციის მოძულე ფრანგი არისტოკრატი მოიწვია რუსეთში, რომ ენახვებინა **„რუსული სამყაროს იდეალი პეტერბურგიდან ვლადივასტოკამდე“**, მართლაც ანახეს და... აქედან რევოლუციონერად კი დაბრუნდა უკან... დოსტოევსკიმაც გახსნა ეს ფსიქიკა არაერთი შედევრით, თუნდაც გაოცებული რომ უყურებდა ერთი რუსი ლიბერალი მემამულე უკან მობრუნებულ თავის ყოფილ ყმა–გლეხს, ფეხი რომ ვერ მოაცლევინა ეზოდან – რაღა გინდა ჩემგან, ხომ გაგანთავისუფლეო... და სანამ მოურავმა არ აუხსნა – როზგი მოენატრაო და გაროზგა კიდეც, ვერ მოიშორა თავიდან...

ყველაზე დიდი კურიოზი ამ მხრივ დეკაბრისტებთანაა დაკავშირებული: აჯანყებული პოლკები რომ გამოიყვანეს, ჯარისკაცებს ეს ჩააგონეს – ნიკოლოზი უკანონოდ დაჯდა ტახტზე, ტახტი მის ძმას – კონსტანტინეს ეკუთვნის, ამიტომ ნიკოლოზი უნდა ჩამოვაგდოთო, თან დააზეპირებინეს – **„გაუმარჯოს კონსტიტუციას!“**, უნდა იძახოთო... რომ იკითხეს ეს **„კონსტიტუცია“** ვიღაარ, ძალიან მარტივად აუხსნეს – კონსტანტინეს ცოლიაო!...

ილიაც ბრწყინვალედ ჩაწვდა ამ ახალ იმპერიულ ძალას, მის ისტორიულ და ფსიქო–გენეტიკურ ფესვებს და ამაზე ააგო ქვეყნის ეროვნულ–კულტურული და სოციალურ–ეკონომიკური აღორძინების თავისი გეგმა... სხვა უკეთესი გზა ჯერ–ჯერობით არ ჩანდა... ნებისმიერი პოლიტიკაც ხომ, **„შესაძლებელის მიღწევის ხელოვნებაა“** იმ ეპოქასა და დრო–ჟამში, როცა შენ გიწევს ცხოვრება... ამიტომაც თხოულობდა ისტორიკოს – მკვლევართაგან – **„ჯერ იმ დროების ქერქში ჩაჯექით და მერე განიკითხეთ დროების შვილნიცა“...**

„განეხსნა გზა...“

არ არსებობს არცერთი მოვლენა, რომელსაც ნეგატიურთან ერთად, პოზიტიური მხარეც არ ახლდეს თან, ასე კარგად რომ გამოხატა პოეტურად ბარათაშვილმა პოემაში – „ბედი ქართლისა“: გზის გახსნა ევროპისაკენ XIX საუკუნის კოლონიური საქართველოსთვის უდავოდ ერთ–ერთი ყველაზე დიდი პოზიტიური მოვლენა იყო...

„სამი რომის“ რუსულ თეორიას თუ მივყვებით, პირველმა, ნამდვილმა რომმა თვითონ ევროპას ჩაუყარა საფუძველი, „მეორე რომმა“ – კონსტანტინეპოლმა და ბიზანტიის იმპერიამ არც ჩვენთვის და არც თავისთვის

არაფრად ივარგა: ისე დალია სული, რომ რუსეთივით სულ იმის ცდაში იყო, რა ევნო და რა წარეტაცა საქართველოსთვის. მისი დაცემით საქართველოს სამუდამოდ გადაეკეტა გზა ევროპისაკენ, შავი ზღვა – ხმელთაშუა ზღვის სივრცეებისაკენ...

„მესამე რომის იმპერიას“ ეტყობა ორმაგი მისია დააკისრა მსოფლიო ისტორიამ – ერთი მხრივ, დასავლური, განსაკუთრებით მაშინ, როცა პეტრე I შვეციასთან ომის შემდეგ, „ფანჯარა გაჭრა ევროპისაკენ“, ამით კი, ოქროს ურდოსეული ტრადიციების ევროპულით შეცვლა მოიწადინა და მეორე მხრივ კი, აზიური განვითარების მისიაც ძალაში დარჩა. „ზაპადნიკობა“ და „სლავოფილობაც“ ამან განაპირობა. მაგრამ, მსოფლიო ისტორიას რომ თავი გავანებოთ, ჩვენი ისტორიული განვითარებისთვის რუსეთის დასავლურ კავშირებს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ქართულმა კულტურამ და მეცნიერებამ ახალი მძლავრი სტიმულები მიიღეს განვითარებისათვის.

ამ მხრივ, მაშინდელი ქართული საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზროვნება ძალიან მალე ევროპულ სიმაღლეებზე დადგა. დოდაშვილის „ლოგიკა“ და საერთოდ, 1830–32 წლების შეთქმულების პროგრამული მოთხოვნები, კერძოდ კი, მომავალი ქართული სახელმწიფოს ინგლისის მსგავსად კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე მოწყობა, ამის დასტურია. ამიტომ უწოდებდა ილია დოდაშვილს „ევროპეიზმის ფუძემდებელს საქართველოში“ და კონსტიტუციური მონარქიაც „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ–ერთ შემადგენელ პრინციპად აქცია. მომავალი ქართული სახელმწიფოს იდეალი ილიამ მხატვრული ფორმით ასე გამოხატა: **„სამეფო გვირგვინზე და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებული ახალი საქართველო“**.

მაგრამ თუ გავათანამედროვებთ ამ ბარათაშვილისეულ „გზის გახსნის“ ფენომენს, დღეს სწორედ რუსეთი გახდა ის ძალა, რომელსაც მიზნად დაუსახავს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გადაგვიკეტოს ეს ევროპული გზა და განვითარების საზოგადოებრივ–ეკონომიკური სტრატეგია ქართველებს. პეტრე დიდიდან მოყოლებული დღემდე მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს „ზაპადნიკობა–მედასავლეთეობასა“ და „სლავოფილობას“ შორის და როგორც ჩანს, ახლაც ამ უკანასკნელმა გადასძალა პირველს, ისე როგორც ძალიან ხშირად ამ განვლილი 300 წლის მანძილზე. –სლავებს ცხოვრებისა და განვითარების განსაკუთრებული გზა გვაქვსო, ამტკიცებენ სლავოფილები და ჩვენც ამის მეტი რა გვეთქმის: კი, ბატონო, ვინ გედავებათ – ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ, მაგრამ ჩვენ რას გვერჩით?!...

„ჩვენი აბო“...

ილია ყველაზე დიდ ეროვნულ ღირსებად და სიამაყის საგნად ტოლერანტობას მიიჩნევდა, გენეტიკურად და ისტორიულად ჩამოყალიბებულ

ეროვნულ და რელიგიურ შემწყნარებლობას. მისი სტატია – „დავით აღმაშენებელი“ ხომ, ამ ფენომენზეა აგებული მთლიანად... თავის დრო–ჟამს ილიასაც არაერთ არაქართველ მოღვაწესთან ჰქონდა მეგობრული კავშირ–ურთიერთობანი – რუსთან, სომეხთან, პოლონელთან, ებრაელთან...

მაგრამ ამ მხრივ, განსაეკუთრებული ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა არტურ ლაისტთან – 80–იან წლებში თბილისში დასახლებულ გერმანელთან. ჩვენი ერის და ქვეყნის დიდი სიყვარულის გამო, **„ჩვენი აბო“** შეარქვა მას. ილიასთვის იგი ყველაზე დიდი მესაიდუმლე და სასურველი სტუმარი იყო თბილისშიც და საგურამოშიც. სწორედ ლაისტმა დაგვიტოვა ილიას ცხოვრებისა და მისი პიროვნული ხასიათის ბევრი უცნობი შტრიხები, მათ შორის, მისი ეს ტოლერანტული ბუნებაც, კერძოდ კი, „ქვათა ღაღადის“ შემთხვევაში, რომელიც მაშინაც და დღესაც „ანტისომხურ“ ნაწარმოებად ითვლება რატომღაც... არადა, სინამდვილეში იგი ქართულ–სომხური კეთილმეზობლური ურთიერთობისაკენ მოწოდებაა. არტურ ლაისტი ხაზგასმით აღნიშნავს ილიას ამ აზრსაც და მაშინდელ სომეხ მოღვაწეებთან თვითონ ილიას მეგობრულ დამოკიდებულებასაც, იმათთან, ვისაც ანტიქართული სინდრომი არ აწუხებდა...

აქ შეიძლება მოვიყვანოთ ამონარიდი სტატიიდან – „გიორგი თუმანოვისა და მისი ამქარის აზრები“: **„ჩვენ გ.თუმანოვს იმას კი არ ვუწუნებთ, რომ იგი სომეხია. ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ორპირი კაცია – ჩვენთან ჰკაკანებს და კვერცხს კი სხვაგან ეზიდება... თბილისი არც დღეს არის თქვენი და არც ოდესმე ყოფილაო, და ამის დასამტკიცებლად ვითომდ „ისტორიული საბუთებიც“ წარუდგინა თავის ამქარს“...**

ილიასთვის მთავარი კაცის პიროვნული თვისებებია და მერე ნებისმიერი სხვა რამ – მისთვის სიტყვა – „კაცი“ ადამიანობის უპირველესი საზომია. სწორედ ამას უწუნებს თუმანოვს და არა სომხობას, თორემ ილიას ძვირს როგორ ათქმევინებდი ისეთ თბილისელ სომხებზე, როგორც ვთქვათ, ახნაზაროვი, ან, ლორის მელიქოვი იყვნენ.

ამ უკანასკნელმა დიდი კარიერაც გაიკეთა რომანოვების კარზე და ილიას დიდი დახმარებაც გაუწია ბანკის დაარსებაშიც და მის შემდგომ წარმატებით ფუნქციონირებაში პეტერბურგიდან შეღავათიანი კრედიტებით უზრუნველყოფით... დღევანდელი ლავროვისაგან განსხვავებით, ლორის მელიქოვი სწორედ იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა ეხმარებოდნენ ერთმანეთს ლხინში თუ ჭირში სომხები და ქართველები. ორპირობა და მტრობა, ჩასაფრებულის პოზიციაში ყოფნა და ქართველოფობობა არ ეპატიება არავის – ასეთია ილიას ამ სტატიის დასკვნა...

„რუსეთი ერთი იმისთანა ქვეყანაა...“

ილიას ხშირად უყვარდა რუსეთზე წერილების ასეთი ზოგადი სიტყვებით დაწყება და პარალელების გავლება რუსეთსა და სხვა ქვეყნებს შორის. პირდაპირ არა, მაგრამ შეფარვით და სტრიქონებს შორის ყოველთვის ცდილობდა აეხსნა ამ უზარმაზარი სივრცის და დიდი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნის ჩამორჩენა დასავლეთთან. მის განსაკუთრებულ ინტერესს შეადგენდა აშშ–ის საზოგადოებრივ–ეკონომიკურ განვითარებასთან პარალელები. სწორედ ილიას დროს განავითარა ამერიკამ არნახული ტემპები 1861–65 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ...

სხვა ინტერესიც ჰქონდა ილიას აქ: მაშინდელი ცენზურის პირობებში ცდილობდა აეხსნა რუსეთის ჩამორჩენილობის მიზეზები ამ ახლად ფორმირებულ ქვეყანასთან შედარებით. ამის უპირველეს მიზეზად თავისუფლებას განიხილავდა. სწორედ პიროვნების, მისი ენერგიის და ქცევა–ქმედების თავისუფალი განვითარება გახდა ამ **„ამერიკული სასწაულის“** მამოძრავებელი ძალა. ამასთან, მანვე გახადა ის მიზიდულობის ობიექტად დანარჩენი მსოფლიოს მილიონობით დევნილი და უპოვარი ადამიანისთვის და ამანვე შეკრა ერთიან ერად ეთნიკურად სულ სხვადასხვა ჯგუფები ადამიანებისა...

ყველაფერი ეს გამორიცხული იყო რუსეთისთვის, რომელიც მხოლოდ დიქტატით და უხეში სამხედრო–პოლიტიკური ძალით ცდილობდა მოჩვენებითი ერთიანობის შექმნას. ეს იმპერიული ძალაა, რომ ილიას მუდმივი ფიქრის საგანი იყო, რამეთუ მასთან შეტაკება დიდ ეროვნულ უბედურებას უქადდა ქვეყანას. ამიტომ რუსიფიკაციის პოლიტიკას მხოლოდ მშვიდობიანი ფორმებით – კულტურით, განათლებით, ხელოვნებით და მეცნიერებით შეიძლება დავუპირისპირდეთ – ასეთი იყო მისი დასკვნა. გავიმეორებთ კვლავ – პოლიტიკა კაცის განსაკუთრებული ნიჭია, მოვლენათა განვითარების შორსმჭვრეტელური ხედვა და გააზრებაა და ამიტომაც შეძლო ილიამ XIX საუკუნის I ნახევრის აპათიიდან გამოეყვანა ქვეყანა...

ილია, ეკატერინე ჭავჭავაძე და ანდრია დადიანი...

ლორის მელიქოვის გარდა, პეტერბურგში ილიას ერთგული და გულუხვი მასპინძელი ეკატერინე ჭავჭავაძე იყო. მან და მისმა მეუღლემ – სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით დადიანმა სამთავროს გაუქმების სანაცვლოდ, გულუხვი მატერიალური და ფინანსური კომპენსაცია მიიღეს. „ცარსკოე სელოში“ მათი სასახლე მთელ პეტერბურგში იყო განთქმული. სწორედ აქ ნახა შემთხვევით ილიამ ბარათაშვილის ხელნაწერი პოეტური რვეულები...

ბანკის დაარსების მოსაგვარებლად დამფუძნებლებმა ილია გააგზავნეს და ილიაც ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს. მაგრამ რუსული ბიუროკრატიის ძლევა არც ისე ადვილი აღმოჩნდა: „აქ ყველა ხელებში გიყურებს, დიდ–პატარა ჩინოვნიკი საქმეს ისე გიწელავს და გირთულებს, კაცი შეიძლება გაგიჟდეს“ – წერდა ოლღას პეტერბურგიდან. დახმარებაც ამიტომ სჭირდებოდა, მაგრამ ორი წელი მაინც დასჭირდა სამინისტროდან სამინისტროში სირბილს საქმის წარმატებით დამთავრებისთვის, სამაგიეროდ გაკეთდა დიდი საქვეყნო საქმე...

როგორც ჩანს, ილიას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ეკატერინეს შვილებთან. ნიკო დადიანი რუსეთ–თურქეთის ომის შემდეგ თვით ბულგარეთის მთავრის კანდიდატიც გახდა, რასაც ილია „ივერიაში“ საგანგებო წერილითაც გამოეხმაურა, ანდრია დადიანი კი, მთელ ევროპაში განთქმული ჭადრაკის მეცენატი და ამავე დროს, საკმაოდ ძლიერი მოთამაშეც იყო. მის სტილს სპეციალისტები პოლ მორფის სტილს ადარებენ ხშირად და არაერთი მაშინდელი ძლიერი გროსმაისტერებიც ჰყავს დამარცხებული, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონებიც...

ილიაც ჭადრაკის დიდი მოყვარული და თაყვანისმცემელი იყო და ამ მხრივაც არაერთი საინტერესო ფაქტია შემორჩენილი. ისიც ირკვევა, რომ ანდრია დადიანს, როცა საქართველოში ჩამოსვლა უწევდა, როგორც ჩანს, ილიას სასურველი სტუმარი იყო და ამ ბრძნული თამაშის საქართველოში განვითარებაც ორივეს საერთო მიზანს შეადგენდა. ანდრიასთან ეტყობა ე.წ. „მსუბუქ პარტიებსაც“ თამაშობდა... მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ილიას პარალელები პოლიტიკასა და ჭადრაკს შორის:

– ჭადრაკიც და პოლიტიკაც ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ ორივეგან შორს გათვლილი და გააზრებული სვლების გაკეთებაა საჭირო გამარჯვებისთვის. ამიტომ ჭადრაკშიც და პოლიტიკაშიც იმარჯვებს ის, ვინც თავის სვლებსაც და მოწინააღმდეგის სვლებსაც უფრო სწორად და შორს თვლის, სხვანაირად დამარცხება არ აგცდება... ჭადრაკში რა უშავს ამ დამარცხებას – აიტანს კაცი, მაგრამ პ ოლიტიკაში მარცხი მარტო ერთი კაცის მარცხი არ არის, იგი მთელი ქვეყნის მარცხია და ამის მოწმეც ამ ბოლო ხანს რამდენჯერ გავმხდარვართ...

„წინასწარმეტყველი“...

1957 წელს, პარიზში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალში – „ბედი ქართლისა“ დაიბეჭდა მიხაკო წერეთლის ვრცელი სტატია ილიას მკვლელობიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით. ბედმა თუ ისტორიულმა ბედისწერამ ისე ინება, რომ ილიას დაბადების დღე და მისი მკვლელობაც ქრონოლოგიურად დრო–ჟამის ათვლის ერთნაირ განზომილებაშია – 1837 – 1907 წლები. ეგაა, რომ მესამედასელთა „კილერებმა“ აღარ აცალეს მას ორიოდე თვის სიცოცხლე დაბადების დღემდე, თუმცა არც თვითონ და არც სხვებს არასოდეს

აღუნიშნავს საზეიმოდ ამქვეყნად მისი მოვლინება. სამაგალითოდ დარჩა მაშინ 1897 წლის 60 წლის იუბილეს სამზადისი, როცა თვითონ იუბილარი გახდა მისი ჩაშლის ინიციატორი და გულიანადაც დასცინოდა მოზეიმე „კვალის“ რედაქციას და მესამედასელებს, თითქოსდა, დიდი რაღაც სასახელო „გამარჯვება“ მოეპოვებინათ ამით. კარგად აქვს გადმოცემული ეს ყველაფერი არტურ ლაისტს თავის მოგონებებში...

მიხაკო წერეთლის აღნიშნული სტატიიდან მკითხველს ერთი მთავარი იდეა და აზრი რჩება გონებაში, ავტორის მიერ არაერთხელ გამეორებული აქაც – 1957 წელს და 50 წლის წინაც ილიას დაკრძალვისას წარმოთქმულ სიტყვაში 1907 წლის 7 სექტემბერს მაშინ იქ, წიწამურთან მოკლული იქნა „ჩვენი დიდი ეროვნული იდეოლოგი“.

„ილია დაეცა იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა საქართველოში ილიას ეროვნულ იდეოლოგიასა და უცხო, შორითგან შემოტანილ მარქსიზმის იდეოლოგიას შორის – იდეოლოგია, რომელსაც ერი და ეროვნული ერთობა არ სწამდა... სწორედ ამ იდეოლოგიის რევოლუციურმა დაუნდობლობამ და სიძულვილმა იმსხვერპლა საქართველოს დიდი წინასწარმეტყველი“.

ეს დეფინიცია – „წინასწარმეტყველი“, ყველაზე კარგად გამოხატავს მეორე ცნების – „იდეოლოგიის“ არსს და დანიშნულებას, მის მთავარ ფუნქციას მოცემული ქვეყნის სამომავლო განვითარებაში: ვერცერთი ხალხი და ქვეყანა ვერ ჩამოყალიბდება ძლიერ და განვითარებულ სახელმწიფოდ, თუ ასეთი „წინასწარმეტყველი – წინასწარმჭვრეტი“ კაცი არა ჰყავს. ილია და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია არის ამ ფუნქციის მატარებელი...

ილიას მსგავსად, „წინასწარმეტყველი – წინასწარმჭვრეტელი“ იყო მიხაკო წერეთლის მასწავლებელიც – ვარლამ ჩერქეზიშვილი, ვისაც მიუძღვნა „ერი და კაცობრიობა“. სწორედ ჩერქეზიშვილმა განჭვრიტა ევროპის გაერთიანება და საქართველოს ხსნადაც სწორედ ამას სახავდა. ისე, რომ იგი დღევანდელი „ევროკავშირის“ ერთ–ერთი იდეოლოგიაცაა. საოცარია, თუ ჩვენი ახლო წინაპრების აზრს და ანალიზს ასეთი გლობალური მასშტაბები და ძალა აქვს, რატომ არ ვცდილობთ მათ საკუთარი ქვეყნის სამსახურშიც ჩაყენებას?

ილია, მარქსი და ენგელსი:
რა საერთო აქვთ მათ?...

რა თქმა უნდა არაფერი, გარდა ერთისა – სამივენი ამხელდნენ მეტ–ნაკლები ინტენსივობით რუსეთის იმპერიას, როგორც „ხალხთა საპყრობილეს“, აქ შექმნილ „სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ტერორიზმს“. ამას ილია შეფარვით, „ეზოპეს ენით“ აკეთებდა, ისინი კი, პირდაპირ და დაუფარავად, რამეთუ ილია ამ ტერორიზმის ქვეშ და ამ „საპყრობილეში“ ცხოვრობდა, ისინი კი,

შორეულ ინგლისში... მაგრამ ამისდა მიუხედავად არსი და აზრი ერთი იყო იქაც და აქაც – ეს საპყრობილე და მისი სახელმწზიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმის სისტემა უნდა დაინგრეს:

„რუსეთი მფლობელია უზარმაზარი რაოდენობის ნაქურდალი საკუთრებისა, რომლის უკან დაბრუნება მოუწევს მას განკითხვის ჟამს“ – ეს ენგელსის სიტყვებია, მისი განაჩენია „ოქროს ურდოს“ მემკვიდრე ამ „ნახევრად სლავური და ნახევრად მონღოლური იმპერიისა“...

ახლა ავიღოთ 1881 წლის ჟურნალ „ივერიის“ მარტის ნომერში დაბეჭდილი ილიას „შინაური მიმოხილვა“ – აქაც იგივე დედა – აზრია გატარებული, ოღონდ ლექსიკაა განსხვავებული. კარგმა მკითხველმა ილიას ეს დედა–აზრი სტრიქონებს შორის უნდა ამოიკითხოს... სამაგიეროდ რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის ილიასეული მხილება თვით ლექსიკური ფორმითაც კი ემთხვევა მარქსიზმის მესამე კლასიკოსის ერთ არანაკლებ მნიშვნელოვან დეფინიციას, დეფინიციას, რომელიც წითელ ხაზად გასდევს რუსეთის იმპერიის მთელ ისტორიას დღემდე...

ილია და ლენინი:
„დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმი“

ვინ იფიქრებდა, რომ ოდესმა ლენინისა და ილიას პოლიტიკური ლექსიკა ერთმანეთს დაემთხვეოდა. არადა, სწორედ რომ ერთნაირი ხედვა ჰქონიათ მათ ოღონდ ამ ერთ კონკრეტულ საკითხში: ორივეს მიაჩნდა, რომ რუსეთის ბედი ბევრწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შესძლებს იგი დიდმპყრობელური შოვინიზმის დაძლევას თავის მომავალ განვითარებაში. ამ „რუსულ დილემაზე“ ილია იმ დროს წერდა, როცა ვლადიმერ ულანოვი დაწყებითი სკოლის მოსწავლე იყო ბაშკირეთში და იქ განათლებას ბაშკირულ – თათრულ ენაზე კი არა, არამედ რუსულად იღებდა. აი, რას წერდა ილია ერთ რიგით რუს ჩინოვნიკზე, კავკასიაში „განათლების მზრუნველზე“ იანოვსკიზე მაშინ:

„რადგან არსებითი ნიშანი ერისა, მისი სული და გული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეებისა ყველაზედ უწინარესად ენას მისწვდა... ენის სიკვდილი ერის სიკვდილია და რუს მოხელეობასაც არარუს მხარეებში გადაუწყვეტია ეს საქმე ბავშვობიდანვე დაიწყოს აქაური სკოლების რუსულ ენაზე გადაყვანით...“.

მშობლიური ენის ასეთი თავგამოდებული გამოსარჩლების გამო იყო, რომ ილია „საშიშ პიროვნებათა“ სიაში შეიყვანეს. მაშინ „ბეზღობის“ მთელი სისტემა შეიქმნა ამ სიის შესავსებად. მის ერთ–ერთ იდეოლოგზე – კატკოვზე ილია წერს: „უბედურება ერისა ისიც არის, როცა ბეზღობას, მაგ უწმინდურს საქმეს დიდი

ავალა და გასაქანი მიეცემა სახელმწიფოში... ბეზღობის პარპაში და პატივით ყოვნა შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ნიშანია საზოგადოების წყობის აღსასრულის მოახლოებისა“. ეს ასეც მოხდა ილიას მკვლელობიდან ათი წლის შემდეგ.

„რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის“ ძლევა ლენინმა უპირველეს ამოცანად დაისახა და ეს მერე „ანდერძით“ თავის მემკვიდრეს – ახალ „გენცეკას“ სტალინს გადასცა... მაგრამ მან არათუ სძლია მას, თვითონ იქნა ძლეული მისგან 1953 წელს, „დიდმპყრობელურ რუსულ შოვინიზმს“ კი, – „მაგ უწმინდურ საქმეს დიდი ავალა და გასაქანი“ აქვს დღესაც ფრთებშეკვეცილ რუსულ იმპერიაში...

„უწმინდურ საქმეებს“ რა გამოლევს ქვეყნად და ილიაც ცდილობდა რაც შეიძლება აეცილებინა ისინი ერის სამომავლო განვითარებისათვის. ეს პირველ რიგში, ის „განყოფის უცხო თესლი“ იყო, რომელიც ჩათესეს და გააღვივეს მაშინ ქართულ ნიადაგში. საქართველოშიც უკვე გვარიანად ფეხმოკიდებული კაპიტალიზმი, მისი თავდაპირველი „ველური კაპიტალიზმის“ ფორმით ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ამ თესლის აღმოცენებისა და გამრავლებისთვის. სწორედ უცხოეთიდან ხელოვნურად თავმოხვეული ამ „უწმინდური საქმის“ საპირწონედ შეიქმნა „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები. ეს ის თეორია და ის პრინციპებია, რომლებსაც ილიასთან ერთად თავისი ღვაწლი და ამაგი დასდეს XIX – XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ–პოლიტიკური აზროვნების არაერთმა დიდმა მოღვაწემ სოლომონ დოდაშვილიდან დაწყებული და ივანე ჯავახიშვილით დამთავრებული...

ილია ჭავჭავაძის **„საერთო ნიადაგის“** თეორიაზე, მის სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ–ეკონომიკურ და ზნეობრივ პრინციპებზე სულ ახლახან ვილაპარაკეთ (**„ილია და „საერთო ნიადაგის“ თეორია“**, თბილისი, 2014 წ.), თუმცა აქ მისი ისეთი გააზრება გვინდა შემოგთავაზოთ, რომელიც წინასწარ ვიცით, არაერთგვაროვან რეაქციას გამოიწვევს მკითხველში. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გვინდა შევახსენოთ ყველას მეცნიერების წარმოშობისა და განვითარების ერთი უცნაური კანონზომიერება: ყოველი ახალი თეორია თუ იდეა ადამიანთა თავებში სამ სტადიას გადის მუდამ:

1. **„რა სისულელეა ეს!“...**
2. **„ამაში მგონი რაღაც სიმართლეც უნდა იყოს!“...**
3. და ბოლოს – **„ვინ არ იცის ეს!“**

ასე იყო კოპერნიკამდე, მის დროსაც, მის შემდეგაც და ასე იქნება დღეის იქითაც, რამეთუ ილიას სიტყვებით, – **„იდეა განუხორციელებელი საქმეა, საქმე კი – განხორციელებული იდეა – ისინი ერთმანეთს მიჰყვებიან დაუსრულებლად...“** და აი, **„ახალი საქართველოს“** ილიას იდეის განხორციელებისაკენ მოწოდება, ვინ დაიჯერებს ახლა ამას, ისევ მესამედასელის სახელთანაა დაკავშირებული, თანაც ისეთი მესამედასელი მარქსისტის,

რომელიც იმპერიის მესაჭე გახდა ილიას შემდეგ მალე და სამი ათეული წელი მართავდა მას თავის ნებაზე. მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს პარადოქსების ქვეყანაში და ეს პარადოქსიც მოხდა საბჭოთა იმპერიის ერთ პატარა კუთხე–კუნჭულში, რომელსაც ლიკანი ჰქვია...

დიახ, ადრეც ბევრჯერ თქმულა – ისტორიასაც უყვარს იუმორი (და შვენის კიდეც!) და აი, ილიას მკვლელობიდან ზუსტად 44 წლის შემდეგ ლიკანში ისეთი რამ მოხდა, რაც სწორედ რომ პარადოქსებისა და იუმორის ხასიათის მოვლენებს გვაგონებს...

მაგრამ იუმორთან და პარადოქსთან ერთად, აქ მკვლევარს ბევრი საგულისხმო დასკვნის გაკეთებაც შეუძლია საქართველოს უახლესი ისტორიიდან, მკვლევარისთვის კი, მთავარი ეს უნდა იყოს მუდამ...

„წარხდა ქართველთა სახელი და ქართული წეს–წყობა“

ლელთ ღუნიას ეს სიტყვები „მგზავრის წერილებიდან“, ზუსტად ასახავს XIX საუკუნის საქართველოს სინამდვილეს. წინა საუკუნეების „ძნელბედობით“ დაწყებული ეს პროცესი ილიას ეპოქაში ბოლოს ამ „წარხდენით“ დამთავრდა. ამოცანაც ამ „წარხდენის“ მკურნალობა და აღდგენა–გამოცოცხლება გახდა...

იმპერიების მეტი რა ახსოვს ჩვენს ისტორიას, მიდიიდან მოყოლებული 9 იმპერია მაინც გამოვიცვალეთ, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც სხვანაირი ჯიშ–ჯილაგისა აღმოჩნდა, „პარადოქსების ქვეყანა“ რომ შეარქვეს ვინც მას ახლო გაეცნო და გაითავისა. აკი, თვითონაც წერენ გულახდილად – „Россию умом не познать!“. აქ ხომ მართლაც, ყველაფერი უკუღმა ხდება დანარჩენი მსოფლიოსაგან განსხვავებით...

ძველ თუ ახალ იმპერიებთან ჭიდილში ქართველიც შემგუებელი გახდა – უცბადვე შეეგუა და შეეთვისა ახალ იმპერიულ ძალას აქაც, საკუთარ ქვეყანაში, სადაც სხვა დამპყრობლებისაგან განსხვავებით, ამ ახალმა იმპერიამ სრულად და ერთიანად მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა ამერ–იმერით და იქაც, ვინც მეტროპოლიაში დამკვიდრდა და დასახლდა ძალაუნებურად...

„რის ქართველობა, რა ქართველობა“, ლამის მთელი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მთავარი სულისკვეთება გახდა, „უცხო ბაძის მონობის სენი“ რომ დაარქვა ზოგად სახელად ილიამ. რუსეთიც ბუნებრივია, ყველანაირად ახალისებდა ამ გრანწყობას თავისი ტრადიციული „კორმლენიეს“ სისტემით და ჩინ–მედლების ჩამორიგებით. ეს უკანასკნელი იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ მშობლიური ენაც დაავიწყათ „რუსეთუმე ქართველებს“. ამის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ჯერ კიდევ XVII – XVIII საუკუნეებში გადახვეწილი ქართველ თავადაზნაურთა გვარები – ჩერკეზოვ–ჩერქეზიშვილები, ანდრონიკოვ

– ანდრონიკაშვილები, ერისტოვ–ერისთავები, არაყიშვილ–არაკჩევები, ზელდასტანოვ–ზალდასტანიშვილები, ავალოვ–ავალიშვილები და ა.შ.

თუმცა ესეც უნდა ითქვას: ბევრ მათგანს დავით გურამიშვილის მსგავსად, „კორმლენიემ“ ვერ დააკარგვინა სამშობლო–ქვეყნის ხსოვნა და მისდამი სიყვარულის განცდა. ამ შემთხვევაში ქართულმა გენმა ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ენაც და ცხოველმყოფელობაც, იმისდა მიუხედავად, რომ ჩრდილოელი ქართველი მამლუქები, ეგვიპტელი მამლუქებივით თვით იმპერიის მმართველობის უმაღლეს საფეხურზეც აღზევდნენ შემდეგ...

– მრცხვენია რომ ქართველი ვარ!...

ხშირად თქმულა: ხელახლა დასაწერია XIX–XX საუკუნეების საქართველოს ისტორია. მასში იმდენი „თეთრი ლაქაა“, მთლიანად რომ ამახინჯებენ მას. ეს კი ჩვენს და განსაკუთრებით მომავალ თაობებს ასეთივე დამახინჯებულ წარმოდგენას აძლევს ჩვენს უახლოეს ისტორიაზე. ამაზე თუნდაც, სათაურად აღებული ეს სიტყვები ღაღადებენ – ისინი ხომ გულს ისარივით ხვდება.

– მრცხვენია რომ ქართველი ვარ! – ეს სიტყვები გარუსებულმა ქართველმა პავლე ციციანოვმა წარმოთქვა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე. რატომ? – იკითხავთ, ყველაფერს ხომ ახსნა უნდა და ისტორიკოსი – ჟამთაღმწერელის მოვალეობაც ის იყო და არის დღესაც, რომ „ჭეშმარიტის მეტყველი“ იყოს. სხვანაირი ისტორია ისტორია არაა. აკი ილიაც წერს – ისტორიკოსი კარგი გამომძიებელივით უნდათ ჩაწვდეს მოვლენის არსს, მისი წარმოშობის მოტივებს და მიზეზებს, მსვლელობას და შედეგებს. ასე უნდა იქნას „განკითხული“ ყველა და ყველაფერიო...

ჩვენც „განვიკითხოთ“ რატომ თქვა რუსმა გენერალმა ციციანოვმა ეს სიტყვები: თურმე ნუ იტყვით, იგი შეაძრწუნა როგორ „მხეცურად“ უსწორდებოდნენ აჯანყებული ხევსურები რუსებს, აჯანყებულებს თავი გაანებეთ – თვით ქალმა, მეფე გიორგის ქვრივმა დედოფალმა მარიამმა ხანჯლით განგმირა მოძალადე გენერალი ლაზარევი... და შერცხვებოდა ქართველობის აბა, რა იქნებოდა ამის შემხედვარეს... პუშკინს კი არ შერცხვენია ქართველობის, რადგან ქართველი არ იყო, მაგრამ ციციანოვზე არანაკლები შეძრწუნების და თანაგრძნობის ცრემლით დასტირის „განმათავისუფლებელ რუს მეომრებს“, რომლებიც ასევე „მხეცურად ამოხოცეს“ კახელმა აჯანყებულებმა. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ წინა დღეს კოლექტიურად გააპატიურეს მათი ცოლები – ეს კი უკვე აღარ აინტერესებს „თავისუფლების მომღერალ პოეტს“...

მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ხშირად „რუსული ლოგიკა“ არა მარტო მაშინ, არამედ დღესაც, „დაჩაგრულ ხალხებს რომ ანთავისუფლებენ შოვინისტ ქართველთა გენოციდისგან“... მთელი ეს ორი უკანასკნელი საუკუნე სავსეა ასეთი

უკუღმართი დანალექებით არა მარტო მეტროპოლიასთან მიმართებაში და მის მიერ ჩანერგილი, არამედ თვითონ ჩვენი საკუთარი ინიციატივითაც. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს მენშევიკთა მართველობის ისტორია 1918–21 წლებში, ლამის გმირებად რომ გამოგვყავს ხალხი, რომლებმაც კაპიტულაცია მოახდინეს ძალაუნებური დამოუკიდებლობის დასაწყისშივე. ჟორდანია უბრალოდ ლენინამდე არ მიუშვეს სტალინმა და ორჯონიკიძემ, თორემ ისიც არანაკლები „წარმატებით“ გააგრძელებდა საბჭოთა მშენებლობას საქართველოში...

კარგად და დოკუმენტურად აქვს აღწერილი ეს გენერალ კვინიკაძეს, გულღიად წერს ამაზე თვითონ ჟორდანიაც თავის მემუარებში... ერთი სიტყვით, მსგავსი პარადოქსებით სავსეა XIX–XX საუკუნეების ჩვენი ისტორია და ამას გამოსწორება უნდა ჩვენგან. მასალები საკმარისზე მეტია ამისათვის. ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1919 წელს დაიწყო ეს საქმეც, მაგრამ სამწუხაროდ არ დასცალდა მისი დამთავრება. არადა, ეს ორი საუკუნე ისეთი დრო–ჟამია ჩვენთვის, რომლისაგანაც ბევრ რამე სასარგებლოს ვისწავლით ჩვენც და მომავალი თაობებიც. ამ შემთხვევაშიც ხომ, „ისტორია ჩვენი დიდი მასწავლებელია“, ოღონდ ჭეშმარიტი ისტორია, გაყალბებული კი გზას აგვაცდენს...

– მეტი გიჟ–ვრაცუობა რაღა გინდათ?!...

საქართველოს ისტორიის, „უახლესი ქართლის ცხოვრების“ ამ თეთრ ლაქებს თუ გავყვებით, ყველაზე დიდი პარადოქსი და ტრაგედია მაინც მესხეთისა და მესხების პრობლემაა. ე.წ. „თურქი მესხების“ პრობლემა, რა თქმა ახლა არ დაიწყო – ის „ახალი ქართლის ცხოვრებით“ არის გადმოცემული XVII საუკუნიდან. კარგად აქვს ყველაფერი ეს ნაჩვენები ილიას სტატიაში „ოსმალოს საქართველო“...

გეორგევსკის ტრაქტატის ერთ–ერთი განმსაზღვრელი მოტივი ერეკლესთვის მესხეთის – ჩვენი კულტურისა და ცივილიზაციის აკვნის გადარჩენა იყო. მის დროს ხომ, აქ ნახევარი მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტიანული, ხოლო ქართული ენა გაბატონებული ენა იყო. ერეკლეს დროს კი არა, XIX საუკუნის ბოლოს, როცა ალექსანდრე ხახანაშვილმა მთელი მესხეთი მოიარა, გაკვირვებით წერს – მე არ შემხვედრია არცერთი მაჰმადიანი მესხი, რომელსაც ქართული ენა არ სცოდნოდაო...

ეს მაშინ XVIII – XIX საუკუნეებში, მაგრამ XX საუკუნეში ჩვენ მოვახერხეთ და ქართული დავავიწყებინეთ ყველა მესხს – ქრისტიანსაც და მაჰმადიანსაც:: I მსოფლიო ომის შემდეგ ჯერ მენშევიკებმა სდევნეს და აწამეს ისინი და რაც მათ ვერ მოასწრეს, ათმაგად გადაუთავეს ბოლშევიკებმა. ამ ორმა ომმა ძირეულად შეცვალა საქართველოს და მესხეთის ბედი. ორმა იმპერიამ ორად გაგვყო –

ჩრდილოეთით რუსეთმა 1918 წელს დაამთავრა სოჭისა და ჯიქეთის ასიმილაცია (ტოპონიმი „Имеретинская долина“ – კი დარჩა), დღეს კი მათ წაუმატეს აფხაზეთი, რაც შეეხება მესხეთს, თურქეთმა და რუსეთმა ის „ძმურად გაიყვეს“: ერეკლე მეფის გათვლა მაშინ კი სწორი აღმოჩნდა – მესხეთის დიდი ნაწილი რუსეთმა თურქეთთან ომის შედეგად XIX საუკუნის ბოლოს შემოიერთა, მაგრამ შემოიერთა მხოლოდ სათავისოდ და რუსი გენერლებისა და ჩინოვნიკების გასამდიდრებლად. ამ მხრივ თვით ტალეირანსაც შეშურდებოდა, რაც პასკევიჩმა გააკეთა 1829–30 წლებში მესხების მასობრივი გასახლებით მესხეთიდან და იმავდროულად, სომხების მასობრივი ჩამოსახლებით აქ. ამ „გენიალური ოპერაციის“ გამო მიიღო მან „გრაფი ერევანსკის“ ტიტული და მასთან ერთად, სომხებისაგან ოქროც უთვალავი...

ამით მესხეთს პასკევიჩმა ისეთი ლახვარი ჩასცა, რომლითაც იგი დღემდე გონს ვერ მოსულა, ჩვენ? ილიასებურად რომ ვთქვათ – „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? – მადლიერნი მუთაქაზედ ვიწექით და ვნებივრობდით!“... ამის გარდა „გრაფი ერევანსი“ იმითაც უკვდავყავით, რომ თბილისის მთავარ მოედანს – „ერევანსკი“ დავარქვით...

უარესი ტრაგედია დავმართეთ II მსოფლიო ომის პერიოდში, 1944 წლის ნოემბერში – მესხეთის მთელი მაჰმადიანი ქართველობა, ვითარცა „ანკარის იმპერიალიზმის აგენტები“ (ასეა დასათაურებული ბახჩო ქობულოვისა და კგბ სხვა მაღალჩინოსანთა შეთითხნილი საქმე პოლიტბიუროზე გასატანად), შუა აზიაში იქნა გასახლებული. ასე დამთავრდა მესხებისა და მესხეთის ტრაგედია, რომელიც 1625 წელს დაიწყო სამცხე–საათაბაგოს შექმნით... თითქოსდა XX საუკუნის ორივე მსოფლიო ომი იმიტომ მოხდა, რომ მესხები და მესხეთი აღგვილიყო პირისაგან მიწისა. ეს პროცესი დოკუმენტური სიზუსტით აქვს გადმოცემული ივანე ჯავახიშვილს ნაშრომში – „დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის საკითხი რუსეთ–საქართველო–სომხეთის ურთიერთობაში“. თვითონ ბ–ნი ივანე პირადად მონაწილეობდა ანტანტის მიერ ორგანიზებულ ბათუმის საზავო კონფერენციაში 1919–1920 წლებში, მაგრამ არც მენშევიკებმა და არც ბოლშევიკებმა თითი არ გაანძრიეს ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად...

ამაზე იტყოდა ალბათ ილია – „მეტი გიჟ–ვრაცუობა რაღა გინდათ?!“...

ისტორია კი მიდის და მიდის...

ისტორია კი მიდის თავისი გზით, ხან პირდაპირ, ხან ზიგ–ზაგებით... ერთი დიდი კანონზომიერება გამოიკვეთა მისი ამ ახალ საუკუნეებში: უსაშველოდ გაიზარდა ტემპები მისი ამ მსვლელობის და განვითარების ცხოვრების ყველა სფეროში, სხვა იყო მსოფლიო და საქართველო პატარა კახის ეპოქაში და სრულიად სხვა გახდა ილიას ეპოქაში...

ამ მხრივ განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს XX საუკუნე – ხუმრობა საქმე ხომ არაა ორი მსოფლიო ომი, თანაც შევადაროთ რა თვისობრივი განსხვავებაა მათ შორის სამხედრო–ტექნიკური თვალსაზრისით: I მსოფლიო ომის ტანკები და ავიაცია სათამაშო ტიკინებად მოგეჩვენებათ მეორესთან შედარებით ზედ დამატებული ატომით და რაკეტებით...

პარადოქსად მოეჩვენება ბევრ დიდ ერს, მაგრამ ამ დიდ ისტორიულ წიაღ–სვლებში ჩვენმა პატარა საქართველომაც თქვა თავისი სიტყვა და სწორედ რომ ამითაც გააცნო თავი მსოფლიოს, შეახსენა ყველას – მტერსაც და მოყვარესაც, რომ არ დაგავიწყდეთ – ამქვეყნად მეც ვარ: ქართველ ერს, მადლობა ღმერთს, ჯერ ჩამოსაწერად არ გახდომია საქმე და მიუხედავად მავანთა და მავანთა მცდელობებისა დღევანდელ დღეს, არც მომავლისთვის ვართ ისტორიიდან ჩამოსაწერნი...

„რას სჩადიხართ – ილია ვარ!“

ეს ილიასებური მოკლე და ლაკონური ფრაზა მისი ამქვეყნიური ბოლო სიტყვებია 1907 წლის 30 აგვისტოს თქმული. ამბობენ და ფიზიკოსები ემპირიულადაც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბუნებაში არაფერი იკარგება, მათ შორის წარსულში წარმოთქმული ბგერებიც და მეცნიერება და ტექნოლოგიებიც მივა იქამდე, როცა შესაძლებელი გახდება მათი აღდგენა...

ღმერთმა იცოდეს, რამდენად შესაძლებელია, ან, როდის და როგორ მოხდება ეს, მაგრამ ილიას ამ ოთხ სიტყვას აღდგენა არ სჭირდება – ისინი ნამდვილად ითქვა და მარად უნდა გვახსოვდეს ყველა ქართველს. თავის დროზე მას მეც გამოვეხმაურე ერთ ჩემს პოეტურ კრებულში – **„ფიქრები ღმერთსა და ადამიანზე, დედამიწასა და საქართველოზე“**, რაც აქაც მინდა შემოგთავაზოთ:

„რას სჩადიხართ – ილია ვარ!“

„რას სჩადიხართ – ილია ვარ!“, –
შემოგვძახა უკანასკნელად,
როს წიწამურთან
ბერდენკის ლულას
უსწორა თვალი...
„რას სჩადიხართ – ილი ვარ!“, –
მოგვძახის ახლაც,
როცა შეჰყურებს
ჩვენს ნაცოდვილარს
ამერ–იმერის

მთასა და ბარად...

ამავე კრებულიდან მინდა ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი პოეტური აღქმა შემოგთავაზოთ. მას საფუძვლად უდევს ერთი მხრივ, ვაჟა ფშაველას სტატია (**„ილია მოკლეს!“**) და მეორე მხრივ, ეპიგრამად გალაქტიონის ცნობილი სიტყვები. ვფიქრობ, ორივე ეს გააზრებაც ამ ორი ბუმბერაზი პოეტისა, მარად უნდა გვახსოვდეს შემდეგ თაობებს:

„ილია მოკლეს“!

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი...”

გალაკტიონი

„ილია მოკლეს!“, –
იქუხა ვაჟამ,
მეზობელმა რომ აუტანა
ეს ამბავი
ბარიდან ჩარგალს...
ვაჟასთან ერთად იქუხა მთამაც:
-„მათ რომ შეეძლოთ,
საქართველოსაც მოკლავდნენ, ალბათ...“

მადლობა უფალს,
ის საუკუნე ისე გავლიეთ,
„მათ“ ეს ვერ შეძლეს...

* * *

მამისმკვლელნი ვართ!
–რად უნდა ამას
ეს უთავ–ბოლო დისკუსია
და არქივში ქექვა ...
უცხო კაცმა, თუ არა,
ჩვენ ხომ ვიცით შესანიშნავად:

იმ დღეს სოლოლაკის დუქნებში
საზეიმო სუფრები გაიშალა,
და თბილისელი მოქალაქენი
–კინტოები და ყარაჩოღელნი,
სახელგანთქმული თამადები
და ქამარ–ხანჯლიანი თავადები,
ჩინიანნი და უჩინონი,
ყველა ცალ–ცალკე
და ყველა ერთად,
მარჯვენას უქებდა

ილიას მკვლელებს
სიჩაუქისა და ვაჟკაცობისთვის...

დიახ, მსხვერპლს კი არ
გლოვობდნენ და ჭირისუფლობდნენ,
–,,ტყის ძმებს,“–
მესამედასელთა მაშინდელ ,,კილერებს“,
ხოტბას ასხამდნენ
გამოჩენილი გმირობისა და
ვაჟკაცობისთვის...
რქაწითელით შეზარხოშებულნი,
დამბაჩასაც ისროდნენ
ილიას მკვლელთა პატივსაცემად
,,ბედნიერი ერის“ მაშინდელი ნაშიერები ...

* * *

და დღესაც, როცა
ვიჭერ ხოლმე,
ილიას ბრძნულ და
გამჭოლავ მზერას,
კვლავ მახსენდება:
–მამისმკვლელნი ვართ
უთუოდ დღესაც...

* * *

მე კი არა,
ვინღა არ ამბობს,
ვინც ამჯობინებს მოყვარისთვის
პირში მართლის თქმას ...
აკი, აკაკიმ
პირში გვახალა
ტყვიაზე უფრო საშინელი რამ,
–,,ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“
დიახ, ვინ ვართ ჩვენ?!,-
თვითონ აკაკიმ,
თვითონაც მაშინ მოხუცმა კაცმა,
მოურიდებლად ტყვიასავით
პირში გვახალა:
–,,ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“

* * *

მაგრამ რას ვიზამთ,
მოსახდენი –მოსახდენია,
ეს განსაცდელი ღმერთმა გვარგუნა,

და თუ მართლაც კაცები ვართ
და არა ისევ
,,მესამე დასის“ კაცისმკვლელები,
თუ გვინდა, რომ ღმერთმა შეგვინდოს,
და ამასთან,
იმედი გვქონდეს მომავალისაც,
ეს ცოდვა უნდა
ჩვენს თავზე ვიდოთ
და სულგრძელობით ცოდვის შვილებს,
ღმერთიც შეგვინდობს ...

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობაზე, მის ადგილსა და როლზე ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში ათასობით ნაშრომი თუ ნარკვევი, წერილი თუ სტატიაა გამოქვეყნებული. ალბათ, არ არის ისეთი ქართველი მოღვაწე, რომელზეც ასეთი ზღვა მასალა არსებობდეს, მაგრამ სიმართლისთვის ესეც უნდა ითქვას – მთავარი მაინც დარჩა სათქმელი, ის, რაც ამ მემკვიდრეობის ძირითად აზრსა და არსს შეადგენს – „საერთო ნიადაგის“ თეორია. მისი კვლევა დაიწყო ივანე ჯავახიშვილმა 1938 წელს გამოცემული ნაშრომით – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, მაგრამ ჯანმრთელობამ აღარ მისცა საშუალება გაეგრძელებინა იგი...

შეიძლება ითქვას, რომ ამ თეორიით მთავრდება „ახალი ქართლის ცხოვრება“ – საქართველოს ახალი ისტორიის პერიოდი და ერთდროულად იწყება ის, რაც დასაწყისშივე ვთქვით და პირობითად „უახლესი ქართლის ცხოვრება“ უწოდეთ. ეს „ცხოვრება“, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რა თქმა უნდა, დღესაც გრძელდება და დარწმუნებული ვარ, გაგრძელდება არა ერთ წელს და საუკუნეს კვლავაც საქართველოს „თანამდევ უკვდავ სულთან“ ერთად...

საუბრები ლიკანში

იდგა 1951 წელი, მარიამობის თვე, ისე როგორც 1907 წელს, ოღონდ მაშინ სხვა იყო იმპერატორი, სხვა იყო საქართველოც, იმპერიაც და სხვა იყო მსოფლიოც...

შემთხვევითობა და კანონზომიერება – ეს ერთი შეხედვით წმინდა ფილოსოფიური პრობლემა თავიდანვე მიზიდავდა იმაზე არანაკლებ, ვიდრე დროისა და სივრცის, ანდა, სასრულობა – უსასრულობის პრობლემაა. მახსოვს ჩემი სტუდენტური რეფერატებიც, როგორ მეამაყებოდნენ ისინი, როცა მათი განხილვა საჭიროდ ჩათვალეს ფილოსოფიის კათედრაზე. ქართული ფილოსოფიური სკოლა ყველა ეპოქაში მაღალ დონეზე იდგა და მეც გამიმართლა, რომ მოვესწარი ისეთ ბრწყინვალე ლექტორებს, როგორებიც კოტე ბაქრაძე და შალვა ნუცუბიძეა. ამ უკანასკნელიდან ბევრი რამ გავიგე სტალინის ფენომენის ირგვლივ...

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სტალინის ჩამოსვლა ბორჯომში როგორ მოვლენად შეიძლება ჩათვალოს კაცმა – შემთხვევითობად თუ კანონზომიერებად? მე ამ კითხვას ძველი ბერძნული **„სტოიციზმის“** სტილში ვუპასუხებ – ერთიც და მეორეც! თუ რატომ, ამას კი უკვე დინჯი და მშვიდი, დოდაშეილისეული **„ლოგიკის“** კანონებით განსჯა – გარჩევა და ანალიზი უნდა...

– „ქართველი ინტელიგენცია ვალში ხართ ილიასთან“...

შემთხვევითობაც იყო და კანონზომიერებაც, რომ სტალინმა მოინდომა ქართველ ინტელიგენციასთან შეხვედრა – იმ დროს მიმდინარეობდა ორი დისკუსია – ერთი ენათმეცნიერების ფილოსოფიურ პრობლემებზე და მეორე – ეკონომიკაზე. ეს უკანასკნელი რუსეთის იმპერიის, მათ შორის, სტალინის პირმშო საბჭოთა იმპერიის **„აქილევსის ქუსლი“** იყო და არის ახლაც პუტინის ჟამსაც... სწორედ ამან მიიყვანა საბჭოთა კავშირიც დაშლამდე ამ 25 წლის წინ...

ახლა რომ ვთქვა – სტალინმა ეს თვითონ იწინასწარმეტყველა, როცა თავის მემკვიდრე **„კატის კნუტების“** ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე ლაპარაკობდა, ესეც ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენება, მაგრამ აქაც ფაქტს საით წაუვალთ. ამაზე ბევრს ლაპარაკობენ და წერენ კანდიდ ჩარკვიანი, აკაკი მგელაძე, შალვა ნუცუბიძე, ვალერიან დათუკიშვილი... ისიც შემთხვევითი არაა, რომ სწორედ 1951 წელს გაახსენდა და ხელახლა დაბეჭდა ვარლამ ჩერქეზიშვილთან ჯერ კიდევ 1906 წელს დაწყებული კამათი ასეთი საერთო სათაურით – **„ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“...**

ერთი სიტყვით, II მსოფლიო ომის შემდეგ სტალინი მიხვდა – **„სახელმწიფო სოციალიზმის“** ბოლშევიკური იდეა და პრაქტიკა სრული მარცხისთვის იყო განწირული. მას ხელოვნური ინექციებით დიდხანს ვერ აცოცხლებს სერიოზული რეფორმირების, პირველ რიგში ფულად–სასაქონლო ურთიერთობის პრინციპების დანერგვის გარეშე. ეკონომიკასთან ხუმრობა არ შეიძლება – ამიტომ ჩაუჯდა „სოციალიზმის ეკონომიკურ პრობლემებს“ – თავის ბოლო დაუმთავრებელ ნაშრომს, დაუმთავრებელს ყველა გაგებით...

სამაგიეროდ აღორძინება იწყო არნახული წარმატებით ვარლამ ჩერქეზიშვილის და კარლ რენერის **„არასახელმწიფოებრივი ეროვნული სოციალიზმის“** იდეებმა შვეციაში, ნორვეგიაში, ისრაელში... ბოლშევიზმის ეს კრახი თავიდანვე ცხადი იყო, მათი პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური ავანტიურაც სწორედ რომ ასე უნდა დამთავრებულიყო. ამიტომ წერდა ჩერქეზიშვილიც: **„თქვენ სოციალისტები არ ხართ! თქვენ სოციალიზმის მტრები ხართ!“**

ესეც ხომ, საკითხავია – რატომ მოხდა ყველაფერი ეს? ამაზე ილიამ გასცა პასუხი ბოლშევიკური ექსპერიმენტების დაწყებამდე კარგახნით ადრე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სიტყვა – „ბოლშევიზმი“ არც კი არსებობდა: ყველაფერი

ამქვეყნად ბუნებრივად უნდა **„აღმოიშობოს“** და არა ხელოვნურად – **„კაცის რიკ–რიკაზედ“**. ამიტომაცაა ეს ზოგად–სოციოლოგიური კანონი მუდამ გამართლებული – ყველაფერი ბუნებრივი კარგი და სასარგებლოა ხელოვნურთან შედარებით...

ამიტომაც უფრო სწამდა და ენდობოდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ბუნებრივი, **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“** იდეებს და მასთან ერთად, საზოგადოების ბუნებრივ–ისტორიული განვითარების ზოგად–სოციოლოგიურ პრინციპს. მესამედასელ მარქსისტებსაც სულ მუდამ ამას ედავებოდა – თუ მაინცდამაინც სოციალიზმი გინდათ, რაღა ცხრამთას იქით გარბიხართ, აგერ ჩვენი ისტორიული **„კომლი“** და **„ხოდაბუნი“** აქ არაა... ჩერქეზიშვილი თქვენზე ნაკლებია, რომ ევროპიდან აქ, ჩვენში და ჩვენს ისტორიაში ეძებს სოციალიზმის საწყისებს. ის იქ, ევროპაში საქართველოს თუ არ ივიწყებს, თქვენ აქ რა ჯანდაბა მოგდით...

მაგრამ თავი გავანებოთ წმინდა თეორიულ და ზოგად–სოციოლოგიურ საკითხებს და მივუბრუნდეთ ჩვენს მთავარ საკითხს: რატომ მაინცდამაინც აქ, ლიკანში მოხვდა ილია სტალინის ყურადღების და განსჯა–კამათის ეპიცენტრში? რატომ ისროლა იქ ლიკანში ეს **„ფრთიანი ფრაზა“** – **„ქართველი ინტელიგენცია ვალში ხართ ილიასთან!“**. შემთხვევით მოხდა ეს? რა თქმა უნდა არა. აქაც შემთხვევითობა და კანონზომიერება ერთმანეთთან ლოგიკურ მთლიანობაშია განსახილველი... ესეც ხომ სათქმელია – კარგი, ვთქვათ ვალში ვართ, მაგრამ რა ვალში ვართ **„დილას“** ავტორის აზრით, – თუ **„ვალზეა“** ლაპარაკი, ყველაზე დიდი ვალი ილიასთან ხომ, მასა და მთელ **„მესამე დასს“** აქვს?...

სწორედ ამ **„ვალის“** გადახდაზე იქნება ლაპარაკი ქვემოთ...

სტალინი სტალინის შესახებ...

1946, 47, 48, 49, 50 და 51 წლები – ზედიზედ 6 წელი შავიზღვისპირა კურორტებზე გაატარა, უპირატესად აფხაზეთში, ბოლოს კი, წყალტუბოსა და ლიკანში. რა თქმა უნდა, არც ეს იყო შემთხვევითი – კაცი რომ სიბერეში შედის, **„ადგილის დედის“** მონატრებაც უფრო ძალუმი ხდება...

მაგრამ ჩვენთვის ეს არ არის მთავარი, მთავარი ის არის, რომ აქ სტალინი ჩვეულებრივზე მეტად პირდაპირი და **„მართლის მთქმელის“** როლში გვევლინება, ხშირად ცინიზმის ხარისხამდე მისულიც კი... ამაზე ბევრს წერენ კანდიდ ჩარკვიანი და აკაკი მგელაძე, როცა სტალინის ბერიასთან დაპირისპირებას და ე.წ. **„მეგრელთა საქმეს“** ეხებიან. აქედან სტალინის ეს ძველი და ახალი ფავორიტები იმ დასკვნას აკეთებენ, რომ სტალინი უკვე აშკარად გრძნობდა მომავალ სამკვიდრო–სასიცოცხლო დაპირისპირებას ბოლშევიზმის ძველ კლანებთან. აკაკი მგელაძე იმასაც აღნიშნავს, რომ **„მეგრელთა საქმეს“** მოყოლებული **„ექიმთა საქმე“** უკვე სტალინის დასასრულის დასაწყისი იყო – ეს

ყველაფერი კი ლიკანში ჩაისახა, ლიკანი 1951 წლის აგვისტოში დიდი პოლიტიკის ეპიცენტრი გახდა...

ერთი შტრიხიც უნდა აღინიშნოს ა.მგელაძის, ისე როგორც კ.ჩარკვიანის, შ.ნუცუბიძის და ვ.დათუკიშვილის მოგონებებიდან: სტალინი თანაბრად და სრულყოფილად ფლობდა რუსულ და ქართულ ენებს. ამას რუსი ავტორებიც აღნიშნავენ ერთხმად – მიუხედავად გამოკვეთილი ქართული აქცენტისა, სტალინის რუსულის ცოდნა და მისი ლექსიკური მარაგი მიუღწეველი იყო თვითონ რუსებისთვისაც კი...

ბ–ნი ვალერიანი იმასაც იხსენებს, თუ როგორ ხსნიდა თვითონ სტალინი ყოველივე ამას ლიკანში მასთან საუბრისას:

– 1907 წლიდან მე საქართველოს მოვწყდი მთლიანად. ქართულად დაწერილი ჩემი უკანასკნელი ვრცელი პუბლიცისტიკური წერილი იყო **„ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“.** მას შემდეგ ჩემი ერთადერთი კონტაქტი ქართულ ენასთან ჩემი მიმოწერა და ქართულ ენაზე დაწერილი თხზულებების კითხვა იყო, რომელიც ჩემი ყოველდღიური ჩვევა გახდა და რომლითაც უხვად მამარაგებდა იროდიონ ევდოშვილი, განსაკუთრებით კი, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებით... მას შემდეგ ილია ჩემი ბიბლიოთეკის განუყოფელი ნაწილია დღემდე. ისე, რომ ვისაც გინდათ კარგი და დახვეწილი ქართულით მეტყველება, ამ მხრივაც ილიას გარეშე ვერ შეძლებთ ამას...

– ცხოვრების წესად მექცა ესეც – ძალიან ცოტა მძინავს ღამით და ამ დროს კითხვით ვავსებ. ილია ამ მხრივ, ჩემი ყველაზე საყვარელი საკითხავია... აიღეთ მისი გინდათ მხატვრული სიტყვა და გინდათ პუბლიცისტიკა – ისინი სიბრძნის ნამდვილი წყაროა... მისი ლაკონიზმი და ორატორული ძალა ხომ, მართლაც სანიმუშო და მიუღწეველი რამაა... შესწავლა უნდა ოღონდ ყველაფერს ამას, ზერელ გადაკითხვა კი არა, ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა... ამიტომ მინდა, რომ მომავალი თაობები ილიას მემკვიდრეობას სრულყოფილად დაეუფლონ...

– ფატალიზმის მწამს...

ბედისწერა უთუოდ თან სდევს კაცსაც და ხალხსაც. მოხვალ ამქვეყნად და როგორც იტყვიან, რაც შუბლზე დაგეწერება, ვერ აიცილებ თავიდან...

ბ–ნი ვალერიანი იხსენებს:

– არ ვიცი, გორთან სიახლოვის გამო იყო ეს თუ არა, მაგრამ ლიკანში ყოფნისას ხშირად იგონებდა ბავშვობისა და სიყრმის წლებს. აკი, ვასილი და სვეტლანაც გააგზავნა გორის მოსანახულებლად (თვითონ კი ზემოდან გადახედა ქალაქს და ისევ ბორჯომში გამობრუნდა)... ერთმა ღმერთმა იცოდეს, რა ხდებოდა მაშინ მის თავში და გონებაში. გორიდან კარგი მოგონებები რომ არ ჰქონდა ჩარჩენილი, ეს ფაქტია... თვითონვე ყვებოდა გულახდილად ამას:

– რა თქმა უნდა გვიჭირდა ცხოვრება, მაგრამ დედაჩემი მებრძოლი ქალი იყო... ძნელია დაივიწყოს შვილმა, რაც მან მისი კეთილდღეობისთვის გააკეთა. ეს

მარტო ქართველ ქალს თუ შეუძლია... ორი შვილის გარდაცვალების შემდეგ, მთელი ძალა, ენერგია და სიყვარული ჩემზე გადმოიტანა – კეკეს სოსოც იმიტომ შემარქვეს...

– მასა და ბესოს შორის ჩხუბის მიზეზი ესეც იყო – რა უნდა გამოვსულიყავი, მეჩექმე და **„მეჩექმეთა უსტაბაში“**, თუ მღვდელი და **„წიგნის კაცი“**, როგორც დაცინვით ხშირად უყვარდა თქმა მამაჩემს... რაც სმას უმატა, მით უფრო აიჩემა – ხელი ძალიან კარგი აქვს, მეორე სახელოსნოს მივაშენებ ძველს და აი, ნახავთ ნამდვილი მეჩექმეთა უსტაბაში დადგებაო...

– **„მეჩექმეთა უსტაბაში“** არა მაგრამ **„ბოლშევიკთა უსტაბაში“** კი, ნამდვილად გამოვიდა ჩემგან – იცინოდა სტალინი, იხსენებს ბატონი ვალერიანი, – და ესეც დამამახსოვრდა ლიკანში მასთან საუბრისას:

– მიუხედავად თითქმის ანტაგონისტური დამოკიდებულებისა, რაც ბესოს მიმართ მე და დედაჩემს გვქონდა, მისგან მაინც, ბევრი რამ კარგი გადმომეცა, პირველ რიგში კი, პირდაპირობა და სიმართლის თქმა. ასეც ეძახოდნენ გორელები – **„სიტყვის კაცი“**, – რომ შეპირდებოდა ვინმეს რამეს წაღები იქნებოდა, **„აზიაცკები“** თუ ჩექმა, იმ დღეს აუცილებლად მზად დახვდებოდა შემკვეთს. ღამეს გაათენებდა და სიტყვას არ გატეხდა...

– ბედისწერა მწამს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში რამდენჯერ გადავურჩი სიკვდილს – მაშინ ხომ, ბავშვები სახადებისგან მასობრივად იხოცებოდნენ, ჩემი ორი ძმაც ამ სახადს გადაჰყვა. სახადის გარდა, ეტლმა გადამიარა და იქაც გადავრჩი – **„ნაგიჟარას“** ეძახდნენ იმ მეეტლეს, თვითონვე გაუკვირდა როგორ გადავრჩი... მარტო აი, ეს მარცხენა ხელი გამიფუჭდა, მერე ციმბირში მთლად დამიდუნდა... იქაც ხომ მდინარეში ჩავვარდი, მთლად გავიყინე, მაგრამ გადავრჩი... ის კი არა, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამან ფილტვებში ტუბერკულიოზის ჩხირებიც ჩამიკირა... ბედისწერაა აბა, რა არის, ტროცკისტმა 5 მეტრიდან მესროლა და ამაცდინა – სწორედ იმ დროს დამივარდა ჩიბუხი და მის ასაღებად დავიხარე, ამჯერად ჩიბუხმა გადამარჩინა...

– ესეც ბედისწერაა, რომ ჩემს გონებრივ განვითარებაში ბავშვობიდანვე მოაზროვნე ხალხი შემხვდა – გორში კოტე ჩარკვიანი, თბილისში კი, ეროდიონ ევდოშვილი და მისი მეშვეობით ილია ჭავჭავაძე. მახსოვს რაფიელ ერისთავის იუბილეზე ჩემმა გამოსვლამ და ლექსმა ისე აღაფრთოვანა ილია, რომ მისი **„ივერიის“** კარი ყოველთვის ღია იყო ჩემთვის... მერე ეროდიონმა მესამედასელების **„კვალში“** მიმიყვანა და იქ კოტე ჩარკვიანის დარვინიზმის შემდეგ, მარქსიზმი და სოციალიზმის თეორია ჩემი ცნობიერების განმსაზღვრელი იდეოლოგია გახდა...

– ეროდიონი ჩემზე უფროსი იყო რამდენიმე წლით და როგორც უმცროსი ძმა, ისე მფარველობდა და მპატრონობდა. ის იყო ერთადერთი მესამედასელი, რომელსაც ილიასთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია, პირიქით – ყოველთვის ცდილობდა ილიას ეროვნული ხაზი და მარქსიზმის სოციალური ინტერნაციონალიზმი ერთმანეთთან დაეახლოებინა. ამის ნიმუშად მას

ყოველთვის ილიას **„აჩრდილი“** მოჰყავდა. არ დამავიწყდება, როგორ ჩამომიტანა ილიას ეს პოემაც და სხვა თხზულებებიც სოლვიჩერგორდსკში. ამ მხრივაც ვარ ეროდიონისაგან დავალებული... დღემდე ეს ყველაფერი ჩემი სამთავრობო ეშელონის განუყოფელი ნაწილია – როგორც კი მოსკოვიდან გამოვდივარ კავკასიისკენ, პირველ რიგში ილიას ბიბლიოთეკას ჩავატვირთვინებ...

ბატონი ვალერიანი იხსენებს: – მთელი ამ აგვისტოს განმავლობაში მართლაც ეს ხუთი თუ ექვსვაგონიანი სამთავრობო ეშელონი გაუნძრევლად იდგა იქვე მტკვრის სანაპიროზე და ელოდებოდა სტალინის ნებას საით მოუწევდა ამჯერად გამგზავრება – სტალინმა ხომ მთელი ომისშემდგომი ცხოვრების ნახევარი მასში გაატარა. მისი პირადი მზარეული ალექსანდრე რთველაძე, **„არსენიჩი“** როგორც მას სტალინი მუდამ მიმართავდა მამის სახელის მიხედვით, იხსენებს: მისი საყვარელი დასვენება ის იყო, რომ მგზავრობის დროს სარკმლიდან საათობით შეეძლო პეიზაჟების ყურება – ახლაც წყალტუბოდან ბორჯომამდე სარკმელს არ მოშორებია... დღეს ის ძველი **„სტალინის ვაგონი“** გორის მუზეუმთან დგას – ესეც თავისებური სიმბოლიკაა...

„სულ გველის წიწილები გვეძახა“...

წმინდა ისტორიული წყაროს თვალსაზრისით თუ მივუდგებით მასალებს, რომლებიც ომის შემდგომ წლებში საქართველოში საერთოდ და კერძოდ კი, ლიკანში სტალინის ყოფნას ეხება, ის რა თქმა უნდა, მარტო ილიათი არ ამოიწურება. ეს მასალები იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, ალბათ, მთელი ტომები დასჭირდება... – მათზე მუშაობა მე ადრევე დავიწყე შალვა ნუცუბიძესთან, ვალერიან დათუკიშვილთან, აკაკი მგელაძესთან და კანდიდ ჩარკვიანთან პირადი საუბრების და შემდგომ კი, მათი არქივების დამუშავებით...

ამ საფუძველზე გარკვეული წერილები და სტატიებიც იბეჭდებოდა... 70–იან წლებში დისიდენტური წესით გამოიცა **„იოსებ სტალინი“** და **„იმპერიის ისტორიული ბედი“,** (განზრახული მაქვს მათი ცალკე გამოცემაც სათაურით – „დიქტატორის აღსარება“) მაგრამ ილიასთან მიმართებაში ყველაზე მდიდარი მასალა შემდგომში ვალერიან დათუკიშვილთან იქნა მოძიებული და ჩაწერილი...

ბ–ნი ვალერიანი, როგორც თსუ პარტკომი, სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა ყოველთვის თავს იკავებდა გულღია საუბრებისგან, მაგრამ მერე მისგან ნამდვილი მადანი აღმოვაჩინე. ეს პირველ რიგში დაკავშირებულია იმასთან, რომ სტალინის მსგავსად, ბ–ნი ვალერიანიც სოციალიზმის იდეის დიდი და თავგადაკლული ფანატი იყო და სტალინმა ისიც და აკაკი მგელაძეც როგორც ჩანს, გაითვალისწინა **„პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გაახალგაზრდავების“** თავის პროგრამაში XIX ყრილობის წინ. სტალინივით ტრაგიკულად აღიქვამდა ისიც სოციალიზმის კრახს...

ამასთან, როცა სტალინმა გაიგო **„ვალიკოს“** (ასე შინაურულად მიმართავდა მას იგი), ახლობლური დამოკიდებულება პოეტ ეროდიონ ევდოშვილთან – თავისი ახალგაზრდობის დიდ მეგობართან, მათ შორის უფრო ინტიმური და გულღია ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ბ–ნი ვალერიანი იხსენებს ერთ ასეთ გულღია საუბარს, სადაც სტალინი წიწამურის ტრაგედიას შეეხო:

– მაშინ მე ბაქოში ვიყავი. მანამდე ეროდიონთან ერთად ხშირად ვხვდებოდით ილიას. ეროდიონი ალბათ, ერთადერთი მესამედასელი იყო, რომელსაც ილია პატივს სცემდა და თქვენ წარმოიდგინეთ, მისი **„ქართული მარსელიოზა“** (**„მეგობრებო წინ, წინ გასწით...“**) მოსწონდა კიდეც. მოსწონდა ეროდიონის პირდაპირობა და სამართლიანობა და აი, როცა ილიას მკვლელობა მოხდა, მან ილიას კუბოსთან საჯაროდ დაგმო პარტია, დატოვა იგი და მის წევრებს ყველას განურჩევლად **„გველის წიწილები“** გვიწოდა...

– ჩემი ოჯახური ამბებიც სწორედ მაშინ აიწეწა... ბაქოში მეუღლესთან ერთად ვიყავი, სწორედ აგვისტოს ბოლოს იმშობიარა, ბიჭი შეგვეძინა – იაკობი, მაგრამ მშობიარობას გართულება მოჰყვა და მალე მას გადაჰყვა კიდეც... ეს იყო ჩემთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი დარტყმა... ამან კიდევ უფრო გამაბოროტა... დაკრძალვის შემდეგ ისევ ბაქოში წავედი, ჩვილი ბავშვი კი სიდედრ–სიმამრმა რაჭაში წაიყვანეს გასაზრდელად. 1919 წლამდე 12 წლისა ისე გახდა, თვალითაც აღარ მინახავს – იმავე 1907 წელს ბაქოში დამიჭირეს, გადამასახლეს და მერე ციმბირს აღარ მომაშორეს 1917 წლამდე... როცა კომისარი გავხდი და პირველად ჩემს სიცოცხლეში ბინასაც ვეღირსე, ცოლისძმამ – ალიოშა სვანიძემ ჩამომიყვანა იაშა მოსკოვში.

– ეროდიონს კი გადასახლებამდეც შევხვდი და ისე მოხდა, რომ მერე გადასახლებაშიც ერთად მოვხვდით: ისევ თავის **„გველის წიწილების“** იარლიყს არ გვაშორებდა, ის კი არა, პარტიულ ჰიმნად მიჩნეული მისი მართლაც რომ შესანიშნავი ლექსის გამოყენებაც აგვიკრძალა... ბევრი ველაპარაკე – ორიოდე არაკაცისა და გარეწარის გამო, მთელ პარტიას ნუ ლანძღავ... აი, ნახავ, ყველას თავისი მიეზღვევა – მეთქი, მაგრამ ჯიუტი კაცი იყო და მაინც ეს მისი **„გველის წიწილები“** არ მოიშალა სიკვდილამდე... დღემდე არ ამოდის ჩემი გონებიდან ეს მისი შეძახილი... მართალი კი იყო, ვერ გაამტყუნებ...

– ჩვენ **„გველის წიწილები“** გვეძახა და თვითონ კი ანარქისტებს მიეკედლა და ჩერქეზიშვილის **„არასახელმწიფოებრივი სოციალიზმისა და სახელმწიფოს კვდომის“** თეორიის ფანატი გახდა. ჩვენთანაც, ევროპაშიც და მსოფლიოშიც ანარქისტები სახელმწიფოს საშინელი მოწინააღმდეგენი და მისი თანდათანობითი დეცენტრალიზაცია–დაშლისა და ბოლოს კი, **„თვითმართველური ასოციაციებით“** შეცვლის მომხრენი და მქადაგებელნი იყვნენ... მთელ 20–იან წლებში რუსეთში ანარქისტები ბატონობდნენ – ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ხელს გვიშლიდნენ, ლამის რუსეთი დააქუცმაცეს

კიდეც... მათ ანარქისტულ **„ჩასტუჩკებს“** ყველგან მღეროდნენ, ევროპულ თუ აზიურ რუსეთში...

– საოცარი კაცი იყო ირროდიონი, მეამბოხე სულის პატრონი... ხშირად ადრეც და ახლაც სიზმრებსა და ხილვებშიც არ მშორდება მისი სახე და ეს მისი შეძახილი – **„გველის წიწილები“**... მასთან ერთად ხილვად ილიაც ჩანს, მისებური დინჯი და ბრძნული გამოხედვით... მომჩერებია თითქოს კითხვის ნიშნით – ჰა, ვალს როდის გადაიხდით – ვალს ხომ გადახდა უნდა...

– ჰოდა, მეც ვფიქრობ, როგორ გადავიხადო ეს ვალი... ილიას ვალის გადახდა იოლი რამ არაა...

„პეტრეს ციხესთან“

ბ–ნი ვალერიანი სტალინთან კიდევ ერთ შეხვედრას იხსენებს: ლიკანში, მტკვრის მეორე მხარეს **„პეტრეს ციხესთან“** გასეირნება შემომთავაზა, საერთოდ, ფეხით სიარულის დიდი მოყვარული იყო და არაერთხელ შემოუთავაზებია გასეირნება ლიკანის გარემოში... ფეხით გადავიარეთ ახლადაშენებული ხიდი მტკვარზე, **„სტალინის ხიდს“** რომ ეძახის ხალხი... აქ კვლავ გაიხსენა ირროდიონ ევდოშვილი:

– ტურუხანსკში დავშორდით ერთმანეთს, ტუბერკულიოზით იყო დაავადებული და სხვაგან გადაიყვანეს... მეც მქონდა მაგის ნიშნები, მაგრამ ციმბირის მკაცრი კლიმატი ისეთია, ან ჩაგიკირავს ფილტვებს და მოგარჩენს, ანდა, პირიქით – დააჩქარებს პროცესს... სამწუხაროდ, მისმა ორგანიზმმა ვერ გაუძლო ამ გამოცდას და რევოლუციამდე გარდაიცვალა, მე კი გადავრჩი და როგორც ხედავ ახლა პეტრეს ციხის სანახავად მივდივარ – ჩაიცინა ირონიულად – სტალინს ხომ, იუმორის საოცარი გრძნობაც ჰქონდა...

– ეს ირროდიონის შეძახილი კი, მართლაც რომ გველის ნაკბენივით დამრჩა, თუმცა იმდენ ვაი–ვაგლახში და სახელისუფლო ბრძოლაში ხშირად მავიწყდებოდა: ხუმრობა საქმე ხომ არაა, ამდენ ებრაულ დაჯგუფებებთან ბრძოლა, განსაკუთრებით ჩემი და ქართველობის მოძულე ტროცკისთან – **„პერმანენტული რევოლუციის“** თეორიის ავტორთან. მას ლენინიც აშკარად უჭერდა მხარს. ორივეს ებრაული ფესვები ჰქონდა და შეიძლება ამიტომაც – ლენინის დედა გერმანელი ებრაელი იყო, მამა კი – ბაშკირი. ერთი სიტყვით, ტროცკი მისი კუმირი გახდა და თუ არა პოლონეთის 1920 წლის ავანტიურის მარცხი, პარტიის გენცეკა ის გახდებოდა – ორივემ უცბად მოიწადინეს ჯერ პოლონეთის და გერმანიის, მერე კი მთელი ევროპის **„გაწითლება“**, – პოლონელებმა კუდით ქვა გვასროლინეს, მოსკოვსაც კი დაემუქრნენ, ძლივს გადავრჩით... ისე, რომ ტროცკიმ თვითონ შემიწყო ხელი თავისი ავანტიურით...

ლენინი ამის შემდეგ აღარ ენდობოდა მას და მისი **„პერმანენტული რევოლუციის“** თეორიას...

– მერე **„ახალი ოპოზიციაც“** გამოჩნდა, ისევ ბოლშევიზმის ებრაული ფრთა – ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი... აქაც დიდი ბრძოლა გაჩაღდა პარტიაშიც და პოლიტბიუროშიც... სულ ჩასაფრებულნი იყვნენ, რამე ევნოთ **„კაცოსთვის“,** ამიტომაც ვიყავ კურდღელივით ფრთხილი... XVII ყრილობის შემდეგ ცოტათი ამოვისუნთქე და გერმანულმა ჟურნალის **„შპიგელის“** პამფლეტმა კვლავ გამახსენა, რომ ქართველი ვარ – **„რას უნდა ველოდოთ ევროპა კარგს ბარბაროსი ერის ბარბაროსი შვილისაგან!“** – ასე მითარგმნეს ამ სტატიის არსი მაშინ...

– მაშინვე გამახსენდა ჩვენი ისტორია, რუსთაველი, ილია, ჯავახიშვილი და ბერიას დავავალე საქართველოს კულტურის დიდი სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა მოსკოვში... კანდიდ ჩარკვიანიც მაშინ გავიცანი და დავინტერესდი კიდეც მისით – ჩემი პირველი მასწავლებელი გორში ხომ, კოტე ჩარკვიანი იყო, მან მასწავლა დარვინიზმისა და მარქსიზმის ან–ბანი...

– ასე გაჩნდა ილიაზე 1936 წლის 4 სექტემბრის **„პრავდის“** სტატია... ზოგიერთებისთვის ბომბის გასკდომას ჰგავდა იგი, არ ესიამოვნა ბევრს არც მოსკოვში და არც თბილისში... ამას შეეწირა მაშინ ორჯონიკიძე – არაფრით არ დავიცავი, როცა დამირეკა და შველა მთხოვა, მაშინ სწორედ ირადიონის **„გველის წიწილა“** გამახსენდა... კინაღამ ჩავძახე კიდეც ყურმილში, მაგრამ დროზე გავუთიშე... მაგრამ მთავარი ეს კი არ არის – ჩვენ ყველა წუთისოფლის სტუმრები ვართ, წასულ კაცს არც ქება–დიდება მატებს და არც ლანძღვა–გინება აკლებს რამეს... საქმე თვითონ მის შემდგომ თაობებშია – რას და როგორ გამოიყენებენ თავის წინაპართა დანატოვარს... მლიქვნელებს რა გამოლევს და როცა დამიწყებენ ხოლმე ქება–დიდებას აქაური, თუ იქაური ქართველები, იქვე ვაწყვეტინებ ამ ჩემი ურყევი ფორმულით: ქართველებს შორის მოქმედ კაცებში პირველი დავით აღმაშენებელია, მოაზროვნეებში კი – ილია...

– ბევრს ჰგონია თავისუფალი ვიყავი ჩემს არჩევანში – ვინ რას დამიშლიდა, რასაც მინდა იმას გავაკეთებდი... ნურას უკაცრავად, ასჯერ უნდა გამეზომა გავიტანდი ამა თუ იმ საკითხს, თუ არა. აი, ილიას რეაბილიტაციაზე რა ამბავი ატეხეს პოლიტბიუროშიც და „პრავდის“ რედაქციაშიც... ჩემზე ჩასაფრებულნი ჯერ კიდევ ბევრნი იყვნენ ტროცკისტებიდანაც და „ახალი ოპოზიციიდანაც“. ვგრძნობდი, რომ ორჯონიკიძეც აქეზებდათ მათ – „კონსულტანტად“ ის ჰყავდათ. იქით კიდევ შოვინისტები იყვნენ ჩასაფრებულნი – ნაციონალიზმის რეციდივები ელანდებოდათ ყველგან, ბეწვის ხიდზე გაატარეს მაშინაც და მერეც...

– როგორ შეიძლება მისი რეაბილიტაცია, ეს ხომ ჩვენი პარტიის შეურაცხყოფა და მისი პროგრამული მოთხოვნების უარყოფაა – ისმოდა აქეთ–იქიდან, ის ხომ ნაციონალისტი და ევროპული წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მეხოტბე და მქადაგებელია, რეაქციონერი მემამულე და მარქსიზმის დაუძინებელი მტერი... ბევრი მუშაობა და ახსნა–განმარტებები

დამჭირდა ყოველივე ამის გასაბათილებლად, ჩერნიშევსკიზე ლენინის გამოთქმებსაც ვიშველიებდი... მერე კი, „კაკო ყაჩაღი“ რომ ვათარგმნიე და ილიაზე სტატიას თან დავურთე, ამანაც გაჭრა – წაიკითხეთ, ილია რა ჩერნიშევსკიზე ნაკლებად ამათრახებს ბატონყმობას! ლენინი ხომ თავის მასწავლებლად აღიარებს მას... ქართველების ჩერნიშევსკი ილიაა – მეთქი...

– ერთი სიტყვით, ყველგან ბრძოლაა საჭირო, ჩვენი ისტორია ამაზე მეტს რას გვასწავლის... რომ არ ებრძოლათ ჩვენს წინაპრებს ამ „პეტრეს ციხესთან“, ათასობით სხვა მსგავს ციხეებთან, ახლა მე და შენ ქართულად არ უნდა ვლაპარაკობდეთ... ილიას ძალაც სწორედ ის არის, რომ ჩვენს ისტორიაში ეძებს მუდამ მოვლენათა ახსნას, მათ ანალიზსაც და მომავლის გზასაც... ისტორია მართლაც დიდი ძალაა – რუზველტი და ჩერჩილი რომ მელაპარაკებოდნენ თავიანთ ისტორიებზე მე სიამაყით შემეძლო მეთქვა, რომ საქართველოს ისტორია ერთ–ერთი უძველესი ისტორიაა...

– არავისზე ნაკლები ისტორია არა გვაქვს უძველესიც და აქეთ ქრისტიანულიც, მაგრამ მასაც შესწავლა და კვლევა უნდა... ჯავახიშვილის გარდა ვერავინ მოიცალა ამისთვის. არადა, ისტორიის გარეშე ხომ, ერს ძალა და პერსპექტივა არა აქვს. ხომ გახსოვს, როგორ გამოკვეთილად წერდა ხშირად ილია ამაზე. აქაც უნდა გავუგონოთ მას...

– აი, ეს პეტრეს ციხე ავიღოთ, ბორჯომის ხეობაში მტკვრის სანაპიროსთან... რამდენ რამეს გვეუბნება ჩვენს წინაპრებზე, შემთხვევით ხომ არ ააშენეს აქ – ჯერ ადგილი ნახე, რა კარგად არის შერჩეული, 10–15 მეციხოვნე ამას ადვილად დაიცავდა, სანამ მაშველი ძალები მოვიდოდნენ ქონგურზე ანთებული ცეცხლის ნიშანზე... გორის ციხეც, ისე როგორც სხვა მრავალი, ასე ქმნიდნენ ქვეყნის და მისი ცალკეული მხარეების დაცვის ერთიან სისტემას, მათ შორის მტკვრის ამ ხეობაშიც, ბარათაშვილსაც რომ აქვს ფილოსოფიურად გააზრებული, ხომ გახსოვს მისი „ფიქრნი მტკვრის პირას“, – „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი... ანდა, „ვინ იცის მტკვარო, რას დუდუნებ, ვისთვის რას იტყვი“? დიდი იყო ბარათაშვილიც, მაგრამ ილიასთან მაინც ვერავინ მოვა. დიდი ძალაა ილია, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცნობი და გამოუყენებელი. მარტო ჩვენ კი არა, სხვებსაც უნდა დავანახოთ მისი აზროვნების ეს დიდი გაქანება და მასშტაბები. მსოფლიოს რამდენ ლიდერებთან არ მქონია დღემდე შეხვედრა და ილიას მსგავსი დიდი მოაზროვნე კი იშვიათად მინახავს...

– ილიას ძალას პრაქტიკულად თუ არ გამოცდი, მას ვერასოდეს ვერ იგრძნობ და ვერც დააფასებ... მნიშვნელობა არა აქვს, რა რწმენისა და იდეოლოგიის კაცი ხარ – თუ ღმერთმა მოვლენათა წვდომის და სწორი ანალიზის უნარით დაგაჯილდოვა, გადაწყვეტილებებსაც შესაბამისს მიიღებ და გამარჯვებაც მუდამ შენს მხარეზე იქნება... მე ილია სამჯერ მაინც დამეხმარა ამაში – გამარჯვების მოპოვებაში ჩემი კარიერის დასაწყისშივე, და სწორედ მაშინ დავრწმუნდი მისი აზროვნების დიდ ძალაში:

– პირველი ეს მისი **„ავტონომიზაციის“** იდეაა – რუსეთში მცხოვრები ხალხების ავტონომიური უფლებების, მათი ფორმალური და ფაქტიური თანასწორობის პროგრამის განხორციელებაში, რითაც მე გარკვეული ავტორიტეტი მოვიპოვე **„ეროვნებათა სახალხო კომისრობიდან“** მოყოლებული... ერების ფორმალური და ფაქტიური თანასწორობის ჩემმა პროგრამამ საყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა მაშინ...

– მეორე, ილიას **„კომლისა და ხოდაბუნური კორპორაციების“** იდეაა, რომელიც **„ემტეესების“**, ანუ, **„მანქანა–ტრაქტორთა სადგურების“** სახით პრაქტიკულად განვახორციელე. მე **„ივერიის“** მუდმივი მკითხველი ვიყავი და იქ ილია ხშირად წერდა წერილებს, სტატიებს და უბრალოდ მოწოდებებს მიწის შორეულ **„საყანე მიწებზე“** სასოფლო–სამეურნეო კოროპორაციების შექმნის და მათი მორწყვის თაობაზე. ილია მოკლედ მათ **„ამხანაგობებს“** უწოდებდა და გაზეთის თითქმის ყოველ მეორე ნომერში იყო მათი შექმნისაკენ მოწოდება...

– მე კანდიდსაც ველაპარაკე ილიას ამ იდეაზე, საქართველოს მომავალი განვითარების პერსპექტივებზე როცა დავაყენე საკითხი. ბევრი რამ ლიკანში გადაწყდა კიდეც, მათ შორის თბილისის ზღვისა და მეტროს მშენებლობის საკითხი – მას აუცილებლად დავამტკიცებთ, როცა მოსკოვში ჩავალ, მაგრამ მათზე მთავარი მაინც ისაა, რომ ქართლში და კახეთში, მათ შორეულ მიწის მასივებზე შეიქმნას მორწყვის ერთიანი სისტემა. ეს განსაკუთრებით კახეთს ჭირდება. შირაქი არ შეიძლება ღვთის ანაბარად იყოს მიგდებული ამ მხრივ – ცას შეჰყურებდე მუდმივად, მოვა წვიმა თუ არა – ეს საშინელებაა... ამიტომ მივეცი დავალებად სამგორის სარწყავი სისტემის და ზემო ალაზნის ახალი არხის საშუალებით, იორი, მტკვარი და ალაზნის რესურსებით შირაქის მორწყვის პრობლემის გადაჭრა. ეს მომავალში საქართველოს კი არა, მთელ სამხრეთ კავკასიას უზრუნველყოფს პურით. აკი, ილიაც ამბობდა ხშირად – ჩვენ პურისა და ღვინის ქვეყანა ვართ ისტორიულად...

– მესამე, რაც მე ილიასგან ვისწავლე და გამოვიყენე პრაქტიკულად, ეს მისი პოლიტიკური ანალიზია მაშინდელი საერთაშორისო ურთიერთობებისა I მსოფლიო ომის წინ. ეს ურთიერთობები კი ლოგიკურად გაგრძელდა ამ ომის შემდეგაც იმავე არსით და კანონზომიერებებით... ჩემს დროსაც გერმანია კვლავ ომის წყარო გახდა და დასავლეთიც ცდას არ აკლებდა, რომ პირველი დარტყმა მას აღმოსავლეთით მიემართა... წავიკითხოთ ილიას ეს სტატიებიც, ივერიის მუდმივმოქმედი რუბრიკა – **„საპოლიტიკო მიმოხილვა“**, იქ ზუსტად იგივე ანალიზია II მსოფლიო ომის წინა პერიოდისთვისაც... ჩემი სტრატეგიაც მთელ 30–იან წლებში სწორედ ის გახდა, რომ ეს აღმეკვეთა და პირიქით, რევანშით ანთებული გერმანიის პირველი დარტყმა დასავლეთით მიმემართა, ამან დიდი როლი ითამაშა მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში...

– ერთი ეგაა, რომ ილიას კარგად წაკითხვა, სერიოზული შესწავლა და ანალიზი უნდა და არა უბრალო თვალის გადავლება... ამ კარგმა წაკითხვამ

მიმიყვანა სწორ გადაწყვეტილებებამდე და ამან გამამარჯვებინა კიდეც ამ სისხლისმღვრელ ომში... ესაა ილიას აზრის ძალა და სიღრმე, ის მართლაც მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა, ეგაა მასშტაბები შეხვდა მცირე...

„განძი და ანდერძი“

– კარგად წაკითხვა რომ ვთქვი, ეს მარტო ილიას პუბლიცისტიკას არ ეხება. აი, ავიღოთ **„ოთარაანთ ქვრივი“** – ქართული ნოველის შედევრი, მისი უკანასკნელი მხატვრული ნაწარმოები. იქ ხომ თვითეული მისი თავი ცალკე ნოველაა, თვალს ვერ მოწყვეტავს კაცი იმათ ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ წიაღსვლებს, ძარღვიანი ილიასეული ქართულით დაწერილს... ამ ნოველაში რომაა, – ასეთ ქართულს ეხლა სადღა შეხვდები... ვინ იცის რამდენჯერ მაქვს გადაკითხული...

– მე ასაკში შესული კაცი ვარ და ხშირად ხდება, რომ გონება გადამეკეტება, ძველებურად ვეღარ ვაზროვნებ და იცი რას ვაკეთებ? – ყველა საქმეს და საწერს თავს ვანებებ, კარადიდან გადმოვიღებ ილიას ტომს, უფრო ხშირად კი, **„ოთარაანთ ქვრივს“**, გადავშლი და ვკითხულობ ბოლომდე თუ არა, მის პირველ თავებს მაინც... და იქ ერთი საოცარი ფრაზაა, რომელსაც ადრე მეც არ ვაქცევდი ყურადღებას:

– მომაკვდავი ქმარი ოთარაანთ ქვრივს რომ ემშვიდობება, ამ სიტყვებს ეუბნება – **„რა გატირებს ადამიანო! ... სააქაოს სტუმარი ვიყავი და ახლა შინ მივდივარ...“.** მთავარი კი ამ თავისაც და შემდეგი ორი თავისაც ის არის, რომ იმქვეყნად წასულ ყველა კაცს, თუ ის მართლა კაცია და არა ლუარსაბის მსგავსი კაცუნა და არარაობა, ქვეყნად რაღაც თავის განძს და ანდერძს ტოვებს. იმ კაცის ხსოვნაც ის არის, რომ გაუფრთხილდეთ ამ განძს და ანდერძს, როგორც ეს ოთარაანთ ქვრივმა გააკეთა...

– ავტორი კი გეუბნება ამ და სხვა ამნაირ არაერთ სიბრძნეს აქაც და ყველგან სხვაგანაც, მაგრამ რა ქნას მან, თუ შენ თვითონ არ ჩაწვდი და არ გაითავისე ეს მისი სიბრძნე... ამიტომ უნდა ხოლმე კარგ მთქმელს კარგი გამგონე... ყოველთვის ვცდილობდი ადრეც და ახლაც ამ სიბერის ჟამს ბოლომდე ჩავწვდე ილიას და ამისკენ მინდა მოვუწოდო ყველას. ამიტომაც გისაყვედურეთ – ვალში ხართ– მეთქი ილიასთან... ჩვენ ყველა ვართ ვალში ჩემი ჩათვლით – საქმე იუბილეების გადახდა კი არაა, არამედ ამ მისი განძისა და ანდერძის საქმედ ქცევა. ამის გარეშე ახალ საქართველოს ვერ შექმნით... ამის დრო კი მალე დაგიდგებათ, საქმე სწორედ აქეთკენ მიდის...

– ილიას კითხვას და გათავისება – გააზრებას სწორედ ეს განახლების დიდი ძალა ახლავს... პირადად მე როცა კითხვას დავამთავრებ **„ოთარაანთ ქვრივი“** იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა რამე, ჩემი გონება ისევ ძველებურად ამუშავდება ხოლმე... ილიას ეს ძალა მე არაერთხელ გამომიცდია წარსულშიც და ახლაც.

საერთოდ, ჩემი ცხოვრების წესი ისე აეწყო, რომ ძილით მაინცდამაინც ბევრი არ მძინავს... ომის დროს 2–3 მაქსიმუმი 4 საათი ძილი მყოფნიდა, ამიტომ გენშტაბის თათბირებს უფრო ღამით ვატარებდი, მაშინ ვგეგმავდით მეორე დღის ახალ საბრძოლო ოპერაციებს... ახლა ძილისთვის უფრო ნაკლები დრო მინდა და უპირატესად ღამე ვადგენ ყველაზე საპასუხისმგებლო დოკუმენტებს განსახილველად...

– იმდენ სისულელეებს ჩაიდენენ, ვერ დაითვლით...

ბატონი ვალერიანი, როცა უკვე აღარ ეშინოდა **„კაგებეში“** დაწერილი გაფრთხილება – ხელწერილისა საიდუმლოდ შეენახა ლიკანში სტალინთან მისი საუბრები, ასეთ მართლაც საოცარ ფაქტებს გადმოსცემს:

– სტალინის ხასიათიც თავისებურად აუხსნელი ბუნებისა იყო – მისი გაგების გარეშე მასთან ურთიერთობა რთული რამ გახლდათ. ეს ყველაზე კარგად იცოდა პოსკრებიშევმა – მისმა ყველაზე ნდობით აღჭურვილმა პირმა, წამით რომ არ შორდებოდა მას. პოსკრებიშევის თვით პოლიტბიუროს წევრებსაც ეშინოდათ – მისგან იცოდა სტალინმა ყველა მათგანის **„ბნელი საქმეები“**, როგორ აწყობდნენ ისინი თავიანთი ოჯახების და ახლობლების კეთილდღეობას...

– ლიკანში ბევრჯერ შევნიშნე პოსკრებიშევის თითქოსდა, მოულოდნელი გამოჩენა. მერე და მერე დავასკვენი, რომ ეს თვითოეული გამოჩენა რაღაც გადაუდებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემას ნიშნავდა... ბევრჯელ **„უმაღლესი მთავარსარდლის“** (ასე უწოდებდა სტალინი შინაურულად პოსკრებიშევს), რაიმე ინფორმაციას არც მალავდა – ისინი შეეხებოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს. მახსოვს საელჩოებიდან მოსული ინფორმაციების გაცნობისას, როგორ აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მსოფლიოს ეს პირველი კომუნისტი, კომუნისტური იდეოლოგიის გააქტიურობაზე ჩინეთიდან ამერიკამდე – ხალხისთვის სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლა და მისწრაფება მუდმივი იდეალი იყო და იქნება მუდამ – ასეთი იყო მისი დასკვნა...

– მახსენდება პოსკრებიშევის მორიგი ინფორმაციის შემდეგ შემოსული სტალინის ეს საოცარი რეაქცია: მე აქ ვემზადები ყრილობისთვის და ისინი იქ – როგორც ჩანს რაღაც შეთქმულების მაგვარი აქვთ ჩაფიქრებული... მე თვითონ ვაპირებ დავაყენო ჩამომაცილონ რამდენიმე ფუნქცია – დრო და ენერგია აღარ მყოფნის ყველაფერი მე ვაკეთო... დასვენება მინდა ამ სიბერეში, იაშას შვილების აღზრდასაც მინდა მივხედო, ყველაზე დიდი წუხილი და დარდი იაშა რჩება ჩემთვის...

– მაგრამ ასეც არ უნდათ: იციან უჩემოდ ვერ წაუვათ საქმე კარგად – მოახრჩობენ უმალ დალესი, მარშალი და დასავლეთის კაპიტალისტები ამ

უტვინოებს... დაიმახსოვრე – ჩემს შემდეგ იმდენ სისულელეებს ჩაიდენენ, ვერ დაითვლით... ის, რაც ავსტრია – უნგრეთს და ინგლისს დაემართათ, იმაზე უარესი დაემართება რუსეთს. ახალი იდეების, ძველის რეფორმირების, ახლის შექმნის თავი ამათ არა აქვთ და ისე დაემხობათ თავზე ქვეყანა, ვერც გაიგებენ ალბათ. მარტო ჩინეთი ეყოფათ ჭირად – გამოღვიძებულია უკვე და მაგას ვეღარავინ შეაჩერებს... ისე გამოღრღნიან – გამოფიტავენ, ვერც კი გაიგებენ ...

„გველის წიწილებიდან“ „კატის კნუტებამდე“...

– იროდიონ ევდოშვილს ხშირად იხსენებდა, მის ოჯახსაც, რომელთანაც მის პირველ სიყვარულს – ეკატერინე სვანიძეს დიდი მეგობრობა და მისვლა–მოსვლა ჰქონდა სანამ სტალინი მას ბაქოში წაიყვანდა. ის კი არა, ისიც გაიხსენა როგორ ეხმარებოდათ იროდიონის ძმაც ირანიდან იარაღის შემოტანაში 1905 წლის რევოლუციის დროს – უდროოდ დაიღუპა იროდიონი, სინანულით იტყოდა ხოლმე...

ბ–ნ ვალერიანის ამ მოგონებამ მეც თავისებური ასოციაციები აღმიძრა ამ განვლილი ისტორიული მოვლენებიდან: იროდიონ ევდოშვილი, საკმაოდ თვითმყოფადი პოეტი 1916 წელს გარდაიცვალა. ის სტალინზე 6 წლით უფროსი იყო. ვარლამ ჩერქეზიშვილი 1925 წელს გარდაიცვალა ლონდონში – ის უფრო ილიას თაობა იყო – 1846 წელს დაბადებული. მიხეილ (მიხაკო) წერეთელი „Baton“–ის ფსევდონომით ცნობილი ჩვენთანაც და ევროპაშიც), სტალინის თაობა იყო – (1878–1965) გერმანიის და ბელგიის უნივერსიტეტებში ცნობილი პროფესორი, იმდენად ავტორიტეტული, რომ სტალინმა მისი შემორიგება და საქართველოში დაბრუნებაც განიზრახა (მაგრამ არ დასცალდა)... და აი, ყველა მათგანის გზები რაღაცნაირად გადაიკვეთა XX საუკუნეში:

იროდიონის „გველის წიწილებზე“ არანაკლები ეპითეტები უძღვნა ილიას მკვლელებს მიხაკო წერეთელმა ილიას დაკრძალვისას. ვარლამ ჩერქეზიშვილი მაშინ საქართველოში არ იყო, მაგრამ სხვა ფედერალისტებთან ერთად ანაფემას აცვა მესამე დასი მაშინაც, მანამდეც და მერეც, მისი პაროდია – **„მარქსიზმის დოქტრინები“**, ჯერ კიდევ 1905 წელს პარიზში გამოცემული, დასტურია ამისა. ევროპა განაცვიფრა ამ წიგნის არგუმენტაციებმა, დამაჯერებლობამ და ძალამ...

დიახ, ქართული აზრი მთელი XIX – XX საუკუნე ეძებდა **„თავის გზას“** კაცობრიულ ღირებულებებთან ერთად და მის პარალელურად. კარგად თქვა ამაზე სოლომონ დოდაშვილმა – **„ქართველთ არ სძინავთ გონებით!“** – მისი „ლოგიკაც“ ხომ ამის მაგალითია, ისე როგორც მიხაკო წერეთელის – **„ერი და კაცობრიობა“ – „საქართველოს სოციალ–ფედერალისტთა პარტიის“** პროგრამული საფუძველი, ჩვენგან უმართებულოდ დავიწყებული: ერის გარეშე კაცობრიობა უაზრობაა – ისტორიაც, ხელოვნებაც, მეცნიერებაც ერიდან იწყება

თავდაპირველად... დიდი პატრიოტი და დიდი მეცნიერი – ქართული და ევროპული სოციოლოგიის, ასიროლოგიის და ურარტოლოგიის ფუძემდებელი...

მაგრამ **„გველის წიწილებმა“** მარტო ილია არ დაგესლეს – ქართული ინტელექტის მთელი ნაღები მას გააყოლეს. კარგად წერს ამაზე მიხაკო წერეთელი 1957 წელს ილიას მკვლელობის 50 წელთან დაკავშირებით. ერი გამოიფიტა, გაღატაკდა, კუჭის ძღომამდე დავიდა, ზოგად–კაცობრიული ღირებულებებიდან აღარაფერი შერჩა...

არც **„კატის კნუტებს“** ეწერათ დიდი დრო – ჯერ ხომ ერთმანეთს დაერივნენ, პირველ რიგში ერთადერთ დარჩენილ „კაცოს“ – ბერიას, მერე ხრუშჩოვმა და სუსლოვმა **„სტალინის პიროვნების კულტის“** უნიჭო კრიტიკასთან ერთად, ისეთი ქართველოფობიური ლაშქრობა მოაწყეს, რომელიც დღესაც გრძელდება საქართველოს წინააღმდეგ სამაჩაბლო–აფხაზეთში... იმპერიის ყველა ცოდვა სტალინს დაბრალდა და რაკი ქართველი იყო, მთელ ერზეც გავრცელდა, თითქოსდა რუსეთის იმპერია მანამდე უცოდველი კრავი იყო, ანდა, უცოდველი კრავია დღესაც. სად იყო სტალინი, როცა ლამის ყველა ეკლესია – მონასტერზე ასეთი ღვთის სათხოვარი სიტყვები დაიწერა კახეთის 1812 წლის აჯანყების დროს – **„ღმერთო გვიხსენ რუსისა და შავი ჭირისაგან!“** (ჯერ „რუსი“ ეწერა და მერე „შავი ჭირი“)...

იმპერია იმიტომაა იმპერია, რომ შავ ჭირზე უფრო დიდ ტრაგედიებს უმზადებს ხალხებს. სხვანაირი იმპერიები არ არსებობენ. რომის ათასწლოვან იმპერიაზე დიდი იმპერია არ ახსოვს კაცთა მოდგმას, მაგრამ ისიც ბოლოს დაეცა – თანამედროვე ევროპაც ამან წარმოშვა. დაცემის ამ სიმპტომების დანახვა უნდა და ყველაფრიდან ჩანს, რომ ლიკანში ეს სიმპტომები სტალინისთვისაც – იმპერიის უკანასკნელი დიდი მბრძანებლისთვის აშკარა გახდა...

მარტოსული

არ დამავიწყდება სტალინთან და ილიასთან დაკავშირებული ერთი დაკვირვება არა მარტო ბ–ნი ვალერიანისგან, არამედ შალვა ნუცუბიძისაგანაც: ორივე მარტოსულნი იყვნენ და მარტოსულად წავიდნენ კიდეც ამ წუთისოფლიდან – ასეთია ამ დაკვირვების დასკვნა. ბ–ნი შალვა იხსენებს:

– როდესაც ილიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მის ურთიერთობაზე ვარლამ ჩერქეზიშვილთან და არჩილ ჯორჯაძესთან – ფედერალისტების ლიდერებთან, კარგად მახსოვს მისი შეფასება – ნუ ატმასნებთ ილიას პარტიებთან, ილია მარტოდ დგას ყველა პარტიაზე და იდეოლოგიაზე მაღლა, ის მარტოსული კაცია... მარტოსულობაც მაინცდამაინც ინტელექტზეც არაა დამოკიდებული, ის უფრო ფსიქიკური მოვლენაა და კაცის ხასიათია – შეიძლება წერა–კითხვის უცოდინარმა გლეხმა მარტოსულად გალიოს თავისი ცხოვრება... უმადურობაც იწვევს ხშირად პიროვნების ამ მარტოსულობას – გარშემო რომ არავინ გყავს შენი

გრძნობის გამზიარებელი, გაიხსენე – **„ამდენ ხალხში კაცი ვერ ვნახე, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო“...** მეც წინათგრძნობა მაქვს, უმადურობით და ლანძღვა–გინებით გადამიხდიან ყველაფერს... ჩემს სახელს თუ ვინმე შეინახავს, ქართველი ხალხია, რომელსაც სამწუხაროდ ბევრი ვერაფერი გავუკეთე...

ბ–ნი ვალერიანიც იხსენებს მსგავს მომენტს **„პეტრეს ციხესთან“** საუბრისას:

– აი, ხომ ხედავ ამ დაცვის გენერალს, ქოშინით რომ მოგვდევს მთელი გზა – დამთავრებული ლოთია, შვილიც ამან გამილოთა. ერთი სული აქვს უკან როდის მივბრუნდებით, რომ თავისი დოზა გადაჰკრას... პოლიტბიუროს წევრებიც ამაზე უკეთესები კი არ არიან... ესენი დაშლიან საბჭოთა კავშირს, ყველა ცოდვას კი მე ამკიდებენ რაც კი ეს 30 წელი მომხდარა. მარტოსული ვარ – არ მაპატიებენ ქართველობას... აი, ნახავ, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და ყველაფერს ამას შენი თვალით დაინახავ...

მერე, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა ბ–ნი ვალერიანი გაკვირვებით მეუბნებოდა – ასე აგიხდეს ყველაფერი კარგი, რაც მისი სიტყვები ახდა: ბერიაც რომ მოიშორეს თავიდან, მთელი ის წლები შიშში ვცხოვრობდით, აი, სადაცაა გაგვასახლებენ ყველას... სუსლოვი იყო ყველაზე დიდი ანტიქართველი, მაშინ გავრცელდა ეს მისი გამონათქვამიც – **„ჩტობ კაცო ბოლშე ნე ბილო ზდეს!“**... მან გაუკეთა ორგანიზება და წააქეზა სეპარატიზმი აფხაზეთსა და ოსეთშიც, ეს როკის გვირაბიც ამიტომ გააკეთეს, მაგრამ ხმის ამომღები ვინ იყო მაშინ...

– აი, ნახავთ, ბოლოს ისევ ჯუღაშვილი გავხდები...

ბ–ნი ვალერიანი იხსენებს:

– საყოველთაოდაა ცნობილი სტალინის იუმორის გრძნობა, ანეგდოტების მოსმენაც და მოყოლაც ძალიან უყვარდა, მაგრამ ის, რაც ლიკანიდან ჩამრჩა ჩემს მეხსიერებაში, ეს წარსულში მომხდარი მოვლენების გასარჟება კი არ იყო, ვთქვათ, როგორ გამოაპარა რუსმა მემარხილემ ის და კიდევ 6 გადასახლებული სამ „პოლ ლიტრად“ ციმბირიდან, არამედ მომავლის მისეული გასარჟებაა. ერთ–ერთი სეირნობის დროს ლიკანის პარკში მან ისევ თავისი „კლიჩკების“ ისტორია გაიხსენა:

– „სოსელო“ გორიდან გადმომყვა, მეამაყებოდა კიდეც რომ ილიაც და მთელი რედაქციაც ასე მომმართავდა... ცოტა რომ „გავთბილისელდი“, თანაც ასაკიც მომემატა, მალე „კობა“ გავხდი... რომ იცოდე, ირადიონმა დამიკანონა ეს სახელი, თუმცა მესამედასელებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ ყაზბეგის გმირის ეს ზეწოდება (რუსებთან მებრძოლი ნაციონალისტიაო), მაგრამ კარგა ხანს ვატარე იგი თვით რევოლუციის შემდეგაც კი... „სტალინი“ კი გენცეკობიდან დამკვიდრდა, როცა დედაქალაქი პეტერბურგიდან მოსკოვში გადმოვიდა, თუმცა ბევრი შოვინისტი ფარულად „კავკასიელ კაცოს“, ანდა, მოკლედ – „კაცოს“

მეძახდა. მეც ვიტანდი ამას, რადგან შოვინიზმთან ბრძოლა ადვილი არაა, თან გადაყვები კაცი, მისი მძლეველი არავინაა...

– რუსეთის ერთი დიდი უბედურებაც ესაა – სისხლში და გენეტიკაში ზის ეს. მე ხომ არა, კიდევ კარგი, თვითონ ლენინმა შეარქვა ასე – **„დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმი“** – როცა დამჭირდებოდა, ამ ფორმულას ხშირად ვიშველიებდი ლენინის სახელით... მისი ისტორიული და ფსიქო–გენეტიკური ფესვები კი XIII საუკუნიდან მოდის, მონღოლური „ოქროს ურდოს“ ძლევამოსილი ბატონობიდან მთელ აღმოსავლეთ ევროპაზეც რომ გრძელდებოდა და მემკვიდრეობად გადმოჰყვა შემდგომი საუკუნეების რუსეთს...

– მაგრამ შენ რომ იცოდე „სტალინზე“ მეტად მომწონს ბოლო რუზველტისეული „კლიჩკა“, – იუმორზე გადავიდა სტალინი, რაც ასე ხშირად იყო მისთვის დამახასიათებელი. – არ ვიცი, იცინის სტალინი. ეს „ჯო“ თქვენგან, კახელებისგან აიღო თუ არა, მაგრამ ეტყობა თავის ელჩს მოსკოვში – ჰარიმანს დაავალა, ხომ არ სწყინს სტალინს გაზეთებმა რომ აიტაცეს... აუხსენი – ეს „ჯო“– იოსებს, „ჯოზეფს“ ნიშნავსო... მე იქვე შევაწყვეტინე და უთხარი: პირიქით, მსიამოვნებს – ჩემი წინაპრები საიდანაც არიან წარმოშობით, იქ „ჯო“ მოფერება და საყოველთაოდ გავრცელებული მიმართვაა – მეთქი...

– ისე დაიმახსოვრე: ჩემს შემდეგ ბოლოს ისევ ჯუღაშვილი გავხდები...

და აი, ერთხელ ბ–ნი ვალერიანი გაზეთით ხელში გამორბის ჩემსკენ – მოდი ნახე, რას სწერს „პრავდა“ – სტალინის მაგივრად „ჯუგაშვილიო“ – წინასწარმეტყველი ყოფილა ეს კაცი... მას შემდეგ აგროვებდა რუსულ ლიტერატურას სადაც სტალინი „ჯუგაშვილად“ იყო მოხსენიებული...

მეხის გავარდნას ჰგავდა...

ბ–ნი ვალერიანი იხსენებს:

– სტალინი ლიკანში მე ყოველთვის კარგი გუნება–განწყობით მახსოვს, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა საქმე შეეხებოდა იმის გარკვევას, სიმართლე იყო თუ არა ბარამიას, მირცხულავას და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა მექრთამეობა. აქ მე შევესწარი სტალინს, მგელაძესა და ჩარკვიანს შორის ამ საკითხის გარჩევას. რაც შეეხება საკითხის წინა ისტორიას, მის შესახებ აკაკი მგელაძემ მერე ჩამაყენა საქმის კურსში, როცა მან 1952 წლის მარტში ჩარკვიანი შეცვალა...

– მე უბრალო შემთხვევითობის გამო გავხდი იმის მოწმე, თუ როგორ ტრაგიკულად დამთავრდა კანდიდ ჩარკვიანის პარტიული კარიერა: სტალინი გააცოფა მისმა დაჟინებულმა ცდებმა დაეცვა ბარამია მექრთამეობის ბრალდებისაგან, რასაც მას უყენებდა აკაკი მგელაძე სხვადასხვა უტყუარი ფაქტებით. სტალინის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა:

– როგორ, სხვანაირად როგორ და რით აიშენეს სრა–სასახლეები აქაც და მოსკოვშიც?! მე თვითონ ისე მივდივარ ამ წუთისოფლიდან, შვილებს და შვილიშვილებს ბინას ვერ ვუტოვებ, მათ კი ორიოდე წელიწადში მილიონობით ქონება დააგროვეს?!... განა ფაქტები თავისთავად არ მეტყველებენ ყველაფერზე!?...

– **„კოლექტივი მოპარვისაო“** – ამიტომ წარმოიშვა ეს სიბრძნეც – იპარავს ყველა ცეკადან დაწყებული კოლმეურნეობის ბრიგადირით და უბრალო წევრით დამთავრებული... ქურდობა ცხოვრების წესად იქცა ყველგან კამჩატკიდან ბალტიკამდე... ამასწინათ პოსკრებიშევი მეუბნება ამურისპირეთში ჩინელ არენდატორებში გავრცელებულ მოარულ ფრაზას: **„Как хорошо жить в Советском Союзе – воруй сколько хочиш!“...**

– მეხის გავარდნასავით იყო სტალინის ეს მონოლოგი. ამ მონოლოგს შეეწირა ლამის მთელი პარტიული ელიტა საქართველოში მაშინ. კანდიდ ჩარკვიანი ყველაფერს ამას აბრალებდა აკაკი მგელაძეს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება – საქართველოც და მთელი ქვეყანაც კორუფციის ზღვაში იძირებოდა ნელ–ნელა...

სხვანაირი სტალინი ...

ბატონი ვალერიანი იხსენებს: როცა სტალინი **„სულ სხვანაირი“** იყო, მაშინ მასთან ურთიერთობაც უბრალო და სასიამოვნო რამ გახლდათ. ეს იმ დროს, როცა საუბრები **„მძიმე თემებიდან“** ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო თემებზე გადავიდოდა. აქ იგი შეუდარებელი მოსაუბრე და პარტნიორი იყო. ეს უმთავრესად სუფრაზე, ან, სეირნობის დროს ხდებოდა. აი, რამდენიმე ფაქტი, პირველ რიგში ქართული სიმღერების ირგვლივ, რომელიც მისი საყვარელი თემა იყო და არაერთი კოლექციაც ჰქონდა მათი...

– მე ყველა საელჩოს დავავალე გამოეგზავნათ თავ–თავიანთი ქვეყნების ხალხური სიმღერები – ვერცერთი მათგანი ჩვენ მრავალხმიან სიმღერებთან ვერ მოვა. ეს კვეხნა არაა, ეს ფაქტია... საოცრება ისიც არის, რომ ამ პატარა მიწა–წყალზე სხვადასხვა კუთხეს სულ სხვადასხვა ხასიათის სიმღერები შეუქმნია – გურული სიმღერები სხვაა და რაჭული სულ სხვაა, თვით ქართლში და კახეთშიც განსხვავებული სიმღერებია.

– აბა, კახელო, მითხარი, რატომაა კახური სიმღერები უფრო ომახიანი და ფილოსოფიური?... მე აგიხსნი ამას – იმიტომ, რომ მტრის პირველ დარტყმას კახეთი იღებდა და ოპტიმიზმიც ამიტომ ჟღერს ამ სიმღერებში, გინდა **„მრავალჟამიერი“** აიღე და გინდა **„გაფრინდი შავო მერცხალო“**... საერთოდ, მარტო ფორმით კი არ არის უნიკალური ქართული სიმღერები, არამედ შინაარსითაც – იქ ყველგან დიდი ფილოსოფია. აი, იგივე **„მრავალჟამიერი“** – რა დიდი სიბრძნე ჩააქსოვა მასში ხალხმა:

„წუთისოფელი ეგრეა, დღეს ღამე უთენებია,

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“...

ეს ხომ, იგივეა, რაც რუსთაველმა თქვა – **„ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია!“** – ორივე დიდი სიბრძნეა, მთელი დიალექტიკაა ცხოვრების, არაფრით ნაკლები ჰეგელის დიალექტიკაზე... რამდენია ასეთი მარგალიტი ჩვენს ფოლკლორშიც და რუსთაველის პოემაშიც! შალვა ნუცუბიძეს ვეუბნები – მიეცი დავალება ახალგაზრდებს იკვლიონ ეს თემები, უკეთესს რას გააკეთებენ...

– მაგრამ თუ ფილოსოფიაზე მიდგა საქმე, მე უფრო მიზიდავს ის, თუ როგორ უბრალოდ, მაგრამ გენიოსურად არის ნათქვამი ეს სიტყვები რუსთაველთანაც და ფოლკლორშიც: **„ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“** და ამისთანები კიდევ ბევრი, განსაკუთრებით პოემის დასასრულს: **„... ნახეთ სიმუხთლე ჟამისა, ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა!“**, ანდა, ამისი მსგავსი – **„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი, წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი!“**... ფოლკლორშიც ბევრგან არის ჩივილი ამ **„სოფლის ამ სიმუხთლესა და ზნეზე“** – ხშირად მიფიქრია პოემისა და ფოლკლორის ამ საოცარ პარალელებზე... აი, ვთქვათ, ამ საოცარ კითხვაზე – **„ნეტავი გამაგებინა მამა–პაპანი რა ქნილან?...**

– სანამ აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობაზე გადავიდოდი, ეს განყენებული ფილოსოფიური თავსატეხები ძალიან მიზიდავდა. ესეც კოტე ჩარკვიანისა და დარვინიზმის დამსახურება იყო... მაშ, ასე, ჩვენ, ადამიანები გავჩნდით მრავალი მილიონი წლების ევოლუციური პროცესების შედეგად მარტივი ერთუჯრედოვანი ორგანიზმიდან ადამიანამდე. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რაკი დროს და სივრცეს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, ამ უკიდეგანო სამყაროში რაღა მაინცდამაინც ადამიანზე გაჩერდა ევოლუციის ეს პროცესი?...

– ეს კითხვა, რომ კოტე ჩარკვიანს დავუსვი, გაკვირვებით შემომხედა – ეტყობა არ ელოდა და არც თვითონ ჰქონდა ნაფიქრი ამაზე... მე კი ჯიუტად ვაგრძელებდი:

– აი, ეს ჭიანჭველები რომ დარბიან ირგვლივ, ისინიც ხომ, ამ ევოლუციის შედეგია... ჩვენ მათზე წინ ვართ, **„ჰომოსაპიენსი“– „მოაზროვნე ცხოველები“** ვართ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ჩვენც ვიღაც–ვიღაცეებისთვის, ვინც ამ ჩვენი ევოლუციის პროცესით გაცილებით უფრო მაღალი ცნობიერების საფეხურზე დგანან სადღაც X პლანეტაზე, ამ ჭიანჭველების მსგავსი არსებანი ვართ?...

– იცი რა, – ძალიან მარტივად მიპასუხა, რომელიც დღემდე თითქმის სიტყვა–სიტყვით მახსოვს: სოსო, მაგაზე ბევრი ფიქრი სიკეთეს არ მოგიტანს – ეგ ადამიანის გონების ძალას აღემატება, სხვა გონება კი, ჩვენ არა გვაქვს... ჯობია დაივიწყო ეგ ყველაფერი და ჩვენს მიწიერ საქმეებზე იფიქრო...

– მაინც არ მასვენებს ხოლმე ახალგაზრდობის ეს გატაცება და აკვიატება... ამასწინათ აბასთუმანზე ჩამოვარდა ლაპარაკი და **„ვოლკოვს“** დავავალე (სტალინი ხშირად მგელაძეს **„ვოლკოვს“** უწოდებდა იუმორით), წარმოადგინოს მოსკოვში მისი რეკონსტრუქციის პროექტი ზემძლავრი ტელესკოპით – იქნებდა, არადედამიწისეული სიცოცხლე და კანონები აღმოაჩინონ ოდესმე მაგით. როგორც ბევრი მეუბნება, ქართველი მეცნიერები არავისზე ნაკლებნი არ არიან მსოფლიოში... მართალიც არის – ინტელექტი ქართველს არ აკლია, მაგრამ წესრიგისა და ორგანიზებულობისა კი რა მოგახსენო...

რამდენად გაყიდა ქართული ღვინო სტალინმა...

ბ–ნი ვალერიანი და მასთან ერთად მგელაძე, ჩარკვიანი, ვასაძე, ნუცუბიძე ყველა ერთხმად იხსენებს სტალინის ერთ ყველაზე დადებით თვისებას, რომლითაც მასთან საუბარი და ურთიერთობა ნამდვილი სიამოვნება და თავისებური ინტელექტუალური დროსტარება ხდებოდა – ეს იყო ის, რასაც იგი თვითონ **„პურის ჭამას“** ეძახდა – ქართული სუფრა, ქართული თამადობა, რასაც ოდითგან არცთუ უსაფუძვლოდ, **„აკადემიას“** უწოდებენ...

და აი, ჩამოთვლილი ავტორებიდან თითქმის ყველას მოხსენიებული აქვს არაერთი მაგალითი, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი სტალინთან სტუმრობის დროს. ერთ–ერთი დამახასიათებელი მაგალითი ლიკანშიც მოხდა:

– ქართული ღვინო, თუკი მას კარგად მოვუვლით და ვუპატრონებთ, არცერთ ღვინოს არ ჩამოუვარდება არც გემოთი და არომატით და არც სარგებლიანობით. როგორც გინდა გაგიკვირდეთ, ეს მამაჩემისგან კი არ მახსოვს, რომელიც ღვინის გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებდა, არამედ ილიასგან: ილია დიდი მსმელი არ იყო, მაგრამ სუფრა და სიმღერები კი უყვარდა. ეროდიონი იყო მისი ღვინით მომმარაგებელი და უცვლელი თამადაც – ამ მხრივ მას მაშინდელ პოეტებს შორის ბადალი არ ჰყავდა, ისე როგორც მის **„კახურს“**, განსაკუთრებით კი **„წარაფს“** და **„საფერავს“** ...

– ომის დროს რამოდენიმეჯერ მომიწია ჩერჩილისა და რუზველტის მასპინძლობა. ჩერჩილს დაბადების დღე 1943 წლის დეკემბერში ჩვენ გადავუხადეთ თეირანში. არსენიჩმა მთლად გააგიჟა ქინძ–ძმარში გაკეთებული ლოქოთი, ასატრინის მწვადებით, ზაქის ხაშლამით, მაგრამ საფერავმა მთლად გადარია ყველა... როცა რუზველტმა გაიგო, რომ მას წამლადაც ხმარობენო, მორიდებით მთხოვა – იქნებ ახლა თუ არა, მერე ამერიკაში გამოგვიგზავნოო... მაშინვე დავუკავშირდით თბილისს და საუკეთესო **„საფერავი“** მივართვით რუზველტს გამგზავრებისას. ფული რამდენიო –რომ იკითხა, ვუპასუხეთ – იქ, სადაც ეს ღვინოა, ასეთი ტრადიციაა – სტუმარს ფულს არ ართმევენო...

– რუზველტმა არა, მაგრამ ტრუმენმა ქართული ღვინის ფასი მაინც გადაიხადა, იცინის სტალინი. რუზველტს მერეც ვუგზავნიდით, ავადმყოფი კაცი იყო, ომის დამთავრებას ვერ მოესწრო ისე გარდაიცვალა. არაჩვეულებრივი კაცი იყო, გულთბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, მართლაც რომ **„დიდბუნებოვანი კაცი იყო, „ძია–ძია ჯოს“ მეძახდა – ეს ჩემი ბოლო „კლიჩკაა“ –** იცინის სტალინი...

– რუზველტის სიკვდილის შემდეგ ვიცე–პრეზიდენტი ტრუმენი გახდა ქვეყნის მეთაური. თავიდანვე ქედმაღლურად იქცეოდა და როცა ამერიკის დახმარების – **„ლენდ–ლიზის“** საფასურის გადახდა მომთხოვა, ვუპასუხე – მე და რუზველტს შორის ეს საკითხი არ მდგარა – მეთქი. კიდევ არ მოისვენა და რამდენიმე დონეზე კვლავ ამ ვალის საკითხი დააყენა. მე არც ვაციე და არც ვაცხელე და მკვახედ შევეპასუხე: რამდენი კაცი დაკარგეთ მთლიანად II მსოფლიო ომში? რაღაც ჩაიბურტყუნა – მგონი 300 ათასიო... ჰოდა, მარტო საქართველომ თქვენზე მეტი დაკარგა, მთლიანად კი 20 მილიონზე მეტი სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა ჩვენგან და რა ნამუსით ითხოვთ ფულს... ამის შემდეგ **„ლენდ–ლიზზე“** პრეტენზიები შეწყდა: რუზველტისგან კიდევ ავიტანდი და მივიღებდი კიდეც ამ პრეტენზიებს, და ამ ამპარტავანი კაცისაგან კი არა ... ისე, რომ ქართული ღვინო მთლად უფასოდ არ გამიცია... კარგი საზღაურის გადახდა მოუწია ტრუმენს და ამერიკას...

8 მაისი, თუ 9 მაისი?...

ბ–ნი ვალერიანი იხსენებს ერთ საინტერესო ფაქტს, რომელიც ალექსანდრე რთველაძემ მოუყვა მას ლიკანში:

– 1945 წლის მაისის პირველ რიცხვებში დღე–დღეზე ველოდით გამარჯვების გამოცხადებას. გავიგეთ, რომ 8 მაისს ევროპაში კიდეც გამოცხადდა – ამ დღეს გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, ჩვენთან კი, რატომღაც ომის დამთავრება არ ცხადდება. რაშია საქმე?...

საღამოვდება და ამ დროს შემოდის სტალინი:

– **„ატენური“** გაქვს?

– კი, ამხანაგო სტალინ, რამდენიც გინდათ...

– ჰოდა, აიღე ეგ თქვენი **„ტოლჩები“** და ჩამოასხი (ამ ალუმინის **„ტოლჩებით“** უშიშროების სამსახური საჭმელ–სასმელს სინჯავდა, სანამ სტალინთან შეიტანდნენ). მეც ჩამოვასხი.

– გამარჯვებას გილოცავთ!, – მოკლედ გვითხრა და **„ალავერდი“** ჩემთან გადმოვიდა, ჩვენც ყველამ დავლიეთ...

– გასვლისას ხელით მანიშნა მისვლა და ქართულად მითხრა: – რას იტყვი არსენიჩ ქართულად 8 რიცხვს 9 არ სჯობია? ცხრა საკრალური, რაღაც სიმბოლური რიცხვია ქართულში – **„მეცხრე ცა“, „ცხრათვალა მზე“, „ცხრა უღელი ხარ–კამეჩი“...**

– მეც რასაკვირველია დავეთანხმე – ცხრა მართლაც კარგი რიცხვია–მეთქი.

– ჰოდა, გამარჯვების დღედ ჩვენში 9 მაისი იქნება! – ეს თქვა და საათი მოიხსნა – აი, შენ ეს საათი ჩემგან საჩუქრად გამარჯვების აღსანიშნავად და გავიდა...

– სტალინის სიკვდილის შემდეგ ალ.რთველაძე საქართველოში დაბრუნდა და მჟავანაძის დროს ცეკას სასადილოში შეფ–მზარეულად მუშაობდა. როცა კი ცეკაში მოვხვდებოდი, ხშირად ვნახულობდი. ერთხელ შევეკითხე უჩუმრად – ის საათი ხომ არ გადააგდე–მეთქი. მანაც ჩურჩულით მიპასუხა: არა, ამხანაგო ვალერიან, არ გადამიგდია, ჩემი მხრივ საათი შვილიშვილს ვაჩუქე, ოღონდ არ მითქვია, ვისი ნაჩუქარია...

„უმადურობა“ ...

ბ–ნი ვალერიანი:

– ერთხელ, როცა კარგად გავშინაურდი, შევეცადე საუბრის თემატიკა და სადავე ჩემს ხელთ ამეღო. ეს მაშინ მოხდა, როცა მან კვლავ გაიხსენა ირონდიონი და მისი „ამხანაგობა“. მეც ბევრი რამ მქონდა გაგონილი ამ მართლაც რომ სანიმუშო და წარმატებულ მეურნეობაზე, დიმიტრი მაჩხანელზე, ილიას როლსა და დამსახურებაზე მის წარმატებაში და აგრეთვე, კახეთის რკინიგზის მშენებლობაშიც – ილიას ინიციატივით შექმნილ „კახეთის რკინიგზის ამხანაგობაზე“ – მასში ხომ, ჩემი ოჯახის წინა თაობის არაერთი წარმომადგენელიც მონაწილეობდა...

– სიმართლე გითხრა, მე ამ „ამხანაგობის“ შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, რაც ვიცი, ისიც ირონდიონისაგან... კახეთის რკინიგზამ კი მართლაც რომ გამოაცოცხლა მხარე, ილიას სახელთანაა დაკავშირებული და ამიტომ მინდა მას ახალი ფუნქციონალური დატვირთვა მივცეთ დღეს... აჰყვა ჩემს საუბარს სტალინი.

– მაგრამ აი, ნახე რით დაუფასეს აქაც ილიას – ხალხს ისიც კი დაავიწყეს, რომ ილია არის ამ რკინიგზის სულისჩამდგმელი. „ილიას რკინიგზა“ – ასეთი უნდა იყოს მისი სახელწოდება დღეს... საერთოდ უნდა დაიმახსოვრო შენც და ნებისმიერმაც – უმადურობაზე საშინელი განცდა არაფერია: კაცი მთელი შენი არსებით ცდილობ რაღაც შესძინო შენს ხალხს და ქვეყანას და ამ დროს დანახვას და დაფასებას ვინ ჩივის, საოცარ უმადურობას გრძნობ ირგვლივ. სწორედ ამ

მდგომარეობაში იყო ილია სიცოცხლის ბოლო წლებში – არნახულ სულიერ დეპრესიაში... უმადურობა ეს მეორე მკვლელობაა კაცის...

ბატონ ვალერიანთან ამ ფაქტის ირგვლივ ჩემი საუბარი მიმდინარეობდა 90–იან წლებში და მე მას გავახსენე არტურ ლაისტის საოცარი დაკვირვება „უმადურობის“ ამ ფენომენზე მის მემუარულ კრებულში – „საქართველოს გული“. მკვლელობამდე მთელი აგვისტო არტურ ლაისტმა – „ჩვენი აბო“, როგორც მას ილია უძახდა, ილიასთან გაატარა და აი, მან და კიდევ ბევრმა სხვამაც დააფიქსირა ეს საშინელი სიტყვა – „უმადურობა“, რომელიც მათ ილიასგან ესმოდათ ყველაზე ხშირად და ლიკანშიც რომ გაჟღერდა 1951 წელს...

აღმოჩნდა, რომ ბატონი ვალერიანიც არ იცნობდა ლაისტის ამ წიგნს, იმაზე კი შევთანხმდით ორივე, რომ ილიას ეს სულიერი დეპრესია და განწყობა ზედმიწევნით სრულად არის გადმოცემული ამ სიტყვით და ლაისტის ამ წიგნის განხილვაც გადავწყვიტეთ თსუ „ილიალოგთა კლუბში“... ეს ის დრო იყო, როცა რუსეთში დიდი ზარ–ზეიმით აღნიშნავდნენ ომში გამარჯვების 50 წლისთავს და სტალინის სახელი კი წამოცდენითაც კი არ წამოცდენიათ მაშინ... ბ–ნი ვალერიანი ძალიან განიცდიდა ამას, მე კი რომ იტყვიან, უფრო „ვახელებდი“ – ახია მაგაზე, ვის და რას მოახმარა თავისი ძალა და ენერგია?!... სწორედ რომ ამის ღირსია და მეტი არაფრის... მანამდეც და მერეც ხომ, ასეთი „უმადურობით“ ატარებენ ომში გამარჯვების დღესასწაულებს დღემდე, რასაც ასეთი პატარა პამფლეტი მინდა მიუძღვნა აქ:

„გამარჯვების დღე“ გამარჯვებულის გარეშე...

მახსოვს ამ თემაზე ერთი ფაქტი, რომელიც მერე ანეგდოტივით გავრცელდა ხალხში: „ლუჟნიკის“ სტადიონის გახსნაზე მოსკოვში გერმანიის ფეხბურთის ნაკრები მოიწვიეს საბჭოთა ნაკრებთან სათამაშოდ და ის თამაში გერმანიის ნაკრებმა მოიგო. სტადიონიდან არყით შეზარხოშებული ორი რუსი მოდის და ერთი ეუბნება მეორეს – ამხელა ომი მოვუგეთ და ნახე, დღეს რა გვიქნეს... მეორე კი პასუხობს: „**Эй, дурак, тогда у нас другой тренер был!“...**

სტალინი მართლაც რომ „სხვანაირი მწვრთნელი“ გამოდგა მათთვის, თვით ბათო ყაენზე და ივანე მრისხანეზე უფრო დიდი. ხალხისა და ქვეყნის წარმატებული ხელმძღვანელობისთვის მთავარია დაეუფლო ხალხის ფსიქიკას და თაობიდან თაობაში გადმოცემულ ისტორიულ–გენეტიკურ ფესვებს. ახალგაზრდობიდან ყველაფერს ამას სტალინი შესანიშნავად დაეუფლა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ურალსა და ციმბირის ტრამალებში და შესანიშნავადაც გამოიყენა ომამდეც და ომშიც. მეტი პრაგმატიზმი (და ცინიზმიც!) გაგონილა – არმიას არაყი მისცე იერიშის წინ, როცა მეომრები სიკვდილის პირისპირ დგანან...

ჩერჩილი, 1959 წელი, ლონდონი – რუსეთის ბედი იყო ის, რომ ომის მძიმე წლებში მას მეთაურად შეხვდა სტალინი! ლიკანი, 1951 წელი, სტალინი – კარგად ვიცი, ქართველობას არ მაპატიებენ!. ამ ორი ფრაზით აიხსნება, რაც გამარჯვების ზეიმებზე ხდება რუსეთში სტალინის შემდეგ დღემდე... ჯერ კიდევ მარკიზ დე კიუსტინი წერდა ამ რუსულ შოვინიზმზე – შური და ბოღმა განსაზღვრავს აქ ცხოვრებას იმპერატორის კარიდან დაწყებული ციმბირის ხუტორებით დამთავრებული. ოღონდ ქართველი „კაცო“ არა და ომში გამარჯვების „სულისჩამდგმელად და უმთავრეს სტრატეგად“ ვის არ ასახელებენ – ჟუკოვს, კონევს, თვით ბრეჟნევსაც კი თავის დროზე... შოვინიზმის თვითმხილებაც ამას ჰქვია – უკეთეს ვერ მოიგონებს კაცი...

ცხადზე ცხადია – სტალინი რომ რუსი ყოფილიყო, მის ხატებს გაიკეთებდნენ და ზედ ილოცებდნენ...

ესეც ეტყობა რომ „რუსულ ფსიქიკაში“ ზის – ქვეყანა რომ მიადგეთ ეს ასეა, ისინი მაინც აიჩემებენ და „დაგიმტკიცებენ“ საპირისპიროს, როგორც ახლა ვთქვათ, დონბასში ხდება – ყველა ეუბნებათ ჯარი და ტექნიკა შეგყავთ, აგერ ბატონო ფაქტები და დოკუმენტები რამდენიც გინდათ... თქვენც არ მომიკვდეთ – ელაპარაკეთ რამდენიც გინდათ...

ამ შემთხვევაშიც ქვეყანა წერს და ამბობს, მათ შორის მთელი მაშინდელი რუსული გენერალიტეტიც ჟუკოვის ჩათვლით – ომი სტალინის სამხედრო–პოლიტიკურმა სტრატეგიამ მოიგო, ამ სტრატეგიასთან ერთად, არაჩვეულებრივმა ტაქტიკურმა სვლებმაც მოსკოვთან, სტალინგრადთან, კურსკთან... იმ „ათმა დიდმა დარტყმამ“, რომლებმაც გერმანიის არმია წელში გატეხა... მაგრამ რა, შეაყარეთ კედელს ცერცვი, – შოვინიზმით და ქართველოფობიით დაავადებულთ არაფრის გაგონება უნდათ...

– ამიტომ გვაჩქარებდა ლიკანში სტალინი: სანამ ვარ, გამომიყენეთ – მეტროც კარგია, თბილისის ზღვაც, შირაქის მორწყვაც, მაგრამ ვერ ხედავთ მთა რომ გეცლებათ ხელიდან?!... მთა ხომ საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილია, მოიფიქრეთ ისეთი სოციალურ–ეკონომიკური სტიმულატორები, რომლებიც მთიდან კი არა, პირიქით – მთაში დაასახლებს და დაამკვიდრებს მოსახლეობას. მის განხორციელებაში კი მე დაგეხმარებით საკავშირო ბიუჯეტის დაფინანსებით...

– ჩემს შემდეგ თქვენი პატრონი არავინ იქნება, პირიქით – ჩემი ბოღმით რაც შეიძლება ხელს წაგიჭერენ და მიგახრჩობენ. ამას ინტუიციით ვგრძნობ ჯერ კიდევ ტროცკის დროიდან – ქართველს და საქართველოს მტრულად უყურებდა დიდ – პატარა მაშინაც... სხვა კი თქვენს დასაცავად თითს თითზე არავინ დაადებს...

– თქვენი პატრონი თქვენ თვითონ უნდა გახდეთ, სხვანაირად მომავალი არა გაქვთ... სულ სხვანაირი ეპოქა დადგება ამ საუკუნის ბოლოს, სასტიკი,

დაუნდობელი, ჭკუით და გონებით უნდა იყოთ, სხვანაირად ვერ გადარჩებით. აი, ილია აქ დაგჭირდებათ, თუ მის მემკვიდრეობას დაეუფლებით. უკეთეს საქმეს ვერც თქვენ და ვერც მომავალი თაობები ვერ გააკეთებთ...

– მე რაც ვაკვირდები დღევანდელ ვითარებას და კაცობრიობის განვითარებას, სოციალურთან ერთად და შეიძლება ითქვას, რომ მასზე მეტადაც ეროვნული ღირებულებანი მოდის წინა პლანზე. ამიტომ მინდა მიხაკო წერეთლის დაბრუნება თქვენთან – მან ეს კარგად დაასაბუთა „ერი და კაცობრიობაში“ – ეს წიგნი ილიას შეხედულებათა გაგრძელება და კონცენტრირებული გამოხატულებაა. გერმანიაში ჩვენს ელჩს უკვე დავავალე მოაგვაროს მისი დაბრუნების საქმე...

ასი წლის წინ და ასი წლის შემდეგ...

ბ–ნი ვალერიანი:

– ერთ–ერთ საუბარში სტალინმა ილიას სტატია – **„მეცხრამეტე საუკუნე“** გაიხსენა და აი, როგორი ახსნა მოუძებნა მას:

– მე როცა ვამბობ, მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა–მეთქი, კი არ ვაჭარბებ. მე არ ვიცი ამ თემაზე ვინ რას წერდა ევროპაში თუ ამერიკაში მაშინ, მაგრამ ასეთი დაყენება საკითხისა ორი საუკუნის გასაყარზე არა მგონია ილიას გარდა მსოფლიოში ბევრ მოაზროვნეს ჰქონდეს: ჩამოთვლის XIX საუკუნის ათასნაირ სასწაულებს განვლილი ასი წლის მანძილზე და მერე ისეთ კითხვას სვავს, არავის რომ არ მოუვა თავში: მაგრამ ახლა კაცი უფრო ბედნიერია მატერიალურად და სულიერად თუ არაო? – არა მგონიაო, პასუხობს სკეპტიკურად და იქვე ასე ხსნის ამ თავის პასუხს: დღეს უფრო დიდი ზღვარია სიმდიდრესა და სიღარიბეს, ზნეობრიობასა და უზნეობას, კაცთმოყვარეობასა და კაცთმოძულეობას შორისო, ვიდრე ასი წლის წინ იყო... XIX საუკუნემ XX–ეს ეს გადასცაო ანდერძად და აღსასრულებლად, სხვანაირად პროგრესს რა აზრი აქვს...

– მე არ ვიცი ვინ დაწერს XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე რაიმეს მსგავსს, მაგრამ თუ ვინმე მოიფიქრებს და ამ კუთხით გაანალიზებს იმ განვლილ 100 წელს, უნდა ისიც იცოდეს, რომ ქართველთაგან ეს ილიამ გააკეთა პირველად XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე ... ისიც მინდა გითხრა, რომ ეს ე.წ. **„ნაკლები ბოროტების“** თეორიაც მე რომ მაწერენ ერეკლე მეფესა და გეორგევსკის ტრაქტატის შეფასებაზე, ილიასია. ესეც თავისებურად ეხმიანება ამ **„ასი წლის“** ილიასეულ გააზრებას – ერთხელ მასთან მე და იროდიონის სტუმრობისას, მან სწორედ ასე სთქვა – მეხსიერება ჯერ არ მღალატობს და კარგად მახსოვს ეს:

– ერეკლე მეფეს ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა, XIX საუკუნე საქართველოსთვის და ქართველი ერისთვის გაცილებით ტრაგიკული იქნებოდა – ჩვენ აქ ახლა ქართულად კი არა, სპარსულად უნდა ვლაპარაკობდეთ და ალაჰ–

ალაჰს ვიძახოდეთო... როცა ორი ბოროტება გიდევს წინ, ნაკლები უნდა აირჩიო ყოველთვის. ესეც მინდა ვთქვა – **„ერის“** ცნების განსაზღვრებაშიც ბევრი რამ ილიასგან ავიღე... ამოუწურავი სიბრძნის წყაროა ილია, დაიმახსოვრეთ და რაც მთავარია, გამოიყენეთ... დიდი კაცია, დიდი, მაგრამ დაუფასებელი... მერე ისევ **„ოთარაანთ ქვრივი“** გაიხსენა:

– შენი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საყვარელი თავია **„ეძახის“**... შიგ იმდენი ხილვები და სიმბოლიკებია, სიტყვა–სიტყვით თუ არ წაიკითხე და არ ჩაუფიქრდი რას და რატომ წერს, ვერაფერს გაუგებ... ხილვები ვის არა აქვს, მაგრამ იქ სულ სხვა ფილოსოფია და გააზრებაა – დედა თითქოს მიდის თავის გიორგისთან, მაგრამ ამასთან სახლში მაინც **„ვიღაც“** რჩება... ეს ყველაფერი რომ გაიგო, წინა თავიც უნდა წაიკითხო და მომდევნო ბოლო თავიც – სამივენი ერთად ჩვენი ერის წარსულის, აწმყოს და მომავლის მხატვრული გააზრებაა...

– ახლა მე გეტყვი საოცრებას: ეტყობა ილიას ამ გააზრებამ ჩემზეც იმოქმედა და ხილვებში ისეთ რამეს ვხედავ ძილის დროს, ჩვეულებრივ სიზმრებს და ხილვებს რომ არ ჰგავს... სიბერეში რომ შევედი, ახლა განსაკუთრებით მომეძალა ეს – ოთარაანთ ქვრივივით მეც რაღაცა თუ ვიღაცა „**მეძახის**“...

– მთავარი საოცრება კი ის არის, რომ ხილვისას აშკარად ვგრძნობ – რასაც გინდა ვაკეთებდე, ვთქვათ, უბრალოდ რომ დავდიოდე მთებში თუ ტყესა და ღრეში, თითქოს უწონადობის რეჟიმში ვიყო, – ფიზიკოსები რომ ლაპარაკობენ ადამიანის კოსმოსში ყოფნაზე, – აი, ასეთ შეგრძნებაში ვარ, სანამ გამოვიღვიძებდე... ილიას **„აჩრდილი“** მაგონდება ხოლმე მაშინვე, მთებზე გადმომდგარი რომ გვმოძღვრავს საოცარი მჭერმეტყველებით... ალბათ ილიაც ასეთ ხილვებში იყო, როცა ამ პოემაზე მუშაობდა... კაცი როცა რაღაცა იდეის მონა ხდები, ეტყობა ასეთი შეგრძნებების ტყვეობაში ექცევი ცხადშიც და ძილშიც...

– ბავშვობიდანვე დარვინიზმი ძალიან მიყვარდა – მუდმივი ბრძოლაა ამ ჩვენს დედამიწაზე გადარჩენისთვის ვინ იცის რამდენი მილიონი წლების მანძილზე, ბევრი სახეობაც ხომ, გადაშენდა ფლორის თუ ფაუნის... ეტყობა ერებშიც ხდებოდა და ხდება დღესაც ეს... ნოველის იმ თავებში ეს იდეაცა ჩანს, **„აჩრდილიც“** ხომ ამას ეძღვნება... არა, არა, სხვა ჯიშ–ჯილაგის ხალხი ვართ მაინც, ამ პოემის ბოლო სტროფებიც ამ დიდი იდეით მთავრდება... მე მათ საქართველოს ჰიმნად გამოვიყენებდი... ახლა თუ არა, მომავალ საუკუნეში აუცილებლად დაგჭირდებათ...

ბ–ნი ვალერიანი იმასაც იხსენებდა, თუ როგორი განწყობით დატოვა ლიკანი სტალინმა, მათი ბოლო საუბარი რაღაც ანდერძის და აღსარების მაგვარი გამოდგა...

„ან, ან“...

– დაიმახსოვრე რაც ადრეც გითხარი – აკაკი მგელაძესთან ერთად უნდა ებრძოლო კორუფციას საქართველოში: ან ის დაგვამარცხებს და დაასამარებს სოციალიზმს, ან ჩვენ მას... ძველი თაობის იმედი აღარა მაქვს...

– ყრილობის შემდეგ ბევრი რამ გადაწყდება ამ მხრივ... მგელაძეს პოლიტბიუროში შევიყვან და როგორც ჩამოვა, დიდი კამპანია წავა – უნდა გაიწმინდოს პარტიული და სახელმწიფო კადრები მთლიანად... მგელაძეს მე ბოლომდე ვენდობი – რწმენის კაცია და საქმეს ბოლომდე მიიყვანს...

ან, ან, ეს მართლაც სტალინის სტილში ნათქვამია... ყრილობაზეც სწორედ ასე დააყენა საკითხი, როგორც აკაკი მგელაძე იგონებს, ეს განსაკუთრებით ყრილობის შემდეგ გამართულ პირველ პლენუმზე ითქმის... თვითონაც **„დამოძღვრილი“** ჩამოვიდა საქართველოში... მაგრამ არც **„კატის კნუტებს“** ეძინათ – **„გაახალგაზრდავების და გაწმენდის კურსი“** ხომ, მათ არა მარტო ძალაუფლებას, არამედ თვით სიცოცხლესაც ემუქრებოდა... არ გასულა 4 თვეც რომ **„მსოფლიოში პირველი სოციალიზმის ქვეყნის“** იდეის ავტორი და განმხორციელებელი უკვე განწირული იყო უეჭველი სიკვდილისთვის, **„სამედიცინო ბიულეტენებს“** კი ნამუსის მოსაწმენდად აქვეყნებდნენ ხალხის მოსატყუებლად...

ამ მხრივ, აკაკი მგელაძის ერთი ცნობაც არის ნიშანდობლივი – **1953 წლის 1 მარტს** სტალინმა დამირეკა, მოიკითხა თბილისის ზღვისა და მეტროს მშენებლობის ინფორმაცია, კახეთის სარწყავი სისტემის დაპროექტების და დაფინანსების მდგომარეობა... მისი ხმა იყო ძველებურად დინჯი, საქმიანი და ბუნებრივი... იგივეს იმეორებს სვეტლანა ალილუევა, რომელმაც სულთმობრძავს მიუსწრო და მისი ხელის უცნაურ მინიშნებასაც ასახელებს – ხელი მან იქ მყოფი სამი მთავარი შეთქმულისკენ – ხრუშჩოვი, ბერია და მალენკოვისკენ გაიშვირა, თქმით კი, უკვე ვერაფერი თქვა... ხოლო უკვე გაციებულ გვამთან ოთახში შემოსწრებულმა ვასილ სტალინმა პირდაპირ მიაძახათ – **„მამა მომიკალით!“** ...

ასე და ამრიგად, ლიკანში ნათქვამი **„ან, ან“** წელიწადნახევრის შემდეგ სტალინის **„კატის კნუტების“** სასარგებლოდ დამთავრდა. ამით დამთავრდა ის ცდაც, რასაც ვარლამ ჩერქეზიშვილმა მის დასაწყისშივე **„ჯოჯოხეთის გზა“** უწოდა... მისი სიკვდილის შემდეგ რომ **„რუსული სოციალიზმი“** პაროდიად იქცეოდა, ეს სტალინმა ყველაზე კარგად იცოდა. ამის სიმპტომებს ის თვითონ ხედავდა – **„მუნჯის ენა ხომ, ყველაზე კარგად დედამ იცის“**, მისი პირმშო დამუნჯებული სოციალიზმი თავის აღსასრულს უახლოვდებოდა... ვინ იცის შეიძლება რომ ჩერნიშევსკის ეს სიტყვებიც ახსოვდა: „ის, რაც ბედნიერებაა სხვაგან, უბედურებაა რუსეთში და რაც ბედნიერებაა აქ, უბედურებაა სხვაგან“...

მაგრამ – ზოგი მგლისკენაც უნდა ითქვასო, ნათქვამია და უმადურობა, რომელიც სიკვდილის შემდეგ მას დაატეხეს თავს, ესეც ალბათ, ყველაზე

უნიკალურია ისტორიაში: მის შემდეგ რამდენი ლიდერი გამოიცვალა რუსეთმა დღემდე და ყველას მისი დანატოვარით, ატომი იქნება ეს, თუ გაეროს **„ვეტო“**, უდგას სული – ესეც ხომ შოვინიზმის კიდევ ერთი თვითმხილებაა...

მაგრამ სანამ მას საძვლებში გაისტუმრებდნენ, მან თავისი ანდერძი დატოვა ლიკანში. ამასთან დაკავშირებით ბ–ნი ვალერიანი იხსენებს სტალინთან თავის ერთ–ერთ საუბარს – ისიც სოციალიზმის თემას შეეხებოდა, ოღონდ სხვანაირად გააზრებულს:

– შენ და მგელაძეს ახლა თუ არა, მომავალში მაინც მოგიწევთ ქართული სოციალიზმის პრინციპებზე მუშაობა... აქაც დაგჭირდებათ ილია... ილია არ იყო მარქსისტი, მაგრამ კაპიტალიზმის აპოლოგეტიც არ იყო. ნახეთ „ივერიაში“ რამდენი კრიტიკა აქვს მასზე გამოთქმული, გაზეთის მეოთხე გვერდზე კი, ლამის ყველა ნომერში განცხადება იყო მოწოდებით შეექმნათ „ამხანაგობები“ საქართველოში. ეს მას კაპიტალიზმის ალტერნატივად მიაჩნდა...

– მახსოვს როგორ დაეხმარა ბანკიდან იროდიონს და მის ახლობლებს შეექმნათ ასეთი ამხანაგობა ქიზიყში. იროდიონი აღტაცებით მიყვებოდა როგორ გარდაიქმნა მათი სოფელი – საკუთარი აფთიაქი, საავადმყოფო, სასწავლებელი, ბიბლიოთეკა, თეატრიც კი... საკუთარი სალაროც კი გახსნეს, სადაც ამ ამხანაგობის წევრებს უპროცენტო სესხს აძლევდნენ... სოფელი პატარა ქალაქად იქცა, თუმცა ილიას ქალაქზე მეტად სოფელი უყვარდა – „სოფელ – ქვეყანა“ ჩვენი ენის დიდ სიმბოლიკად და გააზრებად მიაჩნდა... ქართული სოციალიზმიც შეიძლება ილიას და მისი „ივერიის“ ამ ძველ იდეაზე აშენდეს – იფიქრეთ ქართველებმა ამაზეც, ფიქრით იწყება ამქვეყნად ყველაფერი – ჭეშმარიტების გზაც მასზე გადის...

წუთისოფელი კი მიდის და მიდის... მოდიან და მიდიან ახალ–ახალი თვითმარქვიები ტაშით რომ ვხვდებით თვითეულ მათგანს, ვითომცდა ჩვენზე თავგადაკლულთ, **„საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“** კი კვლავ აჩრდილად და განუხორციელებელ სიტყვად რჩება მის **„კარგ ქვეყანაში“**... არადა, არ გვშორდება ეს **„ტაშის კულტი“** კვლავ ძველ თუ ახალ თაობებს... ერთი პოეტური გააზრებაც მინდა შემოგთავაზოთ ამ მიმართებით:

მოვიდა ერთი, –
შემოვხვდით ტაშით,
მერე მეორე, –
და ისევ ტაშით,
მეტით თუ არა,
არანაკლებით,
შემდეგ მესამე, მეოთხე ...,
და ისევ ტაში,
ოვაციებში გადაზრდილი
მქუხარე ტაში...

– **ღმერთო, ისეთი რა დავაშავეთ,**
მთელი ცხოვრება გავლიოთ ტაშით?!...

ესეც ხომ, იმ ეპოქების ე.წ. **„დაკარგული თაობების“** დანატოვარია, მაგრამ ის თაობები კი დაიკარგა, მათგან ინერციით მომდინარე ეს ტაშის კულტი და ბევრი სხვა რამ, ჯერ–ჯერობით არ დაკარგულა...

და კვლავ ილია...

ბ–ნი ვალერიანი: – არ ვიცი რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენჯერაც ძველ, რევოლუციამდელ ეპოქას შეეხებოდა, აუცილებლად მის მეხსიერებაში ილიაც ამოტივტივდებოდა. სტალინს ხომ ფენომანალური მეხსიერება ჰქონდა. სემინარიიდან გარიცხული მთლიანად რომ ბინისა და შემოსავლის გარეშე დარჩა (ეკლესიის გუნდში გალობაც დაატოვებინეს), ზუსტად ახსოვდა ვინ გაუწოდა დახმარების ხელი და ვინ არა, ვინ რომელ ქუჩაზე შეხვდა, რა თანხა ასესხა და ა.შ. იროდიონ ევდოშვილი და მისი ოჯახი **„ჩემი გაჭირვების ტალკვესი იყო“** – იხსენებდა სტალინი...

– ის კი არა, ცოლი რომ გარდამეცვალა, დედაჩემიც მათთან ცხოვრობდა და 3 თვის ჩვილი ბავშვის მოვლა–პატრონობაში დახმარებაც შემოგვთავაზეს, მაგრამ სიდედრ–სიმამრმა არ დაგვანებეს...

– ილიას და მისი ბანკის დახმარებით იროდიონმა და მისმა ახლობლებმა დიდი სასოფლო–სამეურნეო კორპორაცია დააფუძნეს ქიზიყში. დამფუძნებლად მეც ვითვლებოდი. „ამხანაგობა“ ილიას იდეალიც იყო და თითქმის უპროცენტო სესხებით ძალიან შეუწყო ხელი მის გაძლიერებას. „ამხანაგობის“ მეთაურიც – დიმიტრი მაჩხანელი უნარიანი კაცი აღმოჩნდა და სოფელიც გამდიდრდა და კეთილმოწყობილ დაბად გარდაიქმნა... ეს დიმიტრი მაჩხანელი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, ლიტერატურის მოყვარული კაცი იყო და **„ივერიაში“** ხშირად იბეჭდებოდა. იროდიონთან ერთად ეპატიჟებოდა ილიას თავის თვალით ენახა ეს ყველაფერი... თვითონ არა, მაგრამ იროდიონისგან მახსოვს, ინგლისიდან ჩერქეზიშვილისგან გამოგზავნილი ქართველოლოგები და–ძმა უორდროპები გააყოლა – მოუარეთ და უმასპინძლეთ, ქართულიც კარგად ასწავლეთ და **„ვეფხისტყაოსნის“** თარგმანშიც მიეხმარეთო...

– იროდიონს ჰყავდა ძმა, რომელიც სამხედრო პირი იყო და რუსი ოფიცრებისგან იარაღის შეძენაში გვეხმარებოდა. არ ვიცი საიდან გაიგო ეს ილიამ, მაგრამ იროდიონი მკაცრად გააფრთხილა – შენ რა, ძმას დასახვრეტად იმეტებო... ამის შემდეგ სხვა გზა მოვძებნეთ – ირანის საზღვართან, რკინიგზის სადგურ ჯულფაში ჩვენი კაცი გავაგზავნეთ სამუშაოდ – პიმენ დვალი და ირანიდან იარაღი დაუბრკოლებლივ მოდიოდა – ირანს რა თქმა უნდა აწყობდა არეულობა რუსეთში და ცარიზმის დამხობა (უნდა ითქვას, რომ ამ ინფორმაციის საფუძველზე მე და ბ–ნმა ვალერიანმა ევდოშვილის არქივში მოვიძიეთ

სტალინის რამდენიმე კონსპირატიული წერილი, რომელიც ახლა ჩემს არქივში ინახება).

– რევოლუციის წლებში ილია სულ ჩამოგვშორდა – დაღუპვისაკენ მიგყავთ ხალხიც და ქვეყანაცო – პირში მიეხალა ირონდიონისთვის, განსაკუთრებით გურიის აჯანყებამ და იქ დატრიალებულმა სისხლიანმა რეპრესიებმა აღაშფოთა – ისე რომ ბევრნი ვართ და ახლა რუსებს ახოცინეთ ხალხიო... ისე კაცმა სიმართლე, რომ თქვას, გურიის აჯანყება უფრო ანარქისტების საქმე იყო – ჩერქეზიშვილმა და გოგელიამ გამოაგზავნეს ევროპიდან შეიარაღება აქ...

რას გეგმავდა სტალინი 1957 წლისთვის?...

ბ–ნი ვალერიანი იხსენებს:

– როცა ახალი ხუთწლედის ძირითად მიმართულებებზე ლაპარაკობდა ჩარკვიანთან, მგელაძესთან და ბიუროს სხვა წევრებთან, კარგად მახსოვს მისი ეს ფრაზა:

– კარგია, როცა ასე დაბეჯითებით მოითხოვთ სამეურნეო პრიორიტეტების განსაზღვრას – ეკონომიკის გარეშე არაფერი არ არსებობს ამქვეყნად, მაგრამ რატომღაც კულტურაზე, განათლებასა და მეცნიერებაზე ვერაფერი მოვისმინე... მათ გარეშეც საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარება არ არსებობს. მე მაქვს ერთი წინადადება და ჩემი თხოვნა იქნება მას ისევე მივუდგეთ, როგორც თბილისის მეტროს მშენებლობას, ანდა, შირაქის მორწყვის პრობლემას...

– 1957 წელი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელია და საგანგებოდ უნდა ავღნიშნოთ აქაც და მოსკოვშიც – დაე, ნახონ, რომ ქართველებსაც ჰყავდათ მაშინ თავისი ჩერნიშევსკი, ტოლსტოი და დოსტოევსკი. მე იმასაც ვფიქრობ, ეს ყველაფერი დავუკავშიროთ ქართული კულტურის დეკადას და „ვეფხისტყაოსანს“ – მაშინ, 30–იან წლებში ეს ასე კომპლექსურად არ გამოგვივიდა, ილია ხომ მთლად მივიწყებული და იგნორირებული იყო მაშინ... „ვეფხისტყაოსნის“ წინ წამოწევა – აღიარებაც პირველ რიგში ილიას დამსახურებაა...

– კარგად მოფიქრება უნდა ყველაფერს ამას. ვფიქრობ, ილიას მუზეუმით და მისი თხზულებების შეგროვებით და გამოცემით უნდა დავიწყოთ. მათი რუსულად და ევროპულ ენებზეც შეიძლება შერჩევით თარგმნა... აი, მე ვნახე სასკოლო სახელმძღვანელოები, მათ შორის რუსული და სომხური სკოლებისთვისაც მოვატანინე და გავოცდი – ილია ძალიან ღატაკურად არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით რუსული სკოლებისთვის. სოჭში და ჩრდილოეთ კავკასიაში რომ ქართული სკოლებია, იმათთაც თქვენ უნდა უპატრონოთ... თქვენ, ქართველებმა, რა ასო–ბგერა„ჭ“–ც დაივიწყეთ – სასკოლო სახელმძღვანელოებში და რუკებზეც „სოჩი“ სწერია – რაც ისტორიულ სახელად ჩამოყალიბდა, ის რატომ უნდა დაიკარგოს – ქართულად „სოჭია“ სწორი...

– მომავალ ჩამოსვლაზე დამახვედრეთ მოსკოვში ამ ახალი ქართული დეკადის და მასთან ერთად, ილიას იუბილეს გეგმა – მონახაზი, რუსი ამხანაგებიც ჩაერთვებიან სამზადისში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრებიც გამოვიყენოთ რუსთაველის პოემის პოპულარიზაციასა და ილიას ზოგიერთი ნაწარმოების თარგმნისთვის, მაგალითად, „განდეგილი“ ხომ, ზოგად–კაცობრიული იდეის მატარებელია... ილია მარტო ეროვნული კი არა, ზოგად–კაცობრიული იდეების მატარებელიცაა...

– შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, სხვას რას ვერჩით, თქვენ თვითონ არ იცით ილიას ფასი... სხვა ერის შვილი რომ იყოს იგი, აქამდე თავს წაგვაჭამდნენ – ნახეთ, რა გენიოსი კაცი გავზარდეთო...

მერე მე და ნიკო კეცხოველს მოგვიბრუნდა და თხოვნაც და დავალებაც მოგვცა:

– რომ ამბობთ ივანე ჯავახიშვილმა დაიწყო ილიას კვლევა, ძალიან კარგი. ამ მომცრო წიგნაკის წაკითხვა მოვასწარი და უნდა გითხრათ – შესანიშნავი გამოკვლევაა. განსაკუთრებით მომეწონა „ერის დაბერების“ დრეპერის თეორიის ილიასეული ხედვა და მისი კრიტიკა. აი, ესეც შეიძლება ითარგმნოს რუსულადაც და ევროპულ ენებზეც.

– მაგრამ ჯავახიშვილს რაც შეეძლო და მოასწრო გააკეთა, რა ამით უნდა დავკმაყოფილდეთ და დამთავრდეს საქმე?!... დიდი მკვლევარი იყო, საქართველოს ისტორია თითქოსდა ხელახლა გააცოცხლა, მაგრამ აღარ არის კაცი, საქმე კი გაგრძელებას ითხოვს. ამიტომ ჩემი თხოვნაცაა და დავალებაც – სწორედ უნივერსიტეტი უნდა ჩაუდგეს სათავეში ილიას მემკვიდრეობის კვლევას და გამომზეურებას... – ადრეც ვთქვი და ახლაც მინდა გავიმეორო – მიხაკო წერეთელი მინდა შემოვირიგო და ისე როგორც დაარსებისას, ახლაც თბილისის უნივერსიტეტში გააგრძელოს მეცნიერული მოღვაწეობა – ილიაზე მასზე უკეთესი მკვლევარი ვინ გეყოლებათ, თქვენც ყველა მხარში ამოუდექით მას და დიდი საქმე გაკეთდება...

– ჩვენ ყველას გაგვიხარდა მისი ეს განზრახვა და პირველ რიგში დავიწყეთ ფიქრი ილიას ათტომეულის გამოცემაზე. ბატონმა ნიკომ სასწავლო წლის დაწყებიდანვე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ჰუმანიტარულ კათედრებს დავალება მისცა თემატურად და ქრონოლოგიურად დაელაგებიათ „ივერიის“ მასალები, ახლადგახსნილ საგურამოს მუზეუმთან ერთად დაიწყო ამ მხრივ მოსამზადებელი მუშაობაც, მაგრამ მაშინ სტალინის ეს განაზრახი განაზრახად დარჩა – 1957 წელს იუბილეებისთვის არავის ეცალა: ხრუშჩოვმა ახალი „ძნელბედობის ჟამი“ დაგვიყენა ქართველებს...

ჰქონდა თუ არა სტალინს ჰიპნოზი?...

ამ კითხვას ყველას ვუსვავდი, ვისაც კი სტალინთან რაიმე შეხება ჰქონია და ერთმნიშვნელოვანი პასუხი კი ვერავისგან მიმიღია... არადა, სტალინის

ფენომენის სრულყოფილი გაგება შეუძლებელია – იმ ფაქტს ხომ, ახსნა უნდა, თუ როგორ შესძლო მან ამ მართლაც რომ თავბრუდამხვევი კარიერის გაკეთება. ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობა ქართველებიდან მასთან კანდიდ ჩარკვიანს ჰქონდა, მაგრამ ვერც მან მითხრა და ვერც თავის გამოქვეყნებულ მემუარებში თქვა რაიმე გადაჭრით. ჩემი აზრით კი, ამის მსგავსი გარკვეული დოზით სტალინს ჰქონდა, ყოველშემთხვევაში თავის გარშემო მას შეეძლო შეექმნა ისეთი საერთო განწყობილება და აურა, რომლითაც იგი, როგორც კისინჯერი ხმარობს ტერმინს, **„აჯადოებდა“** ირგვლივ ყველას...

სტალინის ამ თვისებას ძველი ბოლშევიკი ვერეშჩაგინიც უსვავს ხაზს. ის სტალინთან ერთად იჯდა ბაქოს ციხეში და მერე გადასახლებებშიც – ყველგან **„კობა მუდამ ფავორიტი ხდებოდა ბაქოს ციხის საკანი იქნებოდა ეს თუ ციმბირის სოფლები“.** ჰენრი კისინჯერიც თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში **„დიპლომატია“**, მთელ 3 თავს უძღვნის სტალინის ფენომენს და ერთ–ერთ მათგანში – **„სტალინური ბაზარი“**, რომელიც II მსოფლიო ომის წინაპერიოდს ეხება, სწორედ მის ამ **„ჯადო–მონუსხვის“** თვისებას უსვავს ხაზს, ისიც და მაშინდელი ამერიკული პრესაც ამით ხსნიან რუზველტის **„სტალინურ სიმპატიებს“**, თუმცა არც ჩერჩილი აკლებდა ამ სიმპატიებს მიუხედავად დაპირისპირებული ინტერესებისა, გავიხსენოთ თუნდაც, მისი გამოსვლა ინგლისის პარლამენტში სტალინის სიკვდილის შემდეგ...

კისინჯერი ამავე წიგნში და მის ამავე თავში ასეთ კითხვისაც სვავს – მაინც რაში უნდა ვეძიოთ სტალინის ძალა? რით იმსახურებდა იგი ასეთ ნდობას და პატივისცემას? – მისი ძალა სიმართლეშია, ასეთია მისი პასუხი: რასაც შეპირდებოდა მოკავშირეებს, აღმოსავლეთის ფრონტზე კონკრეტული რაიმე ოპერაციებიდან და ბერლინზე იერიშით დაწყებული და იაპონიასთან ომით დამთავრებული, ზუსტად ასრულებდა თავის სიტყვას...

ბ–ნი ვალერიანიც იხსენებს რამდენიმე ფაქტს სტალინის ამ **„ჯადო–მონუსხვის“** თვისებაზე:

– სტალინის მზარეული ლიკანში ალექსანდრე რთველაძე თავისი საქმის დიდოსტატი იყო და სტალინის განუსაზღვრელი ნდობითაც სარგებლობდა... ხშირადაც სტუმრობდა სამზარეულოს და ეხუმრებოდა – **„არსენიჩ“** სტუმრებს ველოდები დღეს, აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო...

– და ამ **„არსენიჩისგან“** რამდენიმე ისეთი ფაქტი მოვისმინე, რომლებითაც ჩემთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა სტალინის ფენომენი და მისი ძალა: 1941 წლის სექტემბრიდან – ყვება არსენიჩი, კუნცევოში გადავედით მუდმივად – იქიდან ხელმძღვანელობდა მოსკოვის დაცვას. სამ რიგად მიწათხრილები შემოავლეს, დაცვაც ათმაგად გააძლიერეს... ოქტომბრის ბოლო რიცხვები იყო და უცბად ჯერ სროლის ხმა გავიგეთ, მერე კი ხალხის რაღაც უცნაური შეძახილები... ხმაურზე სტალინი გამოვიდა ზღურბლზე და იკითხა – რა ამბავია, რა ხდებაო... თურმე მოსკოვში ხმა გავრცელებულა – სტალინმა მოსკოვი დატოვაო... სტალინმა

დაცვას უბრძანა, ჭიშკარი გამოეღოთ და ხალხი შემოეშვათ, თვითონ კი კიბეებთან ახლოს მივიდა, ხალხს დაენახვა და ომახიანად შესძახა: – ჰიტლერს კისერს მოვუგრეხ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!... უნდა გენახა, რა მოხდა იქ – თითქოს ღმერთი იხილეს, ყველა მუხლებზე დაეცა და მერე **„დიდება სტალინის“** ძახილით დატოვეს იქაურობა... მერე ხომ პარადიც ჩაიბარა წითელ მოედანზე... ვფიქრობ, რომ ორივე კოლექტიური ჰიპნოზი იყო უთუოდ...

მეორე ფაქტიც სიმბოლურია სტალინის ფენომენის გასაგებად. ის უკვე ომის დამთავრების შემდეგ მომხდარა:

– ისე გამოვიდა, რომ ომის დროს ფაქტიურად მე დღედაღამე სულ კუნცევოში მიხდებოდა ცხოვრება, ძილითაც ერთი ოთახი გამომიყვეს და იქ მეძინა. ომის შემდეგაც ასე გაგრძელდა... დამხმარე მზარეულები კი, დაცვას მოსკოვიდან მოჰყავდა. ერთ დღეს ჩვეულებრივად სტალინი შემოვიდა, მოგვიკითხა და ჩემს თანაშემწე ქალთან გაჩერდა – რატომ ხარ ასე ცუდ ხასიათზეო, შეეკითხა, მანამ არ მოეშვა, სანამ ამ ქალმა არ უთხრა – ამხანაგო სტალინ, გუშინ დასვენების დღე მქონდა, გასტრონომში წავედი ოჯახისთვის პურის, შაქარის, კარაქის და სხვა პროდუქტების შესაძენად... ფასშიც და წონაშიც მომატყუეს, საკონტროლო სასწორი რომ მოვითხოვე, გამომლანძღეს კიდეც... მოსკოვში რომ ასეა, წარმომიდგენია რა იქნება სხვაგან...

– სტალინს არაფერი უთქვამს, ისე გავიდა... ერთ საათში კი რადიოთი გავიგეთ ვაჭრობის მინისტრის, მისი მოადგილეების და მოსკოვის მთელი ხელმძღვანელობის მოხსნის ამბავი...

– ამ ამბავს კი მე თვითონ შევესწარი ლიკანში ყოფნისას, როცა სტალინმა ბაკურიანის ნახვა მოინდომა. ცემის გადასახვევთან ხალხი დაინახა და მანქანები გააჩერებინა – ხალხს მიესალმა: დიდი ომი და გაჭირვება გადავიტანეთ, მაგრამ ამის შემდეგ დაიმახსოვრეთ – ყოველ გაზაფხულს სურსათს ფასები დააკლდება, პური და შაქარი კი, მალე უფასო გახდება... მერე კი, თავისებური იუმორით დაემშვიდობათ – თუ ასე არ მოხდება, ჩათვალეთ, რომ არც ამხანაგი სტალინია ცოცხალი, ჩაილაპარაკა მანქანაში ჩაჯდომისას... მონუსხული და ჰიპნოზირებული დატოვა აქაც ხალხი...

– მახსოვს, ამ მიმართვაზეც – **„ამხანაგი სტალინი“** ბევრი იცინა და იხუმრა: 30–იან წლებამდე ძველი ბოლშევიკები ჯერ კიდევ ძველ კლიჩკას, ყაზბეგის **„კობას“** მეძახდნენ. მერე და მერე ლენინური **„სტალინი“** დამკვიდრდა და მეც მას მივეჩვიე... ერთხელ ჩარკვიანმა სხვა მსახიობებთან ერთად სპარტაკ ბაღაშვილიც ჩამოიყვანა ჩემი თხოვნით – მის **„არსენაზე“** ვიყავი შეყვარებული... მაგრამ ძალზე უცნაური კაცი აღმოჩნდა, ეტყობა რაღაც ფსიქიკური პრობლემებიც აქვს და კანდიდს ვთხოვე ყურადღება მიაქციონ... სუფრაზე რომ მადღეგრძელეს, **„ბატონო სტალინო“** – ასე მომმართა – მე გავეხუმრე – მთელი სიცოცხლე ბატონებს ვებრძვი არსენასავით და ახლა შენ **„ბატონო“**–ს მეძახი – მეთქი... მთელი ლექცია ჩაატარა –

„ბატონო“ ზრდილობიანი მიმართვის ფორმაოო... ნიჭიერი კაცია, მაგრამ უცნაური... – თავი მოიკლა და არაფრით არ თქვა „ამხანაგო სტალინ“...

– უნაკლო და უცოდველი ამქვეყნად არავინაა...

ბ–ნი ვალერიანი იხსენებს: სპარტაკ ბაღაშვილი ჩემი მეზობელი სოფლიდან იყო, პატივს ვცემდი და ამიტომ ერთ დღეს შევეცადე დამეცვა მისი ეს **„ქიზიყური სიჯიუტე“** სტალინთან, მის გარკვეულ შევიწროებაზეც ჩამოვუგდე სიტყვა მაშინდელი კინოსა და თეატრის მოღვაწეთა მხრიდან. გამაოცა სტალინის პასუხმა:

– არ არსებობს ამქვეყნად კაცი, რომ რაიმე უცნაურობა არ სჭირდეს სპარტაკის მსგავსად. უცოდველი და უნაკლო კაცი არ არსებობს. ქრისტე და მისი **„პირველი ქვის სროლა“** ხომ გახსოვს – უცოდველმა ესროლოსო პირველად ამ ქალს... მთავარი მაინც ისაა, რომ შენ თვითონ აღმოგაჩნდეს შინაგანი ძალა და რწმენა გაიაზრო სინამდვილე, რომელიც ამქვეყნად მოსვლისას დაგხვდა შენს ირგვლივ და თავისი გზა–კვალი მისცე შენს თავს...

– აი, შორს რომ არ წავიდე, ჩემი თავიდან დავიწყებ. გვიჭირდა ძალიან, ბავშვობიდანვე ვგრძნობდი ამას და ძალიანაც განვიცდიდი... განა მამაჩემი ამან არ გააკოტრა და გაალოთა – სწორედ გაკოტრებული წვრილი მეწარმის ტიპაჟია ჩემს **„ანარქიზმი თუ სოციალიზმში“** გამოყვანილი, თუ ყურადღებით წაიკითხავ მას, იქ ამ ტიპაჟს კარგად დაინახავ...

– მე ეხლა გორში უნდა ვიჯდე და ჩექმებს ვკერავდე, როგორც ეს მამაჩემს უნდოდა, მაგრამ ძალიან ადრე მივხვდი, რომ შემეძლო სინამდვილის და მასთან ერთად, ჩემი პიროვნების რადიკალური შეცვლაც. აი, მიზანი, რომელიც მე ჭაბუკობიდანვე დავისახე და ჩემი ცხოვრების აზრად ვაქციე. ყველას შეუძლია გააკეთოს ეს, ვისაც საამისო ნებისყოფა აღმოაჩნდება. ავიც და კარგიც ჩვენს თავშია და ჩვენვე უნდა მოვუარო მათ... ამაზე ვფიქრობდი მუდამ გორშიც, თბილისშიც, ციმბირშიც. ასეა, ადამიანში მთავარი ნებელობაა...

„სოციალიზმი სიცოცხლეზე მეტია ჩემთვის“...

– აი, აქ მიშველა სწორედ სოციალიზმის თეორიამ, იგი ჩემთვის სიცოცხლეზე მეტი გახდა. რუსულ გარემოში და რუს ხალხში მან ჩემი ძალა და ენერგია გაასმაგა – თავიდანვე ადვილად გავუგეთ ერთმანეთს ჯერ კიდევ ციმბირში – მთავარია, ეს ხალხი დაარწმუნო შენში... ეს თეორია, რა თქმა უნდა, დოგმა არაა – მას განახლება და გარდაქმნა – რეფორმირება სჭირდება ყოველ ახალ ისტორიულ ეპოქაში, ახლა სწორედ ასეთი ეპოქა დგას, მაგრამ მე ამისთვის ასაკი აღარ მყოფნის, ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, ახალგაზრდებს ამისკენ...

– გავა 20–25 წელი და ახალი თაობა მოვა ახალი ენერგიით და ახალი იდეებით. ბევრ რამეს მეც ახლებურად ვუყურებ და მჯერა, რომ ამ თეორიას შესწევს ძალა ახალი სტიმულები მისცეს კაცობრიულ განვითარებას, განსაკუთრებით ომისშემდგომ ახლადგამოღვიძებულ ხალხებსა და ქვეყნებში... ჩინეთი ბევრ რამეს იტყვის ამ თეორიის მიმართებით. ორგანიზებული, მეურნე და მოაზროვნე ხალხია და ამიტომაც ჩინეთს მომავალი დიდი აქვს...

სტალინს ხშირად უყვარდა იუმორზე გადასვლა და ამ შემთხვევაშიც, სანამ ჩიბუხს ხელახლა დატენიდა, თვალის მოჭუტვით შემეხმიანა:

– ჰა, კახელო,ღირს ამეებზე ფიქრი თუ არა?!...

სამი მამლუქი – სამი სხვადასხვა ბედი

სტალინი არ ტყუოდა – სოციალიზმის თეორიამ ის სულ სხვა კაცად აქცია აქ, საქართველოში, იმპერიის ერთ–ერთ კოლონიაში და მერე კი, მთელ ამ უკიდეგანო იმპერიაში... „ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ დროების შვილნიცა“, ამბობს ილია და ის დროება კი ზუსტად ამ თეორიის აღზევების ხანა გახდა რუსეთშიც და ევროპაშიც...

მეორე ქართველი მამლუქი – ვარლამ ჩერქეზიშვილი სწორედ ევროპის მასშტაბით გახდა სოციალიზმის თეორიის იგივე ფანატი და მისთვის თავგადაკლული მებრძოლი, რაც სტალინი იყო რუსეთში. მათი გზები 1905 წელს გაიყარა, როცა რუსეთიდან გაქცეულმა ჩერქეზიშვილმა პარიზში გამოსცა წიგნი – ბესტსელერი რუსულ ენაზე – „Догматы Марксизма“, წიგნი, რომელმაც მთელი ევროპა აალაპარაკა, მაშინვე ითარგმნა ევროპულ ენებზე, შემდეგ კი ჩინურადაც... ეს იყო მარქსიზმისადმი საერთოდ, და განსაკუთრებით კი, ბოლშევიზმისადმი პირველი დიდი იდეოლოგიური დარტყმა. არსი მისი ეს იყო და ეს არი დღესაც: სახელმწიფო სოციალიზმს მომავალი არა აქვს – იგი მხოლოდ პაროდია გამოვა ბოლოს... მომავალი აქვს „არასახელმწიფოებრივ სოციალიზმს“, რომელმაც ამასთან, ძველი, მკაცრად ცენტრალიზირებული სახელმწიფოები ახლო, თუ შორეულ მომავალში თვითმართველურ ასოციაციებად უნდა გარდაქმნას...

იმავე ეპოქის მესამე ქართველი მამლუქი – ლავრენტი ბერია პირველი ორისგან განსხვავებით არ იყო თავგადაკლული მომხრე და მებრძოლი ამ თეორიისა, თუმცა სტალინის შემდეგ მხოლოდ მას შეეძლო ახალი სიცოცხლე მიეცა სოციალიზმისათვის, მაგრამ მას ერთი „ნაკლი“ ჰქონდა – ქართველი იყო... სტალინის შემდეგ ქართველს კი რუსული შოვინიზმი აღარ დაუშვებდა საბჭოთა იმპერიის სადავეებთან. ეს კარგად იცოდა ამერიკის დაზვერვამაც და ამიტომ იყო, რომ მიუხედავად დიდი მცდელობებისა, თვით ქართველი ემიგრაციის მეშვეობითაც კი (ჟორდანია, რამიშვილი, გეგეჭკორი), ბერია აშშ დაზვერვასა და ხელისუფლებასთან კავშირზე ვერ გავიდა – ამ უკანასკნელებს სტალინის შემდეგ კურსი უკვე ხრუშჩოვზე ჰქონდათ აღებული...

მაშ, ასე – XX საუკუნის 3 ქართველი მამლუქი და 3 სრულიად განსხვავებული ბედი: ვარლამ ჩერქეზიშვილმა უკანასკნელად გაიბრძოლა ბოლშევიკებთან 1921 წლის თებერვალში კოჯორთან და მერე დამარცხებული და დევნილი ლონდონში აღესრულა 1925 წელს... სწორედ ამ წლებში იწყებს თავის პარტიულ–სახელმწიფოებრივ კარიერას ბერია, ჯერ ბაქოში და ბოლშევიკების მიერ შექმნილ „ამიერკავკასიის კომისარიატში“, მისი გაუქმების შემდეგ კი, ეს კარიერა გრძელდება ჯერ საქართველოში, მერე კი, მოსკოვში... სტალინი კი ამ დროს „გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციას“ იღებდა და ერთდროულად ჰიტლერთან გადამწყვეტი შეჯახებისთვის ემზადებოდა...

ბედმა სხვანაირად დაამთავრა სამივეს ცხოვრება: გენერალსიმუსი სტალინი და მარშალი ბერია ქართველოფობობამ იმსხვერპლა ორივე 1953 წელს – ომში გამარჯვებულნი 8 წლის შემდეგ დამარცხებულნი გაშორდნენ ამ წუთისოფელს... რიგითი ვარლამ ჩერქეზიშვილი კი კოჯორთან დამარცხებული და საქართველოდან ევროპაში დევნილი, ევროპის გაერთიანებისა და აღორძინების ერთ–ერთი იდეოლოგი გახდა II მსოფლიო ომის შემდეგ...

ვირს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში სჩრიდნენო...

ბ–ნი ვალერიანი იხსენებს ლიკანში სტალინის მიერ იროდიონის ერთ მორიგ მოგონებას:

– იროდიონი, როდესაც თამადობდა, ხშირად იშველიებდა ხალხურ ანდაზებს და მათ სიბრძნეს ორგანულად ჩართავდა ხოლმე სადღეგრძელოში. ეს მისეული კახური ანდაზაც ვირზე ხშირად მახსენდება, როცა რაიმე პარადოქსზე მიხდება ლაპარაკი... ასე მოიქცა ტრუმენი ჩემთან:

– პოტსდამის კონფერენციის დროს ტრუმენმა სცადა თავისი თვალსაზრისი გამოეთქვა „საბჭოთა წყობილების დემოკრატიზაციის“ შესახებ. მე მკაცრად შევაწყვეტინე: „ჩვენ გვაქვს ჩვენი დემოკრატია, რუს ხალხს მოსწონს იგი და არ სჭირდება ჭკუის სწავლება, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან!“. ეს ისეთი ტონით ვთქვი, ისეთი ტლინკები მივაყარე პიტნის მოძულე ვირივით, რომ ტრუმენს ხმა აღარ ამოუღია ამის შესახებ...

ადრეც ვთქვი, რომ ბატონი ვალერიანი სოციალიზმის და საბჭოთა წყობილების არანაკლები ფანატი იყო, ვიდრე სტალინი, მაგრამ შევეცადე დამერწმუნებინა, რომ მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის დასავლური თვალსაზრისი იყო გაცილებით პროგრესული. თუმცა ესეც დავამატე – სტალინის ამ შეუვალი პოზიციის უკან იდგა ე.წ. „რუსული სული“, რუსეთის ისტორია და ტრადიციები, რომლებიც დღესაც განსაზღვრავენ სახელმწიფო მართველობის უკუღმართ სტილს თანამედროვე რუსეთში. ეს უნდა გავიგოთ კარგად, რადგან სტალინი, როგორც ქართველი მოიძულეს, მაგრამ მართველობის პრინციპები უცვლელად დარჩა...

და სწორედ აქ დამჭირდა ეს სტალინისგან მოწონებული ირონიონის ანდაზის სიბრძნე – სიმართლე: სტალინი ერთი მხრივ მართალი იყო ტრუმენთან, რადგან მის უკან მდგომი მის მიერვე ომის შემდეგ შერქმეული „დიდი რუსი ხალხი“ მართლაცდა არ საჭიროებდა ტრუმენის ჭკუის სწავლებას თუ როგორ ეცხოვრა. ტრუმენი სად იყო, როცა პეტრე I მოყოლებული დღემდე რუსეთში იყო „ზაპადნიკების“ მთელი მიმართულება, რომლის პოლიტიკური არსი რუსეთის დასავლური მიმართულებით განვითარება იყო. აქ კარგი იქნება კვლავ გავიხსენოთ დეკაბრისტები და ჯარისკაცებისთვის „კონსტიტუციის“ მათებური ახსნა – „კონსტიტუცია კონსტანტინეს ცოლია“ – ტახტი და მართველობა მათ ეკუთვნით და არა ნიკოლოზს...

მას შემდეგ კონსტიტუციას – „კონსტანტინეს ცოლს“ ერთი დღითაც არ უმართია რუსეთი. ცდები კი ბევრი იყო დასავლური მართველობის დანერგვისა, ყველაზე წარმატებული კი ჯერ კიდევ ილიას დროს, როცა კონსტიტუციური მონარქიის საკითხი დადგა აქტუალურად, მერე კი 1917 წლის თებერვალში, როცა „ზაპადნიკებმა“ კვლავ კონსტიტუციური მონარქიისკენ აიღეს გეზი, მაგრამ ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ რუსეთი ისევ „სლავოფილური პოლიტიკური ფილოსოფიის“ ტყვეობაში მოაქცია ... კონსტიტუციაც გიყვარდეთ, რამდენიც გინდათ იმდენი მიიღეს – ჯერ 1924 წელს „ლენინური“, მერე 1936 წელს „სტალინური“, მაგრამ რა – ვირს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში სჩრიდნენო, ყველა კონსტიტუცია და მასზე აგებული სახელმწიფო მართველობა რუსეთისთვის დღემდე ზედმეტი ბარგი აღმოჩნდა... ეს ფაქტი ხომ, თავისთავად ლაპარაკობს ყველაფერზე – კონსტიტუცია რუსეთში კანონთან კი არა, პიროვნებასთან ასოცირდება მუდამ...

დღევანდელ პუტინურ რუსეთშიც სწორედ ეს „სლავოფილური პოლიტიკური ფილოსოფია“ ბატონობს, დღესაც დასავლეთი, დასავლური დემოკრატია და სახელმწიფო მართველობა საფრთხობელაა მათთვის, ისე, როგორც პიტნა ვირისთვის, არ ეპიტნავებათ, მორჩა და გათავდა...

გენეტიკა მართლაც რომ უკვდავი რამ არის, მას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის... ვერ შეცვლის იმასაც, რასაც ლენინის ფორმულირებით სლავოფილობაზე დაფუძნებული „დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმი“ ჰქვია...

ისტორიული ჭეშმარიტება ესაა და მას თვალის გასწორება და გათვალისწინება უნდა. ამიტომ თხოულობდა რუსეთთან უაღრესად ფრთხილ და მოქნილ პოლიტიკას. ილია – იცოდა ვისთან და რასთან ჰქონდა საქმე...

პარადოქსების კორიანტელი...

„ორმაგი სტანდარტები“ დღევანდელ პოლიტიკაში უაღრესად გავრცელებული ტერმინია და მას ხშირად ხმარობენ მაშინ, როცა მოწინააღმდეგე

მხარის ტყუილში და ბოროტგანზრახულობათა მხილებაში უნდათ ასეთი პრინციპით – ჩემი შენ მითხარიო... ამის ყველაზე დიდი ოსტატები პუტინი და ლავროვია, ბოლო მაგალითი კი, ყირიმის ანექსია: თურმე ნუ იტყვით, ამით აღსდგა „ისტორიული სამართლიანობა“ – ყირიმი ხომ, **„ოდითგან რუსეთის ტერიტორიაა!“**, მაშასადამე, იგი თავის „ისტორიულ სამშობლოს“ დაუბრუნდა...

კი, მაგრამ, ბატონო სიცრუის დიდოსტატებო, 1783 წლამდე ვისი ტერიტორია იყო და რა სტატუსი ჰქონდა ყირიმს? ანდა, შორს რომ არ წავიდეთ რატომ გავიწყდებათ „სოჭი“ და „ჯიქეთი“ ვისი ტერიტორია იყო 1918 წლამდე? ან, კიდევ, აფხაზეთი და სამაჩაბლო ვისია დღეს? ოსებსა და აფხაზებზე რომ ზრუნავთ (მათი „ეროვნული იდენტობის გადარჩენისთვის“, ყირიმელი თათრები რათ გავიწყდებათ), ანდა ჩრდილო კავკასიის, ვოლგისპირეთის, ურალის, ციმბირის ხალხები? ანდა, კალინინგრადი (კენისბერგი), სახალინი და კურილიის კუნძულები ვისი „ისტორიული ტერიტორიებია ოდითგან“ – იქნებ გაიხსენოთ?!...

ერთი სიტყვით, არ აქვს საზღვარი „რუსულ პარადოქსებს“, ოდითგან რომ მოსდევს მის ისტორიას ვარიაგებიდან და მონღოლებიდან მოყოლებული დღემდე... პარადოქსი ვის და რას არ ახასიათებს ამქვეყნად, მაგრამ იმპერიული დოზით კი, – არავის და არაფერს. აქ მინდა ერთი მაგალითიც მოვიყვანო ჩემი პირადი გამოცდილებიდან: როდესაც სადოქტორო დისერტაცია დავიცავი მაშინ საკმაოდ „მიუღებელ“ თემაზე და თანაც ქართულ ენაზე – „აშშ ფორმირების ისტორიული, ეთნიკური და იდეოლოგიური თავისებურებანი“, სამეცნიერო ხარისხის დასამტკიცებლად ე.წ. „ВАК“–ში გამომიძახეს. ამ მაშინდელი ე.წ. „უმაღლესი საატესტაციო კომისიის“ დამტკიცების გარეშე არცერთი სამეცნიერო ხარისხსა და წოდებას ძალა არ ჰქონდა და ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკიდან“ ყველას ეს ბარიერი აუცილებლად უნდა გადაგველახა...

ჯერ ხომ, ნაწილ–ნაწილ დისერტაციის ყველა თავი მათარგმნიეს რუსულად და მარტო ამაზე ათჯერ მაინც ჩამიყვანეს მოსკოვში, ვითომცდა არ შეიძლებოდა თარგმნის მოთხოვნა წერილობითი მიმართვით. ეს არაფერი, მთავარი პარადოქსი მოხდა 4 წლის შემდეგ, როცა კვლავ მერამდენედ გამომიძახეს და გამომიცხადეს – თქვენმა სამეცნიერო საბჭომ თემა არასწორად დაგიმტკიცათ და ხარისხზეც ამიტომ უარი გეთქვათო. ჩემთან ერთად მაშინ გამოძახებული იყო ცნობილი ისტორიკოსი–მკვლევარი მიხეილ გაფრინდაშვილი (მასაც უარი ეთქვა დამტკიცებაზე) და უნდა გენახათ ჩვენი საპროტესტო რეაქცია რომ იტყვიან, – ერთ ნაბადად ესეც ღირდა, – გული ვიჯერეთ მათი ლანძღვით, თქვით პირდაპირ მაინც, ქართველები რომ ხართ, იმიტომ არ გიმტკიცებთო – აბა, ჩვენს თვალწინ როგორ დაუმტკიცეთ რუსეთის უკლებლივ ყველა უნივერსიტეტის დოქტორანტებს – შოვინიზმი მეტი კი არაფერია და ა.შ.

ამ პროტესტის კულმინაცია კი ის იყო, რომ ჩემს ბრალდებაზე – თუ თემა არ მოგწონდათ, რაღას ჩამოგყავდით აქ ამ 4 წლის მანძილზე და დისერტაციაც თავიდან ბოლომდე რაზე მათარგმნინეთო, ცინიკურად მიპასუხეს – ხომ უნდა

გაგვეგო როგორ აქებდით ამერიკას, რა გაუგებარია ეს ჩვენი თარგმანის მოთხოვნაო... აქაც გული იმით ვიჯერეთ, რომ პირში მივახალეთ – თქვენ ახლა ჩვენსას ვერ გაიგებთ, მხოლოდ მაშინ გაიგებთ ამას, როცა ერთ მშვენიერ დღეს პეკინში გამოგიძახებენ დისერტაციების სათარგმნელად და დასამტკიცებლად...

პარადოქსების პრობლემა, რა თქმა უნდა, მარტო ამით არ ამოიწურება. მთელი საბჭოთა სისტემა და კომუნისტური იდეოლოგია ხომ, პარადოქსია ერთიანად, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ინერციით გადმოგვეცა ცხოვრების ყველა სფეროში დღესაც... რამდენიც გინდა თავი მოვიკატუნოთ, საბჭოთა მმართველობის ეს რეციდივები და პრინციპები დღესაც გვახსენებენ თავს ცხოვრების ყველა სფეროში. ეს მოვლენაც პოეტურად გააზრებული, მინდა აქ შემოგთავაზოთ – იქნებდა მომავალმა თაობებმა მაინც შეძლონ ამ „პარადოქსების კორიანტელიდან“ თავის დაღწევა:

ბავშვობიდანვე ყველაფერს რომ
უკუღმა ვხედავთ,
მერე და მერე
უკუღმა აზრი, უკუღმა საქმე
ჩვევად დაგვჩემდა,
უპირობო რეფლექსად გვექცა:

– გმირის თუ ლაჩრის,
ერთგულის თუ მოღალატის,
პარაზიტობის და შრომა–გარჯის,
ნიჭიერება–უნიჭოების
უკუღმა ხედვა...

გამრჩევი რომ არავინ არის
ავის და კარგის,
პარადოქსების კორიანტელიც
ამიტომ არის...

ილიას სარკაზმი და მისი კრიტიკის ძალა საყოველთაოდ იყო ცნობილი და პარადოქსების ამ თემაზეც მას არაერთი გამონათქვამი აქვს. ეს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება მესამედასელებთან პოლემიკაში, მათგან კი, ყველაზე მეტად ნოე ჟორდანიას – „ქართველი მარქსის“ სხვადასხვა ეპითეტებით დახასიათებაში. ილია მაშინვე მიხვდა, რომ რუსეთიდან ხელოვნურად დანერგილი „უცხო ბაძის იდეოლოგია“ სიკეთეს არაფერს მისცემდა ქვეყანას...

– მე ამას ვეღარ მოვესწრები...

ბ–ნი ვალერიანი იხსენებს:

– ხშირად ხდებოდა ხოლმე, როცა სტალინი ორიოდე ფრაზით გამოხატავდა თავის აზრს ამა თუ იმ საკითხზე. ამ მხრივ მეხსიერებაში ჩამრჩა ილიას იუბილესთან დაკავშირებული ეს მისეული მოკლე მონოლოგი:

– ილიას 120 წლის იუბილეს სხვებიც მოჰყვება – 130, 140, 150, მერე კი მწამს – ილია დავიწყებას არასოდეს მიეცემა – ის ხომ **„საქართველოს თანამდევი უკვდავი სულია“** ... 130 წლის და შემდგომი იუბილეები უკეთესად უნდა ჩაატაროთ, ილია ჯერ კიდევ შესასწავლია... მე იმ იუბილეებს ვეღარ მოვესწრები, მაგრამ ამ იუბილეს კი აუცილებლად გრანდიოზული ხასიათი მინდა მივცეთ. ეს თქვენ გჭირდებათ და არა ილიას...

აბა, თქვენ იცით, – ეს ჩემი განსაკუთრებული დავალებაა შენზეც და კეცხოველზეც: ყველა დარგის მეცნიერები ჩართეთ საიუბილეო სამზადისში, ჩემს ყოველ ჩამოსვლაზე იცოდეთ, ანგარიშს ჩამაბარებთ...

„მსოფლიო საბჭო“ და „მსოფლიო პრეზიდენტი“

– ილიას ძალა და სიდიადე მარტო ქართველობით და საქართველოთი არ განიზომება. კარგად მახსოვს ილიასთან ერთ–ერთი ბოლო შეხვედრა ირიდიონთან ერთად. იაპონიასთან ომი ახალი დამთავრებული იყო და ილიაც ომების თემას შეეხო:

– ვინ მოთვლის რამდენი ომი გადაიტანა კაცობრიობამ, ჩვენს ერსაც რამდენი ომი აქვს გადატანილი და ჩვენზე კარგად ვინ იცის მისი კაცთმოძულური ბუნება და მშვიდობის ფასიც... აკი, მისალმებაშიც აისახა ეს – „დილა მშვიდობისა“! „მშვიდობა მოგცეს ღმერთმა!“...

– „არა კაც ჰკლა!“, გვეუბნება ქრისტე, მაგრამ რაც დრო გადის, ერთმანეთზე უფრო მძლავრი იარაღებით ვსპობთ ერთმანეთს მიწაზე, ზღვაში თუ ცაში... ვეღირსებით კი ოდესმე მშვიდობის სუფევას დედამიწაზე, თუ თვითმკვლელობამდე უნდა მივიდეს კაცობრიობა მაინცდამაინც...

– ამაზე ბევრი მიფიქრია და რატომღაც ამ ფიქრში ჩვენი ძველი „კომლი“ გავიხსენე – ის ხომ, უაღრესად ორგანიზებული იყო არა მარტო როგორც სოფლის ადმინისტრაციული და სამეურნეო ერთეული, არამედ მშვიდობის მყოფელობის საშუალებაც. სოფლის და თემის სხვადასხვა კომლები აგვარებდნენ ნებისმიერ წინააღმდეგობას „შუა კაცების“ საშუალებით. ეს „შუა კაცები“ კი სისხლით მონათესავე მოცემული გვარის დაბრძენებულ–დაღვინებული წარმომადგენლები იყვნენ, ისეთები ვისაც ჭკუაც მოეკითხებათ და პასუხისმგებლობაც. მათ „ერთა საბჭოსაც“ ეძახდნენ და მათი ხმა და სამართალი უცილობლად სრულდებოდა...

ამიტომაა ჩვენს ისტორიაში ძალიან იშვიათად თუ ნახავთ შინა – ბრძოლებს და აჯანყებებს...

– სოფლისა და თემის მსგავსად, ეს ჩვენი მსოფლიოც ხომ ცალკეული ერებისა და რეგიონებისგან შესდგება, ჭკვიანი და პასუხისმგებლობის მქონე ხალხიც, მადლობა ღმერთს, ყველგანაა და თავი უნდა მოუყარონ მათ „მსოფლიო საბჭოში“, რომლის გადაწყვეტილება მისაღები უნდა გახადონ ყველასთვის. ამ „მსოფლიო საბჭოში“, ისე როგორც ჩვენს „ერთა საბჭოში“, ყველასათვის სავალდებულო სამართალი უნდა შექმნან და სავალდებულო გახადონ მათი აღსრულებაც...

– ილია რომ მსოფლიო რანგის მოაზროვნე კაცია, აქედანაც ჩანს – მან ხომ თავისი „საპოლიტიკო მიმოხილვით“ ეპოქას გაუსწრო... „ერთა ლიგა“ თითქოსდა, ეს ილიასეული „ერთა საბჭო“ იყო, ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ რომ დააფიქსირა ლელთ ღუნიას პირით, მაგრამ უდღეური კი აღმოჩნდა... ახლა ვნახოთ ეს ახალი „მსოფლიო საბჭო“ – გაერო რას იზამს – იქნებ მან შეასხას ხორცი ილიას იდეას...

– მაგრამ რაც არ უნდა იყოს, იდეა ხომ იდეად რჩება და ერთხელაც იქნება აღსრულდება. მთავარია, რომ თვითონ ეს იდეაა ჭეშმარიტი და ცხოველმყოფელი. აი, რატომ ვამბობ ილიაზე მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა – მეთქი. ასეთი მოაზროვნენი ახლა იშვიათად იბადებიან ჩვენშიც და მსოფლიოშიც...

ომისა და მშვიდობის პრობლემა „ილიალოგთა კლუბში“ ჩვენ სპეციალურად განვიხილეთ ზოგადადაც და მასზე ილიას თვალსაზრისითაც. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე ილიას გარდა, არაერთ მაშინდელ მოაზროვნეს აქვს თავისი თვალსაზრისი გამოთქმული. არჩილ ჯორჯაძეს, ვაჟა–ფშაველას, ნიკო ნიკოლაძეს. საამაყოა, რომ ამ უკანასკნელმა სადოქტორო დისერტაციაც კი დაიცვა ჟენევაში ამ თემაზე... ქართველ კაცს, მის ფიქრს და აზროვნებას თან სდევს ეს დილემა ისტორიულად და ამ მუდმივ ქართულ საფიქრალს ჩვენც გამოვეხმაურეთ პოეტურად, რაც „ილიალოგთა კლუბის“ სხდომაზეც გავაჟღერეთ მაშინ:

არცერთი საიდუმლო
არ მაღელვებს ისე –
მიწის გულიდან
თვით უშორეს გალაქტიკამდე,
როგორც რომ ეს:
რატომ ეძებდა სულ პირველი ადამიანი
გულის სიგრძეს და გულის სიგანეს –
მარჯვნივ, თუ მარცხნივ
ძუძუს თავთან,
თუ ოდნავ დაბლა...

– მზაკვრული მიზნით
თუ სიყვარულით,
სიკეთისა თუ ბოროტი ჟინით?!...

„გაქვავებული პრეისტორიული ხვლიკის თავი“

მახსოვს 1987 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლის იუბილისადმი მიძღვნილ „ილიალოგთა კლუბის“ სხდომაზე ბატონ ვალერიანს ასეთი ცოტა არ იყოს გამაღიზიანებელი კითხვა დავუსვით: გრიგოლ რობაქიძემ სტალინი „გაქვავებული პრეისტორიული ხვლიკის თავს“ მიამსგავსა. მას ასეთი შედარება გასჩენია, როცა მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს სტალინს შეხვედრია. თქვენ მრავალგზის შეხვედრიხართ და გისაუბრიათ სტალინთან და რას იტყვით ამ რობაქიძისეულ შედარებაზე?...

ჩვენდა გასაკვირად ბ–ნი ვალერიანი ამ კითხვამ და შედარებამ სრულებითაც არ გააღიზიანა, პირიქით თავისებური სტიმულიც მისცა ამ მიმართებით სტალინის ფიზიონომიის დასახასიათებლად:

– „პრეისტორიულ ხვლიკზე“ რა მოგახსენოთ – ნებისმიერი შედარება ხომ, სუბიექტური და პირობითია... მე ასეთი შედარება მთელი იმ აგვისტოს განმავლობაში არ მომსვლია თავში, მაგრამ „გაქვავებული“ სახე სტალინისა კი დამინახავს... როცა ის რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრდებოდა, ირგვლივ აღარავის ამჩნევდა და მართლაც სახე მთლად გაუქვავდებოდა. ეს უფრო პოსკრებიშევის მიერ შემოტანილი რაიმე დოკუმენტის კითხვისას შემიმჩნევია...

– მე არ ვიცი სპექტაკლის ყურებისას შეიძლება რობაქიძემ ასეთ პოზაშიც ნახა სტალინი, მაგრამ ეს „ხვლიკის თავი“ კი, მისი ფანტაზიის ნაყოფია... ისე, ჩემო კარგებო, გერმანიაში ჰიტლერი რომ ნახა, რატომ მაშინ არ მოუვიდა თავში ეს ფანტაზია, ის ხომ კარგად ნახა, რომელმა თავმა აჯობა მერე?!... ისე კი, ჩემო კარგებო, ესეც ხომ კარგი ნათქვამია – ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს – მღვდლის ცოლი...

ასე იუმორისტულ სტილში დაამთავრა პასუხი და სხვა მსგავს შემთხვევებშიც, როცა ბ–ნ ვალერიანს სტალინზე ასეთ „პროვოკაციულ“ კითხვებს უსვავდნენ, დინჯად და ამავე დროს, შემრიგებლური ტონით ამავე აფორიზმით პასუხობდა „ანტისტალინელებს“:

– თქვენ ხომ, ახლა ჭკუით გატენილი და ქვეყნის აღმშენებელი თქვენი საყვარელი კუმირები გყავთ, ცამდე რომ აგყავთ და აღმერთებთ, ვინ გიშლით, – ისინი გიყვარდეთ, ისინი გააღმერთეთ და მათზე ილოცეთო – ნიშნისმოგებით და მისეული მოფერებით, – „ჩემო კარგებო“, მოგვმართავდა ბოლოს...

„რომანოვების სასახლე“...

უკლებლივ ყველა, ვინც ლიკანში სტალინს ესაუბრა, ერთხმად აღნიშნავს „რომანოვების სასახლით“ მის აღტაცებას. ბ–ნი ვალერიანი იხსენებს:

– შევესწარი აკაკი მგელაძესთან ასეთ საუბარს – აი, აფხაზეთის კურორტებზეც ასეთი ტიპის დასასვენებელი სახლები უნდა აშენდეს, რა, თუ იტალიელმა არქიტექტორებმა შექმნეს და ააშენეს ეს 1895 წელს, ჩვენ რატომ ვერ შევძლებთ ამას დღეს?... ისე კაცმა რომ თქვას, რომანოვებს კარგი გემოვნება ჰქონიათ – შესანიშნავი სასახლეა, ადგილი და გარემოც ხომ სამოთხისებურია, მარტო ბულბულების გალობის მოსმენა რად ღირს, თუმცა კი, მისით ტკბობა დიდხანს არ დასცალდათ...

– გავუბედეთ და შევეკითხეთ მაშინ მოარულ ხმებზე – რომანოვების მთელი საგვარეულო ოჯახის დახვრეტის შესახებ...

– სამოქალაქო ომის დასაწყისშივე მოხდა ეს – ურალში დახვრიტეს კაციან – ქალიან – ბავშვიანად... ისედაც ბევრ ცოდვებს მაბრალებენ და მომავალში ხომ, ათასჯერ მეტს ამკიდებენ, მაგრამ სიმართლე ის არის, რომ მაშინ მათი დახვრეტა მომხდარი ფაქტის შემდეგ გავიგე – ტროცკი იყო წითელი არმიის მთავარსარდალი და ლენინთან ერთად გადაწყვიტა მათი დახვრეტა. მე კიდეც შინაურულ წრეში ვთქვი – ლენინის მესმის კიდევ, ძმა ჩამოუხრჩეს, ტროცკი რაღამ გააბოროტა ისე, რომ ბავშვებიც არ დაინდო – მეთქი... ამბავი მიეტანათ და იმის შემდეგ კიდევ უფრო გადამეკიდა...

რეპრესიების რეკორდსმენები...

– მთელი 20–30–იანი წლები სამკვიდრო–სასიცოცხლო ბრძოლის წლები იყო, დაუნდობელი და სისხლისმღვრელი. ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ყველაზე ნაკლები წვლილი აქ მე მაქვს... ამ ორიოდე წლის წინათ პოსკრებიშევმა პარიზში გამოცემული წიგნიდან სტატისტიკა მომიტანა – ვინ შექმნა ჩვენთან პირველი „ლაგერები“, ვინ შემოიღო მასობრივი დახვრეტები და ერთი სიტყვით, ვინ არის ოქტომბრის შემდეგ ჩვენში რეპრესიების რეკორდსმენი. რა აღმოჩნდა თუ იცით – ლენინი და ტროცკი ლიდერობენ უპირობოდ არა მარტო აქ, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. არაერთხელ გამიგონია – სამოქალაქო ომის დროს ტროცკი თეთრგვარდიელებს ტყვედ არ იყვანდა – ამდენი ლაგერები სადა გვაქო და ადგილზე ხვრეტავდა ერთიანად...

– რეპრესიები რა თქმა უნდა, ლენინისა და ტროცკის შემდეგაც იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ტროცკისტებმა კიროვი მოკლეს... მაგრამ აბა, ერთი ჩემი ხელმოწერა ნახონ სადმე დახვრეტის ბრძანებებზე, ლენინის და ტროცკის კი, რამდენიც გინდათ. რაკი რეკორდებზე ჩამოვარდა სიტყვა, მარტო

1918 წლის შემოდგომაზე ლენინის ხელმოწერით 400 ათასი კაცი დახვრიტეს – ეს მსოფლიო რეკორდად ითვლება, როგორც ამას პოსკრებიშევი მარწმუნებს, მაგრამ ეს ხომ, ლენინს ეხება და არა მე...

– ვალიკო, შენ უმცროსი ხარ შედარებით, მაგრამ აი, მგელაძე კი, 30–იან წლებში კომკავშირელი აქტივისტი იყო და კარგად ემახსოვრება რა საგიჟეთი იყო მაშინ – ერთმანეთს ასწრებდნენ დაბეზღებას, მეზობელი – მეზობელს, ნათესავი – ნათესავს, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოლი – ქმარს... ეჟოვმა მთელი სახელმწიფო სისტემა შექმნა ამისგან... მართალი იყო ჩერქეზიშვილი, როცა ამბობდა – სახელმწიფო თრგუნავს და კლავს ადამიანს ფიზიკურად და სულიერადაცო...

– ეჟოვი კი გადაყვა ამ თავისსავე ქმნილებას, მაგრამ ეს სისტემა კი დარჩა და ინერციით აგრძელებს თავის საქმეს დღესაც – როგორც ჩანს, სახელმწიფოც ამის გარეშე ვერ იარსებებს. დაბეზღების ზღვა კვებავს ამ სისტემას... ბერიამ საქართველოდანაც უთვალავი მასალა ჩამოიყოლა ერთმანეთზე დაბეზღების – გამსახურდია აბეზღებს ჯავახიშვილს – „გერმანელების აგენტიაო“ – დაუჭერიათ ამ ერთი დაბეზღებით, იგივე დამართეს შალვა ნუცუბიძეს და ათასს სხვას... შალვა გადავარჩინე დახვრეტას, ბევრი სხვაც, მაგრამ როცა ბერიას ჯავახიშვილზე შევეკითხე, სადა გყავთ – მეთქი, დაუხვრეტიათო და რომ ვიფეთქე – „არსენა მარაბდელის“ დამწერი როგორ შეიძლება ჩვენი კლასობრივი მტერი ყოფილიყო, თავხედურად მიპასუხა – თვითონ უკისრია, აგენტი ვარო...

– მე თვითონ ვაპირებ შევქმნა კომისია და დაე, გამოიძიონ 1917 წლიდან დღემდე ვის რა წვლილი აქვს რეპრესიებში, სანამ ყველაფრის კვალს წაშლიან და გააყალბებენ. ისტორიას სიმართლე უყვარს და აქაც უნდა ითქვას ეს...

რა არის „ჭეშმარიტება“?

– ჭეშმარიტება არის ის, რაც სასარგებლოა ჩემთვის ამ მომენტში – ამბობს პრაგმატიზმი და მართალიც არის... კაციც და ხალხიც მხოლოდ ამით მოდის და ამით ივლის წარმატების და გამარჯვების გზით მომავალშიც...

ყველა კაცს და ყველა ეპოქას თავისი **„ჭეშმარიტება“** აქვს. ძალზე ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, ყველას სიმართლის მოძიება – ამ უთვალავ სიმართლეთა ჯუნგლებში გზის გაკვალვა. ამანაც ჩემში ასეთი პოეტური აღქმა ასაზრდოვა, რომელსაც სათაურად მივეცი – „წადი ახლა და ეძიე ყველას სიმართლე“:

სხვას რაღას სწვდები,
სხვის წარსულში რას იქექები,
რაკი მოხვედი ამქვეყანაზე,
სიმართლის თქმა არ სჯობია
სხვა ყველა სათქმელს?!...

ეს სიმართლეც, რომ
ყველასი ერთად და
ყველა ცალკ–ცალკე
საკუთარი გვაქვს:

მე – ჩემი,
შენ – შენი,
იმას – თავისი...
წადი ეხლა და
ეძიე ყველას სიმართლე..

მართლაც ძნელია ყველასი და ყველაფრის საერთო სიმართლის მოძიება, ერთადერთი ისტორია ახერხებს ამას, ის და მხოლოდ ის აძლევს შთამომავლობას ჭეშმარიტების ნამდვილ აღქმას:

სხვა ჭეშმარიტება ჰქონდა გიორგი II და სხვა მის შვილს – დავით აღმაშენებელს... ამიტომაც სულ სხვანაირად იცხოვრეს ორივემ, სხვა გზით იარეს, სხვანაირი გზა–კვალი დაატყვეს ორივე მამა–შვილმა ისტორიასაც და ერსაც და ქვეყანასაც... თავ–თავიანთ წილხვედრ წუთისოფელსაც სხვადასხვა **„ჭეშმარიტებით“** უხადეს ხარკი...

ერეკლე მეფემაც თავისი ჭეშმარიტი გზით იარა, ამ სიმართლისთვის არასოდეს უღალატია ბრძოლის დროსაც და როცა სადაო საქმეებს არჩევდა – სადაო ვენახი ხომ თავადს ჩამოართვა და გლეხს მიაკუთვნა იმიტომ, რომ სამართლის ძალით მას ეკუთვნოდა... ერეკლე მეფის **„ნაკლები ბოროტების“** გადაწყვეტილების არსიც ის იყო და ის არის, რომ მან მაშინ ერს და ქვეყანას მომავლისთვის არსებობა–განვითარების გზა გაუხსნა... ჭეშმარიტებაც მაშინ ეს იყო... დიდი ეროვნული სიმართლე და ჭეშმარიტება...

გავიდა 100 წელი და დრო – ჟამმა ახალი ჭეშმარიტების ძიება – დადგენის პრობლემა დასვა. ეს საქმე განგებამ ილია ჭავჭავაძეს დააკისრა, რაც მან ბრწყინვალედ განახორციელა – მოიძია ის იდეები და პრინციპები, რომელთა სისტემურმა ერთობლიობამ **„საერთო ნიადაგის“** თეორია მოგვცა. ეს თეორია არის თანამედროვე საქართველოს ის ჭეშმარიტება, რომელიც სარგებელს და განვითარების ახალ დიდ ასპარეზს მისცემს ხალხს და ქვეყანას. ოღონდ, საქმედ ქცევა უნდა მას... ჭეშმარიტებადაც მხოლოდ მაშინ გახდება ის...

გავიდა კიდევ 100 წელი და იმ ძალამ, რომელმაც ილიას **„საერთო ნიადაგს“** და მის ჭეშმარიტებას გზა გადაუკეტა, სრული კრახი განიცადა. ამის სიმპტომები აშკარად გამოჩნდა II მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე... XIX – XX საუკუნეების ეროვნულმა იდეებმა ახალი ძალა და სიცოცხლე შეიძინეს მოჩვენებითი „სოციალური სამართლიანობის“ ნაცვლად... პარადოქსიც ისაა, რომ ამ ახალი ჭეშმარიტების და **„ილიას გზის“** მაღიარებელი მისივე უარმყოფელი

აღმოჩნდა. ასეთი პარადოქსიც ხდება ხოლმე, ილიას **„ოთარაანთ ქვრივისა“** არ იყოს, – **„ამ უთავ–ბოლო და უსწორ–მასწორო წუთისოფელში“...**

გავა კიდევ 100 წელი და ახლა იმ დრო–ჟამის და ეპოქის თაობებს მოეკითხებათ, თუ რით და როგორ უპასუხეს წინა საუკუნეთა ჭეშმარიტებას... დიახ, ბევრია, ძალიან ბევრია ჭეშმარიტება ამქვეყნად და ამიტომაც იმარჯვებს ხოლმე ის ჭეშმარიტება, რომელიც სხვათა ჭეშმარიტებაც ხდება. ნებისმიერი ახალი ეპოქაც ასე იწყება, გამარჯვებაც ამით იჭედება... **„სიტყვა გადვაგდე ხალხშია“** – კარგად თქვა ვაჟამ და ჩვენც ილიას მიერ „გადმოგდებული“ სიტყვა საერთო – სახალხო ჭეშმარიტებად უნდა ვაქციოთ...

„ქართლის ცხოვრება“ კი ძველებურად აგრძელებს თავის ნარ–ეკლიან გზას „ოქროს ხანის“ შემდეგ. თითქმის 800 წლიანი „ძნელბედობის“ ამ გზაზე მან ერთი მეტად სიმბოლური ფორმულა შეიმუშავა – **„ახლად შენება საქართველოის“ ...** დღესაც ეს „ახლად შენების“ ჟამი უდგას მას. მხოლოდ ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპებით არის შესაძლებელი ღირსეულად უპასუხოთ „ახლად შენების“ ამ გამოწვევას ახალი საუკუნის და ახალი ათასწლეულის თაობებმა. საქართველოს და ქართველი ერის ჭეშმარიტებაც მაშინ დადგება...

გორბაჩოვიდან ელცინამდე, ელცინიდან პუტინამდე...

ისტორია კი, კვლავაც მიდის, მიდის კი არა, ამ ახალ საუკუნეში მირბის მართლაც რომ. მე არ ვიცი, როგორ გაიქცევა იგი ამ საუკუნის შემდეგ ახალ ათასწლეულში, მაგრამ მან XXI საუკუნეში ფეხს რომ გვარიანად აუჩქარა, ფაქტია, ფაქტია ისიც, რომ ქართველებმა მაინცდამაინც ფეხი კარგად ვერ აუწყეთ მას, ფეხმოტეხილი ცხვარივით აშკარად ჩამოვრჩით ფარას...

ეს ფეხის აჩქარება მსოფლიო ისტორიას აშკარად დაეტყო 70–იან წლებიდან, როცა ადამიანი პირველად გასცდა მშობლიურ დედამიწას. მთვარეზე მისი პირველი ნაბიჯები მართლაც აღმოჩნდა **„კაცობრიობის უდიდესი ნაბიჯი პროგრესისკენ“,** როგორც იქიდან ამსტრონგმა აქ მყოფებს გადმოგვძახა...

მაგრამ ესეც ხომ, საკითხავია, ილიასი არ იყოს, – რა არის ეს „პროგრესი“?... 70–80–იან წლებში, განსაკუთრებით გორბაჩოვის „პერესტროიკის“ ჟამს, ჩვენთან, „ილიალოგთა კლუბში“ მთელი დისკუსიები გაიმართა ამ თემაზე. XX საუკუნე იწურებოდა და ჩვენც ყველას გვაინტერესებდა როგორ შეიძლებოდა მისი შეფასება. ახლაც ბევრნი აღმოვჩნდით „ანტიპროგრესისტები“, რომელთაც თვიაონ ეს ცნება – „პროგრესი“ განვლილ XX საუკუნეში ილიას XIX საუკუნის მსგავსად, ბევრი კითხვის ნიშანს სვავდა. აკი, ჯერ კიდევ რუსთაველი ამბობდა იმ ათასწლეულის დასაწყისში – **„რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?“...**

და მართლაც, ამ რუსთველური შეგონებისა არ იყოს, რაღაა ეს ასე ამოჩემებული „პროგრესი“, რომელსაც ამდენი „რეგრესი“ ახლავს თან? ადამიანის ცხოვრების რა სფეროც გინდა ავიღოთ, ყველგან ამ პროგრესს რეგრესიც მოსდევს პარალელურად. აქ მარტო ეკოლოგია, ან, ზნეობა არ მაქვს მხედველობაში. ყველაზე საკვეხარი მეცნიერულ–ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესიც რომ ავიღოთ, მას იმდენი „ბნელი“ მხარეები ახლავს თან, რომ შეიძლება მალე თვით კაცისა და კაცობრიობის ნორმალური არსებობისა და განვითარების პრობლემაც კი დადგეს დღის წესრიგში...

მაგრამ ესეცაა – ისტორია ხომ, ჩვენ არაფერს გვეკითხება – ის მიდის, ახლა კი, როგორც ვთქვით, მირბის და მირბის... პრობლემაც ის არის, რომ ამ სირბილში განსაკუთრებით გვჭირდება ჭკუით ყოფნა – სწორი და შეუმცდარი, ყველაფრით აწონ–დაწონილი და გააზრებული პოლიტიკა, რომ ისტორიის დიდ და საშიშ მოსახვევებში არ გადავიჩეხოთ სადმე უფსკრულში. პოლიტიკას კი, განსაკუთრებული ნიჭი უნდა, მილიონებში ერთს თუ აქვს იგი. ამის მეტს რას გვიმტკიცებს ისტორია, ჩვენიც და სხვისიც...

სამწუხაროდ, არ აღმოგვაჩნდა ასეთი ნიჭი და რაც მთავარია, ისიც კი ვერ გავიგეთ რა არის ჩვენთვის ეს „სწორი“ პოლიტიკა დღევანდელი საქართველოსთვის. არადა, ისეთი თავბრუდამხვევი ტემპებით განვითარდა და ვითარდება დღესაც მოვლენები, რომ შეცდომებს რამდენსაც გინდათ იმდენს ჩაიდენს პოლიტიკურ ნიჭსა და უნარს მოკლებული კაცი...

მახსოვს 1987 წელი. საბჭოთა კავშირი აშკარა აგონიაში იყო. ავღანეთის ავანტიურამ მისი სამხედრო–პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და იდეოლოგიური კრიზისი, პლიუს სრული საერთაშორისო იზოლაცია მომხდარ ფაქტად აქცია. ის, რაც ვიწინასწარმეტყველეთ 10–15 წლის წინანდელ დისიდენტურ გამოცემებში, განსაკუთრებით, „იმპერიის ისტორიულ ბედში“, უკვე რეალობა გახდა... ამ წელს შესრულდა ილიას დაბადებიდან 150 წელიც და „ილიალოგთა კლუბმა“ ათასგვარი ღონისძიებები დავსახეთ მისი მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის. „პერესტროიკამ“ იმის საშუალებაც მოგვცა, რომ ლეგალურად გამოგვეყენებინა ეროვნული პროგრამის მთელი რიგი თეორიული საკითხებიც, მათ შორის ჟურნალ „მნათობში“ ჩემი სტატიაც, რის გამოც საყვედურიც კი მივიღე კათედრიდან – ილიას მემკვიდრეობაში სოციალური რატომ დააკნინეო – კომუნისტური ინერციით ეროვნული ჯერ კიდევ მეორე ხარისხოვან მოვლენად ითვლებოდა...

ერთი სიტყვით, გორბაჩოვის „პერესტროიკა“ დამთავრდა იმით, რითაც უნდა დამთავრებულიყო... დაიწყო ელცინის ეპოქა – რუსეთის იმპერიის მორიგი ცდა „გაევროპულიყო“. ევროპა და ამერიკა ყოველნაირად ცდილობდნენ ბოლომდე მისულიყო ეს პროცესი, მაგრამ რუსეთის „გაევროპელობის“ ეს მორიგი ცდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მსგავსად, მარცხით დამთავრდა. ესეც

სწორედ რომ ისტორიული კანონზომიერებაა რუსეთისათვის – არა შეჯდა მწყერი ხესა, ტყუილა ხომ არაა ნათქვამი...

დადგა საქართველოსთვის გამოცდის მძიმე ჟამი. ჩეჩნეთის შემდეგ რუსეთმა ჩვენთვისაც მოიცალა და სააკაშვილის პროვოცირებასაც რა უნდოდა – იმპულსური პოლიტიკა ხომ, ამისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის და გამსახურდიას შემდეგ საქართველომ კიდევ ერთი დარტყმა მიიღო რუსეთისაგან. რასაკვირველია, რუსეთთან დაპირისპირება და ომი არც გამსახურდიას დროს, არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის დროს არ დაწყებულა. თუ გნებავთ ის ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო „ტოტლებენის ექსპედიციით“, კრწანისის ტრაგედიაც ხომ, ფაქტიურად რუსეთის პროვოცირებით მოხდა და საქართველოს დაპყრობით დამთავრდა, ხოლო მთელი XIX საუკუნე რუსეთთან მუდმივ ომად და საქართველოს „რუსიფიკაციის საუკუნედ“ შეიძლება ჩაითვალოს... საბჭოთა რეჟიმის დროს სტალინისა და ბერიას ფაქტორმა ეს პროცესი გარკვეულად შეაფერხა, მაგრამ მათი თავიდან მოშორების შემდეგ, ამ პროცესმა კიდევ უფრო დიდი ძალა შეიძინა. 9 მარტი და 9 აპრილი სწორედ რომ ამის გამოძახილი იყო...

2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომმა ნათლად აჩვენა ის, რასაც ილია არაერთხელ უსვავდა ხაზს: **„არავისი იმედი არ უნდა გვქონდეს, გარდა საკუთარი თავისა... ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“.** დავაკვირდეთ თუნდაც ამ ფაქტს – მაშინ ევროპამ და ამერიკამ ისე სხვათა შორის უსაყვედურეს რუსეთს – რას ერჩით, რა დაგიშავათ საქართველომ, იქნებ მთლად ნუ გააუბედურებო... ახლა კი ყველა ვხედავთ, რა სანქციების კორიანტელი დაუყენეს უკრაინის გამო.

რუსეთ–საქართველოს ომმა ჩემს პოეტურ აღქმაშიც თავისი ადგილი დაიკავა. გთავაზობთ ორ მათგანს 2009 წელს გამოცემული პოეტური კრებულიდან:

– ზოგი მგლისკენაც უნდა ითქვას...

– ზოგი მგლისკენაც უნდა ითქვას –
ნათქვამია ეს ძველი სიბრძნე,
და მოდით ჩვენც ვთქვათ,
ეს – ზოგი მგლისკენ:

მგელი რომ იალაღზე
ლაღად გაშლილ
ცხვრის ფარას ნახავს,
სიხარბისაგან ერთიანად
ყელს გამოღადრავს

თვითეულ მათგანს...
რას ვიზამთ, ასეთია
ბუნება მგლისა...

ეს ჩვენი ბოლო იმპერიაც
(ღმერთმა ქნას ბოლო!),
გვათლის და გვათლის
ნუგბარ ლუკმად
ლიხს იქით ჯიქეთს და აფხაზეთს,
ლიხს აქეთ
ცხინვალს და ახალგორს,
თითქოსდა, თვითონ
მიწები აკლდეს...
რას ვიზამთ აქაც, –
ასეთია ბუნება იმპერიისა...

ამბობენ, – პუტინი სტალინს ბაძავს...

ამბობენ, – პუტინი სტალინს ბაძავს,
სურს სტალინის მსგავსად
სტალინის „დიდი რუსეთი“,
დიდად აქციოს კვლავაც,
აქეთ–იქით რომ
შიშის ზარს დასცემს
ყველა ხალხსა და
ყველა ქვეყანას...

კაცმა რომ თქვას,
რა გასაკვირია პუტინის ბაძი,
ნუ დავიზარებთ და
მოდით გავიხსენოთ
ისტორიის ჩამონათვალი:

– რიურიკები და ვარიაგები,
მერე „ოქროს ურდო“
და მონღოლთა ყაენები,
„მატუშკა ვოლგა“
და „ურას“ ძახილი,
ყაზანი, ასტრახანი,

მოხეტიალე „ალაჩუხები“
და „ბასკაკთა“ რაზმები...
მერე ბიზანტიური
„ორთავიანი არწივი“
და „მესამე რომის იმპერია“
მერე კი აქეთ, საჩვენოში,
გერმანულ–რუსული მარქსიზმი...

განა ეს ყველაფერი
და მათზე მეტიც,
თუნდაც ეს დღევანდელი
მათგან ნაქები
„რუსული დემოკრატია“, –
უხეირო და სასაცილო
ბაძი არ არის?!...
მაშ, რა გასაკვირია
პუტინის ბაძი?...

მაგრამ სხვას თავი გავანებოთ და ჩვენს თავს მივხედოთ. მგლისა და კრავისა არ იყოს, პუტინს და ლავროვს საბაბი არ დაელევათ, რომ „წყლის ამღვრევა“ ჩვენ დაგვაბრალონ – საწყალ რუსეთს თურმე ჩვენ ვუქმნით საფრთხეს, სოციოლოგიურმა გამოკითხვამაც ხომ აჩვენა – საქართველო რუსეთის პირველი თუ არა (ეს აშშ მიაკუთვნეს) მეორე მტერი ხომ არის და არის!!! და აბა, რა ქნას, თავი არ დაიცვას?!...

ეს ასე გაგრძელდება მერეც, სანამ იმპერია და იმპერიული სული საღ–სალამათია ... ამიტომ შენი პოლიტიკა ამ რეალობაზე უნდა ააგო და გათვალო. ამაზე მიგვითითებდა და ამას გვირჩევდა ილიაც – ყველანაირად იმპერიასთან პირდაპირი დაპირისპირების თავიდან აცილებას. ესეც „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ–ერთი სახელმძღვანელო პრინციპია დღეს, მაგრამ პარადოქსიც ის არის, რომ როცა ყველაზე ძალიან გვჭირდება იგი, ყველაზე მეტად დავივიწყეთ ისიც და მისი პოლიტიკური მემკვიდრეობაც. ამ მხრივ თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ზემოდაღნიშნული მისი დაბადებიდან 150 წლისთავის შემდეგ, ასეთი მასშტაბით ილიას იუბილე აღარ აღნიშნულა დღემდე. ეს ჩვენ საგანგებოდ ავღნიშნეთ კიდეც 2007 წელს „ილიალოგთა კლუბის“ საგანგებო განცხადებითაც.

ღმერთი სამობითაა...

მიხაკო წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, ივანე ჯავახიშვილი... ერთი სიტყვით, XX საუკუნის მთელი

ჩვენი ინტელექტუალური ელიტა ერთხმად აღნიშნავს ქართველი ერის და საქართველოს მომავალი განვითარებისთვის ილიას ისტორიულ მისიას. მის მეცნიერულ დასაბუთებას წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევა – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“...

გადის წლები და არა და არ ვჩქარობთ ამ ჩვენი ყველაზე დიდი ჭეშმარიტების დაუფლებას და საქმედ ქცევას. მკრეხელობად არავინ ჩაგვითვალოს, მაგრამ ეს ყველაფერი მაგონებს ქრისტეს ანალოგიას, რომლის პოეტურ გააზრებასაც აქვე შემოგთავაზებთ:

– სანამ მამალი სამჯერ იყივლებს,
სამჯერ უარმყოფთ იცოდეთ, –
დაუბარა მოსწავლეებს
ანდერძად ქრისტემ...

და ზუსტად ისე,
როგორც რომ ქრისტე,
სამჯერ უარვყავით,
ჩვენც ერის მამა:

პირველად – წიწამურთან,
შემდეგ – საბჭოეთის ჟამს
და არ ვცნობთ ახლაც
მას ერისმამად,
ჩვენი ცხოვრების
გზისგამკვალავად...

– ღმერთი სამობითაა და იქნებ ამ სამების ძალამ მოგვცეს იმის გაგების უნარი და შეძლებაც, რომ „ჩვენი კარგი ქვეყანა“ მისი ძველი თუ ახალი „ძნელბედობიდან“ ბოლოსდაბოლოს განვითარების ახალი „ოქროს ხანისკენ“ ილიას გზით წავიყვანოთ, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის გათავისება–გათანამედროვეობით...

სარჩევი

		გვ.
1.	ამონაკრები ძველი, ახალი და უახლესი „ქართლის ცხოვრებიდან“ ...	1
2.	ს ა ძ ვ ლ ე	2
3.	XXX	6
4.	„პატარა კახი“	11
5.	ერეკლე მეფე და იაკობ რაინეგსი...	15
6.	ერეკლე მეფე და იოსებ ემინი	17
7.	კრწანისამდე და კრწანისის შემდეგ...	20
8.	– ვინ დაკეტავს დარიალის კარს?	23
9.	„ შ ე თ ქ მ ა “	24
10.	„საქართველო – რუსეთის იმპერიის ბედისწერა“	27
11.	– ამას რუსიც სხვა ჰგონია!	29
12.	„განეხსნა გზა...“	30
13.	„ჩვენი აბო“...	31
14.	„რუსეთი ერთი იმისთანა ქვეყანაა...“	33
15.	ილია, ეკატერინე ჭავჭავაძე და ანდრია დადიანი...	33
16.	„წინასწარმეტყველი“...	34
17.	ილია, მარქსი და ენგელსი: რა საერთო აქვთ მათ?...	35
18.	ილია და ლენინი: „დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმი“	36
19.	„წარხდა ქართველთა სახელი და ქართული წეს–წყობა“	38
20.	– მრცხვენია რომ ქართველი ვარ!...	39
21.	– მეტი გიჟ–ვრაცუობა რაღა გინდათ?!...	40
22.	ისტორია კი მიდის და მიდის...	41
23.	„რას სჩადიხართ – ილია ვარ!“	42
24.	„ილია მოკლეს“!	43
25.	საუბრები ლიკანში	45
26.	– „ქართველი ინტელიგენცია ვალში ხართ ილიასთან“...	46
27.	სტალინი სტალინის შესახებ...	47
28.	– ფატალიზმის მწამს...	48
29.	„სულ გველის წიწილები გვეძახა“...	50
30.	„პეტრეს ციხესთან“	52
31.	„განძი და ანდერძი“	56
32.	– იმდენ სისულელეებს ჩაიდენენ, ვერ დაითვლით...	57
33.	„გველის წიწილებიდან“ „კატის კნუტებამდე“...	58
34.	მარტოსული	59
35.	– აი, ნახავთ, ბოლოს ისევ ჯუღაშვილი გავხდები...	60
36.	მეხის გავარდნას ჰგავდა...	61
37.	სხვანაირი სტალინი ...	62

38. რამდენად გაყიდა ქართული ღვინო სტალინმა... 64
39. 8 მაისი, თუ 9 მაისი?... 65
40. „უმადურობა“ ... 66
41. „გამარჯვების დღე“ გამარჯვებულის გარეშე... 67
42. ასი წლის წინ და ასი წლის შემდეგ... 69
43. „ან, ან“... 71
44. და კვლავ ილია... 73
45. რას გეგმავდა სტალინი 1957 წლისთვის?... 74
46. ჰქონდა თუ არა სტალინს ჰიპნოზი?... 75
47. – უნაკლო და უცოდველი ამქვეყნად არავინაა... 78
48. „სოციალიზმი სიცოცხლეზე მეტია ჩემთვის“... 78
49. სამი მამლუქი – სამი სხვადასხვა ბედი 79
50. ვირს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში სჩრიდნენო... 80
51. პარადოქსების კორიანტები 81
52. – მე ამას ვეღარ მოვესწრები... 84
53. „მსოფლიო საბჭო“ და „მსოფლიო პრეზიდენტი“ 84
54. „გაქვავებული პრეისტორიული ხვლიკის თავი“ 86
55. „რომანოვების სასახლე“... 87
56. რეპრესიების რეკორდსმენები... 87
57. რა არის „ჭეშმარიტება“? 88
58. გორბაჩოვიდან ელცინამდე, ელცინიდან პუტინამდე... 90
59. – ზოგი მგლისკენაც უნდა ითქვას... 92
60. ამბობენ, – პუტინი სტალინს ბაძავს... 93
61. ღმერთი სამობითაა... 94